N23/3339/ 2-4 მარტი 2016 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ალია · ოთხშაბათი ალია · პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ვინ ლობირებს პარლამენტში საგანს — „მე და საზოგადოება“?

11




# რას ელოდება და რა საქმეებს გადააყოლებს კახა კალაძეს ივანიშვილი?

5



## რა ხდებოდა ევროსასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებაზე?



9

### და რა სკანდალის აგორებას აპირებს ზაზა ხატიაშვილი?

# 3 მოთხოვნა, რის გამოც მეტრო გაჩერდება

7



რატომ აფასებენ ალექსი პეტრიაშვილის დაჭრას მკვლელობის მცდელობად? რატომ არ შეხვდა ნარმანია მეტროს თანამშრომლებს? რა შეიძლება მოჰყვეს ადიგენში მომხდარ დაპირისპირებას? ვინ გვატყუებდა, კალაძე თუ „სოკარი“?

3

რა ანტიკონსტიტუციური ქმედებები ჩაიდინა მინისტრმა სანიკიძემ?



10

რატომ არ შესრულდა სანდრო ბრეგაძის დაპირება ხიდაშელის გადადგომაზე და რას შეჰპირდნენ „ოცნების“ დეპუტატები?



13

ბიძინა ივანიშვილის ქონება 400 მილიონი დოლარით შემცირდა



8

ხალხი კრედიტებს ვეღარ ფარავს, ბანკები კი პროცენტებს ზრდიან!



2

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ვინ არიან ქართველი „კანონიერი ქურდების“ ცოლები



12

რატომ დააპატიმრეს ტურისტული კომპანიის გაგზავნილი 15 ქართველი ისრაელის საზღვარზე



4

თბილისში საღამოს საათებში სადისტრიბუციო მანქანების გაჩერება შეიზღუდება



9

ზაქარია ქუცნაშვილი მაღალჩინოსნებს ურჩევს, ხარჯების დაზოგვაში პრემიერ-მინისტრს მიბაძონ



10

## გიორგი ვოლსკი: „რესპუბლიკელების“ პოზიციებთან დაკავშირებით, გოგი თოფაძის განცხადებას არ ვეთანხმები...



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მოადგილე გიორგი ვოლსკი აცხადებს, რომ „რესპუბლიკელების“ პოზიციებთან დაკავშირებით გოგი თოფაძის განცხადებას არ ეთანხმება.

როგორც ვოლსკიმ გადაცემა „20/30“-ში განაცხადა, შესაძლოა, „რესპუბლიკელთა“ გარკვეული განცხადებები ამბიციური იყო, მაგრამ კოალიციაში „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ ძლიერი პოზიცია უჭირავს და ეს პოზიცია კოალიციის ნებისმიერი სუბიექტისთვის გასათვალისწინებელია.

– ჩვენი მიზანია, არჩევნებზე კოალიციურ რეჟიმში კოალიციურად გავიმარჯვოთ. „რესპუბლიკელების“ პოზიციებთან დაკავშირებით, გოგი თოფაძის განცხადებას არ ვეთანხმები. შესაძლოა, „რესპუბლიკელთა“ გარკვეული განცხადებები ამბიციურია, მაგრამ კოალიციაში „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ ძლიერი პოზიცია უჭირავს და ეს პოზიცია კოალიციის ნებისმიერი სუბიექტისთვის გასათვალისწინებელია, ისევე, როგორც ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ დანარჩენების მოსაზრებებს, – აღნიშნა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, კოალიციის წევრებს შორის ურთიერთდაპირისპირების პროცესში მორატორიუმი ყველაზე კარგი გამოსავალი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, პირობა დაირღვა.

– პროცესში გამოიკვეთა პოლიტიკური საკითხები, რომლებმაც კითხვის ნიშნები გააჩინა, რამდენად ეხმიანება გოგი თოფაძის პოზიცია 2012 წელს შემდგარ კოალიციურ შეთანხმებას. პოლიტსაბჭოს სხდომის ჩატარებას სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ვფიქრობდით, თუმცა გარკვეული ვითარების გამო, სხდომა ვერ შედგა, – აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ. (რეპორტიორი)

## ბათუმის გზაზე მომხდარ ავარიას 3 ადამიანი ემსხვერპლა



ბათუმი-ქობულეთის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მომხდარი ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა.

მიკროავტობუსის და მსუბუქი ავტომობილის შეჯახების შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 8 მძიმედ დაშავდა. დაშავებულები ქობულეთის ცენტრალურ საავადმყოფოში არიან გადაყვანილები. მძიმე მდგომარეობაშია ერთი დაშავებულიც, მას ქალა-ტვინის დაზიანება აქვს მიღებული და მართვით სუნთქვაზე იმყოფება. (ნიუპოსტი)

# ხალხი კრედიტებს ვეღარ ფარავს, ბანკები კი პროცენტებს ზრდიან!





სებ-ის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 152,8 მილიონი ლარით (2,8 პროცენტით) შემცირდა და 5,39 მილიარდ ლარს გაუტოლდა. კლების დიდი წილი იურიდიული პირების გრძელვადიან სესხებზე მოდის.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა იანვარში 9,7 მილიონი აშშ დოლარით (0,2 პროცენტით) შემცირდა და პერიოდის ბოლოს 4,35 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 61,5 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენდა, ხოლო 82,9 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას ეკავა. უცხოური ვალუტით დაკრედიტების კლება ძირითადად იურიდიული პირების მოკლევადიანი დაკრედიტების კლებით იყო გამოწვეული.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, იანვარში ვადაგადაცილებული სესხები 37,6 მილიონი ლარით გაიზარდა და 329,7 მილიონ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 2,0 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 45,4 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული. საანგარიშო პერიოდში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 65,6 პროცენტს გაუტოლდა.

სებ-ის ინფორმაციით, საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე მიმდინარე წლის იანვარში 1,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 16,8 პროცენტი დაფიქსირდა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე 1.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და წლიური 22.4 პროცენტი დაფიქსირდა.

ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთები ფიზიკური პირებისთვის 1,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 26,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების სესხებზე 0,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და წლიური 14,0 პროცენტი შეადგინა.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხის საპროცენტო განაკვეთი 0,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10,3 პროცენტი შეადგინა, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში, სესხების საპროცენტო განაკვეთი 0,4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 11,0 პროცენტი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, 2015 წლის იანვართან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით სესხებზე 0,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 10,5 პროცენტი შეადგინა. ხოლო ეროვნული ვალუტით განხორციელებულ დაკრედიტებაზე 3,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 22,4 შეადგინა. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნანა თეთრაძე: მრჩება გაუნელებელი ტკივილი, რომ უდანაშაულო ადამიანი მოკლეს...



– ჩემთვის ძალიან მძიმე დღეა. საქმე ბოლომდე მივიყვანეთ, რაც ჩემი მეუღლის რეაბილიტაციას ნიშნავს, – ამის შესახებ გადაცემა „20/30“-ში პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის მეუღლე ნანა თეთრაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, პროკურატურის დადგენილება არის დოკუმენტი, რომლითაც დამტკიცდა, რომ სერგო თეთრაძე უდანაშაულო იყო.

– ამის მიუხედავად, მრჩება გაუნელებელი ტკივილი, რომ უდანაშაულო ადამიანი მოკლეს, – აღნიშნა ნანა თეთრაძემ.

სერგო თეთრაძის მეუღლის ინფორმაციით, სასამართლო სხდომაზე, ოთხ ბრალდებულს შორის მეუღლე მხოლოდ ჭაღარა თმით იცნო, შორიდანაც ეტყობოდა, რომ ნაცემი იყო და ჯან-ღონით სავსე ადამიანი ძლივს მოძრაობდა.

– საქმეში ბრალდებულმა ლონდარიძემ ერთ-ერთ სხდომაზე თქვა, რომ სერგო თეთრაძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას მუქარით აიძულებდნენ. მან ზეწოლას ვერ გაუძლო და როგორც თავად განაცხადა, შეთავაზებულ სიაში თვალებდახუჭულმა თითით მიანიშნა ერთ-ერთ გვარზე, რომელიც სერგო თეთრაძე აღმოჩნდა, – განაცხადა ნანა თეთრაძემ.

როგორც ნანა თეთრაძე განმარტავს, ოჯახზე მუქარა მუდმივად ხორციელდებოდა და მეუღლის თხოვნა იყო, რომელიც მან ადვოკატის მეშვეობით მიიღო, რომ საქმეზე განგაში არ აეტეხა.

– იყო უამრავი ზარი, ანონიმური წერილი. ახლაც კი, გასულ წელს, ბაჩო ახალაიას მეუღლე ანა ნადარეიშვილი ჩემი შვილით დამემუქრა. მაშინ როცა უნდა გამოვსულიყავი და სიმართლე მეთქვა, მეგის ქარდავასგან წერილი მივიღე, სადაც ეწერა, რომ ის უდანაშაულოა და ჩვენი ოჯახის მიმართ – კეთილგანწყობილი. ეს იყო მინიშნება, რომ გავჩერებულიყავი, – აცხადებს ნანა თეთრაძე.

მისივე თქმით, პირველ განცხადებებში ყველა იმ პირის დასჯას ითხოვდა, ვინც ამ საქმის ორგანიზატორი იყო ან მასში მონაწილეობდა.

– მოსამართლე გოგინაშვილსა და პროკურორ ქევხიშვილს რომ გულგრილობა არ გამოეჩინათ, შეიძლებოდა, დღეს სერგო თეთრაძე ცოცხალი ყოფილიყო. მართალია, ჩემს მეუღლეს აღარაფერი ეშველება, მაგრამ აუცილებლად უნდა გაჩნდეს პრეცედენტი, რომ ქვეყანაში ასეთი რამ აღარასოდეს მოხდეს. პროკურატურის დადგენილებით სერგო თეთრაძე რეაბილიტირებულია, მაგრამ ეს საბუთი ჩვენი ტკივილის საპირწონე არ არის, რადგან მუდმივად ამ ტკივილით ცხოვრება მოგვიწევს. ჩემი მეუღლე სახელმწიფო უწყებაში გარდაიცვალა და ალბათ, მორალური კონპენსაციის საკითხზეც ვიფიქრებ, – აღნიშნა ნანა თეთრაძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თოფაძის კომპანია ჯარს ლიმონათით 2 წლის განმავლობაში ამარაგებდა — რას ამბობს ხიდაშელი?



„რუსთავი 2“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური დოკუმენტებზე დაყრდნობით აქვეყნებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც „მრეწველების“ ლიდერი, გოგი თოფაძე, ქართულ ჯარს ლიმონათი „ყაზბეგით“ 2 წლის განმავლობაში ამარაგებდა. მისმა კომპანიამ ტენდერში გამარჯვება 2016 წელს ვეღარ მოიპოვა.

გოგი თოფაძის კომპანიამ 2014 წელს ტენდერიდან თითქმის 880 ათასი ლარი მიიღო.

კომპანია „ყაზბეგმა“ ტენდერი 2015 წელსაც მოიგო და ამ მომსახურებისთვის მან თითქმის 420 ათასი ლარი მიიღო.

როგორც „არჩევანის“ წამყვანმა აღნიშნა, სატენდერო განაცხადში „ყაზბეგის“ კონკურენტ კომპანიას 420 ათასი ლარი აქვს მითითებული, „ყაზბეგს“ კი მხოლოდ 10 ლარით ნაკლები, რაც, ცხადია, დამატებით კითხვებს აჩენს.

2016 წელს კომპანია „ყაზბეგმა“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში წააგო და არაალკოჰოლური სასმელით ქართულ ჯარს მიმდინარე წელს უკვე სხვა კომპანია ამარაგებს.

აღნიშნული თემის კომენტირებისას თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა აღნიშნა, რომ გოგი თოფაძის კომპანია „ყაზბეგის“ მიერ 2014-2015 წლებში თავდაცვის სამინისტროს ტენდერებში გამარჯვების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

– მე ამის შესახებ არ ვიცოდი. თუმცა, ახლა რაც ვნახე, ეს არ არის იმ ტიპის თანხები, რომ ეს შეიძლება გამხდარიყო დაპირისპირების მიზეზი, – განაცხადა თინა ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

## რუსეთის ეკონომიკის სამინისტრო — რუსეთის ეკონომიკა ვარდნას განაგრძობს



რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს საიტზე ქვეყნის ეკონომიკის მაჩვენებლები გამოქვეყნდა, რომელსაც 2016 წლის იანვრის თვეშიც უარყოფითი დინამიკა ახასიათებს.

კერძოდ, მშპ გასული წლის დეკემბერთან შედარებით 0,1 პროცენტით დაეცა. მრეწველობის ზრდა ძირითადად ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის განაწილების დარგში.

იანვარში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 101 პროცენტია, 2015 წლისთვის ეს მაჩვენებელი 103,9 პროცენტი იყო.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება იმავე დონეზეა დარჩენილი. სოფლის მეურნეობის წარმოება დაეცა 0,2 პროცენტით, საცალო ვაჭრობა – 0,2 პროცენტით, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხელფასი 0,3 პროცენტით გაიზარდა, ამასთან რეალურად, შემოსავლები შემცირდა 1,2 პროცენტით. (ნიუპოსტი)

## „გირჩი“ მარიხუანის მოხმარებისთვის პატიმრობის გაუქმებას საკონსტიტუციო სასამართლოში ითხოვს




მარიხუანის მოხმარების გამო საპატიმრო სასჯელის გაუქმების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში კიდევ ერთი სარჩელი შედის. სარჩელი ახალ პოლიტიკურ ცენტრ „გირჩს“ შეაქვს. როგორც პოლიტიკური ცენტრის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, მარიხუანის მოხმარება მცირე ოდენობით კანონით არ უნდა ისჯებოდეს.

– ჩვენ შეგვაქვს სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში მარიხუანის მოხმარებისთვის ხვალიდან ადამიანებს ციხეში ვეღარ ჩასვამენ. ჩვენ ამით გავასწორებთ იმ ხარვეზს, რა ხარვეზის გასწორებაზეც უარი თქვა საქართველოს პარლამენტმა, – განაცხადა ჯაფარიძემ.

„გირჩის“ ინიციატივას მარიხუანის მოხმარებაზე სასჯელის მოხსნასთან დაკავშირებით პარლამენტში კენჭს 2 მარტს უყრიან. ცენტრის ლიდერების დაანონსებით, პარლამენტი ამ ინიციატივას მხარს არ დაუჭერს. სწორედ ამიტომ ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, მომზადდა სარჩელი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში გადაიგზავნება. (ნიუპოსტი)

## „პუტინს მეტი აგრესიისკენ ვაქეზებთ“



ტრანსატლანტიკური საკითხების მკვლევარის, იან ბჟეზინსკის განცხადებით, ყირიმის ანექსიაზე აშშ-ისა და დასავლეთის თავშეკავებულ რეაგირებას მოჰყვება ის, რომ შემდეგი სამიზნე მოლდოვა და საქართველო გახდება.

ბზეჟინსკის შეფასებით, აღნიშნული ვითარებიდან გამოსავალი რუსეთის წინააღმდეგ, მეტი ეკონომიკური და დარგობრივი სანქციებია.

ანალიტიკოსმა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას განუცხადა, რომ ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ძალების კონცენტრაცია ევროპის აღმოსავლეთში უნდა გაძლიერდეს.

– ბოლო თვეებია, რუსეთი თავის საზღვარს წევს საქართველოში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. გამოსავალი არის მეტი ეკონომიკური, დარგობრივი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, მეტად უნდა გავაძლიეროთ ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ძალების კონცენტრაცია ევროპის აღმოსავლეთში, უნდა გადავცეთ თავდაცვითი იარაღი უკრაინას და გადავდგათ უფრო აქტიური ნაბიჯები ყველა დონეზე. სხვა შემთხვევაში, ვტოვებთ შეშინებული და დაეჭვებული მხარის შთაბეჭდილებას. ამით კი, პუტინს ვაქეზებთ მეტი აგრესიისკენ, – განაცხადა იან ბჟეზინსკიმ.

მისივე თქმით, ევროპელთა დახმარების ინიციატივამ დღემდე ვერ შემოიკრიბა საკმარისი რესურსები, რათა მოსკოვის აგრესიის შეკავება მოეხდინა.

– ამ ფონზე, თავად რუსეთი მოულოდნელად გეგმავს და ახორციელებს მანევრებს ათობით ათასი ჯარისკაცის მონაწილეობით. ევროპის მხარდაჭერის ინიციატივის ეგიდით, უნდა განვალაგოთ ნატო-ს ჯარები ბალტიისპირეთში, რუმინეთსა და პოლონეთში, დავგეგმოთ მეტი სწავლება აღმოსავლეთ ევროპაში და არა დასავლეთში, ისე როგორც ეს პორტუგალიასა და იტალიაში გავაკეთეთ ბოლოს, რადგან, ომი დასავლეთ ევროპაში არ მიმდინარეობს. ამ ძალისხმევაში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიც უნდა ჩაერთონ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ობამას ადმინისტრაციის მიერ ამ ინიციატივისთვის ოთხჯერ გაზრდილი ხარჯების მოთხოვნა კარგი ნაბიჯია სწორი მიმართულებით, მაგრამ ვშიშობ, ეს არასაკმარისი ძალისხმევაა, – განაცხადა ბჟეზინსკიმ. (pia.ge)

## რამდენიმე დასახელების სიგარეტი გაძვირდა



თბილისის ჯიხურებსა და სუპერმარკეტებში ზოგიერთი სახეობის სიგარეტზე ფასი მომატებულია. სავაჭრო ჯიხურებში თამბაქოზე საშუალოდ ფასი 10-20 თეთრითაა გაზრდილი.

სიგარეტი „ვინსტონის“ ფასი 3 ლარამდე გაიზარდა, თამბაქო 20 თეთრით გაძვირდა, ამდენივეთი გაძვირდა „სობრანიეს“ ფასიც, რომელიც 3.70 ლარი გახდა, 10 თეთრით გაძვირდა „ქემელი“ (კომპაქტი). (პირველი რადიო)



## რატომ აფასებენ ალექსი პეტრიაშვილის დაჭრას მკვლელობის მცდელობად? რატომ არ შეხვდა ნარმანია მეტროს თანამშრომლებს? რა შეიძლება მოჰყვეს ადიგენში მომხდარ დაპირისპირებას? ვინ გვატყუებდა, კალაძე თუ „სოკარი“?




ნინო ლაგარტყავა

571 99-92-33


„ალიას“ პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** ესაუბრა:

**— საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, გიორგი პაპუაშვილმა თეა წულუკიანი ზეწოლაში დაადანაშაულა — ხელისუფლებასთან გარიგებას მთავაზობდა და უარი რომ ვუთხარი „დამბრაკაო“. წულუკიანი ამბობს, ზღაპრებს ყვებაო. რაში სჭირდებათ ეს კინკლაობა, სასამართლო რომ დაჭაობებულია, ამაში ახალია რამე?**

– ის, რომ პოლიტიზებულია სტრასბურგში მოსამართლის გაგზავნა, ეს ვინმესთვის საიდუმლოებაა? არის ზეწოლა, მაგრამ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა გაკეთდეს, როგორ შეიძლება მართლა დამოუკიდებელი მოსამართლეების საქმიანობა, რომ მართლა გაუძლოს ზეწოლებს. დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება სტრასბურგში ჩვენი მოსამართლე, რადგან უკვე ქართველმა საზოგადოებამაც ისწავლა სტრასბურგის გზა, სარჩელების გაგზავნა. არც ერთი ხელისუფლება, თუ მას ამის საშუალება მიეცა, გულხელდაკრეფილი არ უყურებს სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებს. დღეს ჩვენი ხელისუფლებისთვის ნული მნიშვნელობა აქვს, რას ამბობს საზოგადოება ისევე, როგორც ნული მნიშვნელობა ჰქონდა ამას სააკაშვილის დროს. მგონია, რომ „ოცნება“ ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ მათ შეუძლიათ, არ გაუწიონ ანგარიში საზოგადოებრივ აზრს, ახლა სხვა სიტუაციაა. სტრასბურგში ვინც არ უნდა გაგზავნო, თეთრ ყვავად გამოჩნდება და თავისი კოლეგების წინაშე სახის შენარჩუნება მაინც მოუწევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც წავა ის, ვინც ხელისუფლებას აწყობს.

**— ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტზე საუბრები არ ცხრება. ზოგიერთი პოლიტიკოსი ამბობს, რომ საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლად უნდა გადაკვალიფიცირდესო. სხვები პირიქით, მოკვლა არ უნდოდათ, არასასიკვდილო ჭრილობები განზრახ მიაყენეს, დასაჯესო. რა ხდება სიტუაციას აბუქებენ?**

– აქ უკვე ძალიან რთული პრობლემაა, რადგან შეიძლება, ვთქვათ, სიკვდილი გამოიწვიოს სულ უბრალო ჭრილობამ. ბატონ პეტრიაშვილს რაც შეეხება: ეს ხომ ტირი არ იყო, სადაც სამიზნეს ესვრი, არა? იქ შეიძლება ვინმე მოსულიყო, ვილაცას დაენახე, პოლიცია გამოჩენილიყო და მაინც ხუთჯერ ესვრი ადამიანს. ერთი ტყვიის ამოღება ქირურგმა ვერც გარისკა, ღვიძლთან ახლოსაა, სხეულში ჩარჩაო და ეს ძალიან არასასიამოვნო ფაქტორია. გადაკვალიფიცირდება თუ არა, ეს ფაქტი ხელისუფლებას ღირსებას არ მატებს, როდესაც დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში ასეთი რაღაც ხდება... საერთოდ, როდესაც ქილერი დანაშაულს სჩადის, იმას უკან დახევის გეგმაც გათვლილი აქვს და ჩქარა-ჩქარა ხუთჯერ რომ ისვრის ადამიანი, რა გარანტია ჰქონდა, რომ იგივე პეტრიაშვილი ან პოზას არ შეიცვლიდა, არ ჩაიღუნებოდა და ფეხის ნაცვლად ის ტყვია მუცელში არ მოხვდებოდა? ამიტომ ეს უკვე სადავო საკითხია. გარდა ამისა, ხომ ხედავთ, ხელისუფლებაც უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოპოზიციური პარტიის ლიდერს ეხება საკითხი. ღმერთმა დაგვიფაროს თქვენც და მეც, მაგრამ ჩვენს რომელიმე ახლობელზე რომ მოხდეს ასეთი თავდასხმა, როგორ ფიქრობთ, პრემიერი ან თქვენ მიგიღებთ, ან მე? ან მინისტრი მოიცლის შესახვედრად? რიგით მოქალაქეს რომ ეს დაემართოს, ყველაზე დიდი, იმ რაიონის პოლიციის უფროსის რომელიმე მოადგილე დაელაპარაკება და პირობას მისცემს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. აი, ესეც ფაქტია. რა, პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერის სიცოცხლე უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა ნებისმიერი მოქალაქის სიცოცხლე? დემოკრატიულ ქვეყანაში ყველას სიცოცხლეს ერთი ფასი აქვს.

> **„ღმერთმა დაგვიფაროს თქვენც და მეც, მაგრამ ჩვენს რომელიმე ახლობელზე რომ მოხდეს ასეთი თავდასხმა, როგორ ფიქრობთ, პრემიერი ან თქვენ მიგიღებთ, ან მე? ან მინისტრი მოიცლის შესახვედრად?.. რა, პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერის სიცოცხლე უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვა ნებისმიერი მოქალაქის სიცოცხლე?“**

**— თბილისის მეტროს მემანქანეებმა მერიას პირობების შესასრულებლად სამი კვირა მისცეს და გაფიცვისთვის ემზადებიან. არა და, სამართლიანი მოთხოვნები აქვთ, ნარმანიამ კი, ისე, რომ არც დალაპარაკებია ამ ხალხს, მერიას არ აქვს ხელფასების მომატების რესურსიო, თქვა. იმდენს რატომ არ ფიქრობს, რომ მართლა შეიძლება შეწყდეს მეტროს მუშაობა და თბილისში ქაოსი შეიქმნას?**

– (იცინის) მერის ერთი სწორი გამონათქვამი მითხარით, რომელია. გეცოდინებათ, ძველი გვარდიის ოფიცრებში „რუსკაია რულეტკა“ იყო, ბარაბანში ერთ ტყვიას ჩადებდნენ და მიიდებდნენ შუბლზე, გაისვრიდნენ. თბილისის მერი, მე მგონი, თავის თავს ეთამაშება ამ „რუსულ რულეტკას“ და თითოეული ტყვიის ნაცვლად დებს ასეთ სისულელეებს „ბარაბანში“ და უყურებს, რომელი სისულელე იქნება მისთვის პოლიტიკურად მომაკვდინებელი, მაგრამ უმართლებს, რადგან ივანიშვილი თვლის, მერის სისულელეების რესურსი კრიტიკულ ზღვარამდე ჯერ კიდევ არ მისულა. სამაგიეროდ, ხომ აქვს იმის ფული მერიას, რომ მისი მეგობარი პროკურორის შვილი გაუშვას საფრანგეთში? ძაღლი იყოს „ნაციონალების“ მადლიერი, მაგრამ თქვენ, ალბათ, გახსოვთ, როდესაც ადრე ჯანდაცვის მინისტრმა (გვარი აღარ მახსოვს) ბესო ჯუღელს რაღაც დახმარება გამოუწერა და პრესამ ხმაური ატეხა, სააკაშვილმა ის მინისტრი ორ თვეში გაუშვა თანამდებობიდან. ახლა კიდევ ხმას არავინ არ სცემს მერს. მე აღარ მიკვირს ეს ნარმანიასგან, მე ის უფრო მიკვირს – აი, დღეს დაღამდა და ნარმანიასგან სკანდალი არ არის. ვა, ეს როგორ, რა ხდება? ავად იყო ამ დღეს, ჩაკეტილი იყო, მარხვაზეა, თუ რას აკეთებდა ისეთს, რომ მთელი დღე ისე გავიდა, რაღაც სისულელე არ უთქვამს-თქო?

**— ადიგენში მომხდარ რელიგიურ დაპირისპირებას, ერთი შეხედვით ყოფიერი მიზეზი აქვს, ადგილობრივი მუსლიმანები საფლავისთვის ტერიტორიის გამოყოფას მოითხოვენ, მაგრამ იმასაც ამბობენ, უცხო ქვეყნის პროვოცირებულიაო. თქვენი აზრით, სინამდვილეში რა ხდება?**

– ეროვნული უსაფრთხოებისთვის ეს გაცილებით საშიშია, ვიდრე, ვთქვათ, მკვლელობები, დაჭრები, ჩვენი მერის სისულელეები... ეს, ერთი შეხედვით, უბრალო გაუგებრობა გადაწონის ყველაფერს, მაგრამ მე არ მიკვირს, იცით, რატომ? ვინ მუშაობს დღეს კონფესიების, რელიგიების წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებზე? ჩემ მიერ ათი წლის წინათ დიპლომატიური აკადემიიდან მოუსწრებლობისთვის, საგნების ჩაუბარებლობისთვის გარიცხული სტუდენტი. იცით, როგორ არის? ახლა რომ ჩავერიოთ, უფრო გამწვავდებაო და თითქოს, ელოდებიან, როდის გადაიზრდება ეს გამოწვევა კრიზისში და გადაიზრდება კიდეც. ხომ ხედავთ, რა ხდება? თითქოს, მიიჩქმალა, მაგალითად, გურიაში რაღაც მეჩეთი უნდოდათ, მოსახლეობა შუაზე იყო გაყოფილი და კინაღამ ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. რელიგიურ ნიადაგზე შესაძლო დაპირისპირების კიდევ რამდენიმე ფაქტი მოხდა უახლოეს პერიოდში და ეს ძალიან საშიში პროცესია. მთელი თაიგულისთვის ეგღა გვაკლია ახლა, რელიგიური დაპირისპირება. ჩვენი პრობლემების თაიგულს ერთი დიდი წითელი, სისხლისფერი ვარდი ეკლდა... მე როგორც მითხრეს, მართლა მეჩეთის აშენებას აპირებენ იქ და არც არის გასაკვირი. ევროპაში ასეაო, ჩვენც ევროპისკენ მივდივართო... და ისე, რითი მივდივართ? ერთი: პიდარასტების აღლუმები უნდა იყოს თავისუფლად; მეორე: ყველა სოფელში თუ ხუთი მუსლიმანი ცხოვრობს, მეჩეთი უნდა ავუშენოთ. აი, ეს არის ევროპა ამათთვის და არავითარი ის ფასეულობა და ღირებულება, რომ იყოს თავისუფალი სასამართლო, რომ არ იყოს ნეპოტიზმი, მერი ჭკვიანი იყოს და სისულელეებს არ აპრუტუნებდეს, ეს მეათეხარისხოვანია ამათთვის.

**— აზერბაიჯანი მოგვაწვდის გაზის იმ რაოდენობას, რასაც კალაძე „გაზპრომს“ ევაჭრებოდა. ადრე აზერბაიჯანელებმა თქვეს, ვერ მოგაწვდით, ამის ტექნიკური საშუალება არ გვაქვსო. ახალი მილსადენი არ აუშენებიათ და ვინ გვატყუებდა, კალაძე თუ „სოკარი“?**

– ჩემი აზრით, ალიევმა მიიღო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება რეალობის გათვალისწინებით: პოლიტიკური დივიდენდი ამჯობინა ფინანსურ მიზანშეწონილობას. ვინაიდან დღეს აზერბაიჯანი და თურქეთი ერთ უღელში შებმული ორი გაერთიანებული პოლიტიკური ძალაა და არც თურქეთს, არც აზერბაიჯანს არავითარ შემთხვევაში არ აწყობთ კი არა, გაგონებაც არ უნდათ „გაზპრომის“ და რუსეთის გაძლიერება ამ რეგიონში, ვინაიდან ხვალ-ზეგ რა ფორმებს მიიღებს რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება, ეს არავინ იცის. ალიევი თავის მოსახლეობას გაუძვირებს გაზს, კიდევ რომელიღაც თავის რეგიონს, ან გარე კლიენტს მოაკლებს გაზს, მაგრამ არ დაუშვებს, რომ მისი ჩანაცვლება, თუნდაც პატარა სეგმენტით, მოხდეს „გაზპრომის“ მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ეს მართლაც სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ მეორე ინტრიგნული საკითხია აქ: როდესაც კალაძემ თქვა, მატერიალურად, ფინანსურად ჩვენ უფრო მომგებიან მდგომარეობაში ვიქნებითო, ეს აისახება ტარიფზე? თუ ჩვენს ენერგეტიკის სამინისტროს მეტი ფული რჩება და გაზს უფრო იაფად ვიღებთ, ვიდრე, ვთქვათ, უნდა მიგვეღო, აისახება ეს თუნდაც კაპიკებით საწყალი ხალხისთვის გაზის ტარიფზე?

## ვასაძე: ჩემთვის სულ ერთია, კრემლს დაგვამონებენ, თუ ბრიუსელს...



– მეცოდება ჩვენი სამინისტრო, რადგან ორ ცეცხლს შუა არის. რაც შეგვიძლია, ვაკეთებთ, გაჩუმება არ შეგვიძლია, – ამის შესახებ ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ საქართველოს პარლამენტში განაცხადა, სადაც ის განათლების კომიტეტის სხდომას დაესწრო.

ლევან ვასაძე დარწმუნებულია, რომ საგანი არის დაკვეთილი, ინსპირირებული უცხოური არასამთავრობოების მიერ. ლევან ვასაძის თქმით, სახელმწიფოს ფუნქცია არ არის ბავშვის ზნეობრივი აღზრდა, როგორც კი სახელმწიფო ამაში ერევა, აქ კარგი არაფერი ხდება.

– ჩემთვის სულ ერთია, კრემლს დაგვამონებენ, თუ ბრიუსელს. მე მინდა ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობა და შვილების ბედნიერი მომავალი. რაც მთავარია, ჩვენ არ გვაქვს ეს პრიორიტეტები, ჩვენს ბავშვებს სჭირდებათ უკეთესი განათლება, მეტი მათემატიკა, ფიზიკა, უცხო ენა, ისტორია იმისთვის, რომ მათ კარგად ჩააბარონ უმაღლესში, იმისთვის, რომ ცხოვრებაში იყვნენ წარმატებულები. ეს საგნები მათ არაფრისთვის არ ამზადებს არც ერთ უმაღლესში ჩასაბარებლად, არც ერთი სახის პროფესიაში წარმატებისთვის.

მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ საგანს არ მიიღებენ. ჩემთვის სულ ერთია, კრემლს დაგვამონებენ თუ ბრიუსელს. მე მინდა ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობა და ჩემი შვილების ბედნიერი მომავალი, – განაცხადა ლევან ვასაძემ. (პირველი რადიო)

## სოფელ მაწიმში მცხოვრებმა 19 წლის გოგონამ თავი ჩამოიხრჩო



ლაგოდეხის რაიონის სოფელ მაწიმში, 19 წლის გოგონამ თავი ჩამოიხრჩო. შემთხვევაში გუშინ მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, გოგონა სტუდენტი იყო და თბილისში სწავლობდა. მათივე ინფორმაციით, იგი მაწიმში ოჯახთან დროებით იყო ჩასული.

სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის განმარტებით, თვითმკვლელობის ზუსტი მიზეზი უცნობია. ერთ-ერთ ვერსიად კი, გოგონას ჯანმრთელობის პრობლემა სახელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე საქმე, სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მოკვლევას ლაგოდეხის რაიონული პოლიცია აწარმოებს. (pia.ge)

# რატომ დააპატიმრეს ტურისტული კომპანიის გაგზავნილი 15 ქართველი ისრაელის საზღვარზე

შესაძლოა, ბევრმა თქვენგანმა, რომელიც სამოგზაუროდ წასვლას გეგმავს, არ იცის, რომ ქვეყნის საზღვარზე შესაშვებად 100-პროცენტიან გარანტიას ვერც ტურისტული კომპანიების ტურები გაძლევენ. როგორც აღმოჩნდა, ტურით წასვლა არ არის გარანტი, რომ ბილეთისა და სასტუმროს ფული არ დაგეკარგებათ, ან საზღვარზე მისულს უკან არ გამოგაბრუნებენ. აღმოჩნდა, რომ ტურისტული სააგენტოების ნაწილი გამგზავრების მსურველებს წინასწარ არ აფრთხილებს საზღვარზე შესაძლო უარის თქმის შესახებ. სწორედ ასეთი ამბავი შეემთხვა ჩვენს რესპონდენტსაც, რომელიც ცოტა ხნის წინ ისრაელში ტურით წავიდა, თუმცა დასვენების ნაცვლად რამდენიმედღიანი „პატიმრობა“, შემდეგ კი უკან დაბრუნება მოუხდა. ეკატერინე კობახიძემ თავისი პრობლემის შესახებ გვიამბო:

– მე და ჩემს ნათესავს გვინდოდა ისრაელში წასვლა. წმინდა მიწაზე მოსალოცად მივდიოდით ტურისტული კომპანიის ტურით. ეს იყო 5-დღიანი ტური და გადავიხადეთ 1500 დოლარი. მივფრინავდით 21 თებერვალს და 25-ში უკან უნდა დავბრუნებულიყავით. აეროპორტში თავად ეს ქალბატონიც იყო მოსული, ნონა ენუქიძე, რომელმაც ეს ტური მოამზადა და რომელთანაც გვქონდა კონტაქტი. აეროპორტში საბუთები გადმოგვცა და გვითხრა, ვინ დაგვხვდებოდა. ნონას ვენდობოდით და აზრადაც არ მოგვსვლია, საბუთებში ჩაგვეხედა. რეგისტრაციის გავლისას მესაზღვრემ გვითხრა, ეს საბუთები წესრიგში არ არის და უკან რომ დაგაბრუნონ, არ გაგიკვირდეთო. უკვე ჩასხდომა იწყებოდა, ვერც იმ ქალს დავურეკეთ ამბის გასარკვევად, ამიტომ გავფრინდით. ისრაელში ჩასულებს აეროპორტში დაგვხვდა ადამიანი, რომელსაც საემიგრაციო სამსახურში უნდა მივეყვანეთ საბუთების შესამოწმებლად, სადაც კიდევ ერთი ადამიანი დაგვხვდებოდა. სულ ტურში 15-ნი ვიყავით, აქედან ვინც ყველაზე კარგად იცოდა რუსული, საბუთები იმას მივეცით, რომ აეხსნა ყველაფერი. როცა შემმოწმებელ ქალბატონს მიაწოდა ჩვენი საბუთები, ერთი ჩახედა და გვითხრა, თქვენ ტურისტებად არ ჩამოსულხართო.





**— როდესაც საქართველოში საბუთები მოგცათ იმ ქალბატონმა, არ გადახედეთ, რა ეწერა შიგნით, ნუთუ არ დაგაინტერესათ?**

– დრო არ გვქონდა, აეროპორტში მოგვცა, უკვე რეგისტრაცია იწყებოდა. რომ ჩავედით, ყველას საბუთები რომ შეამოწმეს, ვინც გვიმოწმებდა, იმ ქალმა გვითხრა, მწყობრში არ გაქვთ საბუთებიო. ჩვენ ვუთხარით იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვისაც სასტუმროში უნდა წავეყვანეთ, მაგრამ ის პიროვნება იქ არ დაგვხვდა. გვითხრეს, მისი ნომერი გვითხარით, დავურეკავთო, მაგრამ ნომერი არ გვქონდა. საქართველოში დარჩენილ ამ ქალბატონს მივწერეთ, ასეთი მდგომარეობაა და დაგვეხმარეთო, ის კი უბრალოდ გვამშვიდებდა და დახმარებას გვპირდებოდა. 7-საათიანი ლოდინის მერე გვითხრეს, საეჭვო საბუთები გაქვთ, ამიტომ ქვეყანაში ვერ შეგიშვებთო. გაგვჩხრიკეს, ჩამოგვართვეს ნივთები, ტელეფონებიც და წაგვიყვანეს საემიგრაციო სამსახურში, იქვე აეროპორტში, მაგრამ ციხეს უფრო ჰგავდა, ისეთი პირობები იყო. 25-შია თქვენი ფრენა, ამიტომ იქამდე აქ უნდა იყოთო. 15-კაციან ჯგუფში ოთხი გოგო ვიყავით. ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, საშინელი პირობები იყო, 3 დღე ჯოჯოხეთში გავატარეთ. ბოლოს ჩვენიდან ერთმა როგორღაც შეძლო, ტელეფონით დაკავშირებოდა საქართველოში ახლობლებს. მივიდნენ ისინი სააგენტოში, აუხსნეს ჩვენი მდგომარეობა, მათ კი უპასუხეს, ვიცით იქ რაც ხდება, არ ინერვიულოთ, უკან გამოფრინდებიან მალე, კარგად არიანო. მაგრამ რეალურად საშინელ პირობებში ვიყავით. 23 თებერვალს გამოვფრინდით, რეგისტრაციის გარეშე აგვიყვანეს თვითმფრინავში და ჩამოვედით საქართველოში.

**— მიაკითხეთ სააგენტოში ამ ქალბატონს?**

– კი, თუმცა თავად არ იყო, დაგვემალა. სხვა თანამშრომლები დაგვხვდნენ, ავუხსენით ვითარება და იცით, რა გვითხრეს?! მასე რომ მოხდებოდა, არ იცოდითო? აქეთ დაგვიწყეს კამათი, თქვენ იქ დასარჩენად და სამუშაოდ მიდიოდითო. ეს ხომ სისულელეა, არ ვიცი, სხვა რას აპირებდა, მაგრამ მე და ჩემს ნათესავს წლებია წმინდა მიწის მოლოცვა და ნახვა გვინდა, სწორედ ამიტომ მივდიოდით. ამ სააგენტოში წინასწარ არავის გავუფრთხილებივართ, რომ შეიძლებოდა, უკან გამოვეშვით ან ისეთი საშინელი პირობები თუ იქნებოდა.

მოგვიანებით, ცალ-ცალკე გაიყვანეს ტურის წევრები და თანხას სთავაზობდნენ გასაჩუმებლად, თავიდან ყველას გვითხრეს, რომ მხოლოდ 650 დოლარს დაგიბრუნებთო, არადა 1500 დოლარი დაგვიჯდა ეს ტური. სულ რომ არ დაგვეკარგა თანხა, 650 დოლარი ავიღეთ, მერე 150 დოლარი დაგვიმატეს, თუმცა საქმე მხოლოდ თანხაში ხომ არ არის, ამხელა მორალური ზიანი მივიღეთ და ჩვენ მაინც ვუჩივლებთ...

ambebi.ge ტურისტული სააგენტო „რეალ-თრეველის“ წარმომადგენელ ნონა ენუქიძეს დაუკავშირდა, რომელმაც გააგზავნა ისრაელში ტურით 15 ადამიანი. ენუქიძის თქმით, მისი ინფორმაციით, ეს ადამიანები არა ტურისტებად, არამედ ისრაელში სამუშაოდ დასარჩენად მიდიოდნენ.

– საბუთები ყალბი იყო თუ არა, ამის შემოწმება ძნელი არ არის, გვყავს ებრაული კომპანია, რომელიც არის მომწვევი მხარე, ჩვენ უბრალოდ აქ ვუკეთებთ სამოგზაურო დაზღვევას და თვითმფრინავის ბილეთს, დანარჩენს აკეთებს ის ებრაული კომპანია. ყველაფერი წინასწარ იყო გადახდილი, შემოწმებული. არც ჩვენ მოვქცეულვართ უყურადღებოდ, ისრაელში საქართველოს კონსულიც კი ჩავაყენეთ საქმის კურსი, ამ მოქალაქეების დახმარება ვთხოვეთ, რადგან საბუთები წესრიგში ჰქონდათ.

ის ინფორმაცია, რომ თითქოს ტურისტებად მიდიოდნენ და უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ, არასწორი ინფორმაციაა და ეს ეჭვი გაუჩნდათ ისრაელის საზღვარზეც. საქართველოს კონსულმაც გაარკვია ვითარება და თავად მას ასე უთხრეს ამ ჯგუფის წევრებზე, – ჩვენ ეჭვი შევიტანეთ, რომ ეს ჯგუფი სამუშაოდ არის ჩამოსული და არ არიან ნამდვილი ტურისტები, სწორედ ამ მიზეზით გამოვაბრუნეთ უკან. იქ არ ყოფილა საუბარი ყალბ საბუთებზე. ზოგადად ფონია ასეთი, რომ ისრაელში ბევრი მიდის ტურისტის სახელით, საბოლოოდ კი სამუშაოდ რჩებიან.

(ambebi.ge)


**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-26 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა ტიპის მექანიკური მოწყობილობების შესყიდვასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 მარტი 15 საათი.*


ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თამარ კორძაია: ავკრძალოთ სიგარეტი და მწეველებს ხელიდან ავართვათ მოკიდებული ღერი



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამარ კორძაია მარიხუანის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით არსებულ აზრთა სხვადასხვაობას ეხმაურება და საკუთარ მოსაზრებას სოციალურ ქსელში სტატუსის სახით აქვეყნებს.

– დიდი დისკუსიაა იმასთან დაკავშირებით, მარიხუანის მოხმარებისთვის ადამიანი უნდა იჯდეს თუ არა ციხეში?! სასჯელის მომხრეების ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ მომხმარებელი ვნებს ჯერ საკუთარ ჯანმრთელობას და შემდგომ ვნებს გარშემო მყოფ პირებს, აძლევს მავნე მაგალითს. სიგარეტის კოლოფებს, ძირითადად, აწერია: „მოწევა კლავს“. ავკრძალოთ სიგარეტი, დავიწყოთ მასობრივი სვლები ქუჩაში და მწეველებს ხელიდან ავართვათ მოკიდებული ღერი და გადავუგდოთ. თან მაღალმორალურად ავუხსნათ, რომ ასეთი ქცევის ნახვისას ნებისყოფა არ გვეყოფა და ჩვენც მოვიკლავთ თავს, ხოლო მათ კი, ვინ მისცა უფლება, ჩვენს ნებისყოფას შეეხოს?!

ამაზე ვსაუბროთ და ვკამათობთ! საკუთარი თავის რწმენა არა გვაქვს და სხვას ვსჯით! საკუთარი თავისუფლების განცდაც არა გვაქვს, ანუ არ გვინდა თავისუფლება და გვინდა სხვასაც წავართვათ?! ოღონდ არ მინდა ლექციები, თავისუფლება ესააა და ისააა. ამას აჯობებს, წაიკითხოთ მილი ან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება! – წერს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე თამარ კორძაია.

(kvira.ge)


**შპს — უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“ 2016 წლის 02 მარტიდან აცხადებს კონკურსს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტი პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ქვემოჩამოთვლილ ფაკულტეტსა და მიმართულებაზე:**

**1. მიმართულება-სოციალური მეცნიერებები საერთაშორისო ურთიერთობები**
* პროფესორი – 1 ადგილი;
* ასოცირებული პროფესორი – 3 ადგილი;
* ასისტენტი პროფესორი – 3 ადგილი;
* ასისტენტი – 3 ადგილი

**საკონკურსო პირობები**

– პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

– ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

– ასისტენტ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

– ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას – დოქტორანტი;

– აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა **შპს – უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“**-ში უნდა წარმოადგინოს

ა) საკონკურსო განაცხადი/ანკეტა შევსებული დანართის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში სასწავლებლის ვებგვერდზე ან შესაძლებელია მიღებული იქნას სასწავლებლის კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

დ) სამეცნიერო ხარისხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დოქტორანტების შემთხვევაში – დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა;

ე) CV (ავტობიოგრაფია)

ვ) 2 (ორი) ფოტოსურათი.

ზ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის კვლევით პოტენციალს (ასისტენტის შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა სავალდებულო არ არის);

თ) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკის დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში ან სათანადო წესით გაცემული ცნობა);

კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემების შეფასება მოხდება სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ.

**შენიშვნა:** აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას კვალიფიციური პირი პროფესიული ნიშნით, ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს პროფესიული ნიშნით, საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა) საკონკურსო განაცხადი/ანკეტა შევსებული დანართის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში სასწავლებლის ვებგვერდზე ან შესაძლებელია მიღებულ იქნას სასწავლებლის კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები;

დ) CV (ავტობიოგრაფია);

ე) 2 (ორი) ფოტოსურათი;

ვ) პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სპეციალური მომზადების ან/და გამოქვეყნებული პუბლიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:

ა) მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს კონკურსანტს საცდელი ლექციის ჩატარება.

**საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა №35.**

**კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 2 მარტიდან, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 04 მარტიდან 8 აპრილის ჩათვლით, კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2016 წლის 15 აპრილისა.**

## საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები მსოფლიო რეიტინგში დაწინაურდა



Worldrugby-მ მსოფლიოს ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველოს ნაკრები 1 პოზიციით დაწინაურდა და მე-13 ადგილს იკავებს.

ბორჯღალოსნებმა იტალიას გაუსწრეს. რეიტინგს კვლავ ახალი ზელანდიის ნაკრები ლიდერობს.

შეგახსენებთ, რომ საქართველო ერთა თასის გათამაშებაში მონაწილეობს და ქართველ მორაგბეებს ჩატარებული სამივე შეხვედრა მოგებული აქვთ.

მომდევნო მატჩს ბორჯღალოსნები 12 მარტს, რუსეთის წინააღმდეგ გამართავენ. (rustavi2.com)

## ირმა ინაშვილი: როცა თინა ხიდაშელის პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, რა საყვარლად არიან ნაცები გატრუნულები?!



„პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი ირმა ინაშვილი საგარეჯოს რაიონში გამართული არჩევნების შედეგებს კიდევ ერთხელ ეხმაურება და აღნიშნავს, რომ შედეგები გაყალბებულია, რაშიც საზოგადოება ჯარისკაცების ინტერვიუების გაცნობის შემთხვევაში კიდევ უფრო დარწმუნდება.

ინაშვილი საეჭვოდ მიიჩნევს იმ ფაქტსაც, რომ ბოლო 2 დღეა მუხროვანის სამხედრო ნაწილი ჟურნალისტებისთვის ღიაა, თუმცა არჩევნების დროს ვითარება სულ სხვაგვარი იყო...

– ბოლო 2 დღეა, მუხროვანის სამხედრო ნაწილი ღიაა ჟურნალისტებისთვის. კარგი იქნებოდა, ასეთ „დემოკრატიულ" საარჩევნო უბანზე არჩევნების დღესაც გაეხსნათ კარი მედიის წარმომადგენლებისთვის. არადა, არ გახსნეს. დახურეს. რატომ? აააა, არ უნდოდათ, ვინმეს ენახა, რა „ჰარმონიულად" ტრიალებდა ცნობილი „კარუსელი" და როგორ აკეთებდა ჯარი არჩევანს მხოლოდ 41-ის სასარგებლოდ, როგორც ჩრდილოეთ კორეაში ხდება ხოლმე.

თავდაცვის მინისტრის ემოციური მდგომარეობა ჩემთვის ადვილად ასახსნელია, მაგრამ გადაეცით კეთილისმსურველებმა – თავი დაანებოს ჯარისკაცების ინტერვიუებით მანიპულირებას. ეს მას ვერ დაიცავს. რაც მეტი ჯარისკაცი გამოდის და ამტკიცებს, რომ საგარეო კურსის მიხედვით გააკეთა არჩევანი, უფრო მარტივად დასტურდება, რომ ჯარი პოლიტიზებული და არათავისუფალი იყო.

P.S. როცა საგარეჯოს არჩევნების გაყალბებასა და თავდაცვის მინისტრის პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, რა საყვარლად არიან ნაცები გატრუნულები?! გატრუნულები იმიტომ არიან, რომ გარდაბანში თინიკომ „გაუგორა", ჯარის ხმები აჩუქა. ეტყობა, იორმუღანლოს ვალი გადაუხადა. (რეპორტიორი)

# რას ელოდება და რა საქმეებს გადააყოლებს კახა კალაძეს ივანიშვილი?



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ახალი პოლიტიკური სამიზნე ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე ხდება. ბიძინა ივანიშვილი რომ კახი კალაძის საქმიანობით უკმაყოფილოა, ამაში „ალიას" სანდო წყარო რამდენიმე თვის წინ არწმუნებდა, განსაკუთრებით კი, კახი კალაძის დაუცხრომელი ბიზნესმადა ყოფილა ივანიშვილისთვის მიუღებელი და მას კალაძისთვის უთქვამს კიდეც, – გეყოფა, კახი, ნუ გადაგვაყოლე ამ შენს ბიზნესინტერესებს, შენს ჰესებს, დაოკდი, თორემ ამქვეყნად მარადიული არაფერია, მათ შორის, არც შენი თანამდებობაო. კახი კალაძემ „გაზპრომთან" წამოწყებული, სკანდალად ქცეული მოლაპარაკებები დათმო, მას საჭე ბაქოსკენ აიღებინეს. აღმოჩნდა, რომ „სოკარს" შეუძლია საქართველო უზრუნველყოს იმდენი გაზით, რამდენსაც ქართული მხარე „გაზპრომისგან" ელოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შემდეგ, რაც კოალიციაში გაირკვევა „რესპუბლიკელების" და „მრეწველების" ბედი, შემდეგი გასარკვევი საკითხი იქნება კალაძის თემა, რომელიც, როგორც ამბობენ, სახიფათო თამაშებშია შესული და „ნაცმოძრაობის" ბიზნესმენებისა და მათი ბიზნესების გადარჩენით არის დაკავებული. ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ „ყველაზე მთავარი" დუმს. ამ დროს, კალაძე, რომელიც დამოუკიდებელ თამაშს დიდი ხანია თამაშობს, სიებიდან დაწყებული, ბიზნესებით დამთავრებული, ერევა ყველგან და ყველაფერში. ბევრი მას ახასიათებს, როგორც არასანდო პარტნიორს, „გადამგდებს" და მხოლოდ მათთან ურთიერთობს, ვინც მის პირად ინტერესებში შედის. თუკი კალაძე ვერ ხედავს საკუთარ ბიზნესს ან პარტიულ ინტერესებს, არავის ინდობს და ერთი ხელის მოსმით ანადგურებსო.

ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ, უკვე ბევრ რამეზე საუბრობენ. იმ პერიოდში კალაძე დაინტერესებული იყო, პრემიერის პოზიცია დაეკავებინა. რეალურად კალაძე და ღარიბაშვილი ერთმანეთს ბევრ სხვა საკითხთან ერთად უპირისპირდებოდნენ „ნაცმოძრაობის" ბიზნესმენების მფარველობის გამო, რასაც კალაძე ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან წარმატებით ახერხებდა. როგორც ამბობენ, მან შეძლო და „ნაცმოძრაობის" ბიზნესები გადააფორმა მის ახლობლებზე, მათი კვალი გააქრო, მაგრამ რეალურად, კვლავ ის ადამიანები რჩებიან იმ ბიზნესების პატრონებად. კონკრეტული მასალები არჩევნების წინ კომპრომატებად გამოქვეყნდება და კალაძის მიმართ დაგროვილი პრეტენზიები ფართომასშტაბიანი აქციის სახეს მიიღებს. რამდენიმე დღის წინ „თავისუფალი თაობის" ლიდერი, ლადო სადღობელაშვილი, რომელმაც თავისი აქციებით „ნაციონალებს" ლამის სისხლი გაუშრო და ოფისში მისვლა შეაძულა, ახალ სამიზნედ კახა კალაძე დაიგულა. ორიოდე დღის წინ ის „ფეისბუქზე" წერდა: „იცით, რა ხდება „ოცნებაში"? კალაძის პარადია... პარადნოი კი მისი ნათესავები, ზოგი უდიპლომო, ზოგი უქნარა, ზოგი – კრიმინალი. მე ვესაუბრე ახალგაზრდებს, რომლებმაც 4 წელი ოფლი ღვარეს, შეაკვდნენ „ნაციონალებს" და რა მიიღეს? მოვიდა კალაძის სანათესაო და ჰაიდა, პაშოლ... თვითონ კალაძე კი დაეპატრონა „ნაცების" ბიზნესებს, მათ შორის – შარანგიების „ენერგოპროჯორჯიას" და აგერ, „ტოპ-50"-ში ყველაზე იმიჯნოი და სტილიაგა მაჩოს ელფერით იწონებს თავს. „ნარცისი" და „დოლჩე-გაბანას" საცვლების სახე იყავი და დარჩები სულ, ჩვენ კი „თავისუფალი თაობა" გიცხადებთ ომს და ვიწყებთ შენი ბიზნესების მხილებას, შეჭამე საქართველო, „ნაცების" გზის გამგრძელებელო, „ნაცების" და კრიმინალების შნირო, ამდენ ხანს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის გამო ვიკავებდით თავს, თუმცა, როგორც ვატყობ, ზღვარს გადახვედი. P.S. შენ დაანგრიე ყველა იდეალი იმისა, რატომ გქომაგობდათ საქართველო „ოცნებას", შენ ბოლო მოუღე ღარიბაშვილს და ეხლა ფრთებგაშლილი დაეპატრონე ყველაფერს. შენ ჩვენი ოცნება არ ხარ..."

სადღობელაშვილს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი გამოეხმაურა, რომელიც ამ ბოლო დროს, მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, ასტრონომიიდან გასტრონომიამდე ყველა თემაზე კომენტარს აკეთებს და თავდაცვის მინისტრისთვის შეუფერებელი განცხადებებით გამოდის: „ეს ის ბუმერანგია, რომელიც მუდამ უკან ბრუნდება. გუშინ მე ვიყავი პროგრამაში, დღეს – კახი. აქ არ გაჩერდება. ეს აქლემი ჭიშკარ-ჭიშკარ ჩამოივლის, მისმა პატრონებმა თუ ფსევდოპატრონებმა ყველამ ერთად მიხედეთ, რა დღეშია, დაილია კაცი ვედრებით. ხოდა, კიდევ პროკურატურას ოფიციალურად საჯაროდ მივმართავ, საჯარო განცხადებებზე მათი სენსიტიურობის მჯერა და ამიტომ, იქნებ დაინტერესდეთ და გაარკვიოთ, რა იცის ამ კაცმა. ისეთ განცხადებებს აკეთებს, პანკისში ტერორისტებიო და რა ვიცი, რა ვიცი, სულ არ მაინტერესებს, რამდენ სიბინძურეს გაისვრის ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, შორს, თქვენი ბინძური ხელები ქვეყნისგან, ჯარისგან, თავდაცვისგან, სასაცილოც კი აღარ არის ეს ყველაფერი..." ქალბატონო მინისტრო, თუ თქვენთვის სასაცილოც აღარ არის ეს ყველაფერი, თუ სულაც არ გაინტერესებთ რამდენ სიბინძურეს გაისვრიან თქვენს წინააღმდეგ, პირველი – საკუთარ თავს ჯართან ნუ აიგივებთ, მინისტრები მიდიან და მოდიან და მეორეც, მუდმივად მიკვირს, როგორ ახერხებთ, ასეთი აქტიური იყოთ სოციალურ ქსელში და თითქმის ნებისმიერს უპასუხოთ განცხადებით. თუკი ლადო სადღობელაშვილი თქვენთვის არაფერს ნიშნავს, რატომ პასუხობთ მას, ისეთ საკითხში ხომ არ შეგეხოთ, რომელიც მტკივნეულია?!. რატომ არ დაინტერესდით, სადღობელაშვილმა ჯერ თქვენ რატომ ამოგიჩემათ და შემდეგ, კახი კალაძე და თქვენ ორს რატომ გიკავშირებთ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომას? ან ერთმა და ან მეორემ, სად დაუშვით შეცდომა, იქნებ თქვენი ახირება და ინტრიგები იყო ის, რომ პოზიციები შეუსუსტდა და საბოლოოდ, შემჭიდროებულ ვადებში გადადგა? ამ შემთხვევაში მუშაობს ბუმერანგის პრინციპი, რასაც გაისვრი, ის უკან დაგიბრუნდება.

ივანიშვილი კარგად ხვდება, რომ „ქართულ ოცნებას" „რესპუბლიკელებზე" არანაკლებ უტეხს სახელს ენერგეტიკის მინისტრი, კალაძის წინააღმდეგ კამპანია ასე მარტივად არ დასრულდება და დადის ხმები, რომ ღარიბაშვილის ბედს გაიზიარებს. თუმცა ირაკლისგან განსხვავებით, კალაძე ცბიერი და საშიშია, იგი ალბათ, არ გაუწევს ივანიშვილს ანგარიშს და არ ეტყვის, – „როგორც თქვენ მეტყვით, ბატონო ბიძინა", „მადლობა, ბატონო ბიძინაო", მას ყველგან აქვს ნიადაგი მოსინჯული. ყველაზე მეტი მხარდამჭერი კი „ნაცმოძრაობაში" ჰყავს.

ჯერ კიდევ არავინ იცის, როგორ დასრულდება კოალიციაში დაწყებული დაპირისპირება. ზოგიერთ ჭკუასუსტ პოლიტიკოსს რომ ჰკითხოთ, გიპასუხებთ, – კოალიცია ეკლექტურია და ასეთი შეცდომები ხშირიაო, მაგრამ ეს არ არის შეცდომა. ეს არის ბრალდებების ნიაღვარი და წარმოუდგენელია თოფაძის „მრეწველებისა" და „რესპუბლიკელების" ერთ კოალიციაში ყოფნა, მას შემდეგ, რაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ და ერთმანეთი არ დაინდეს, როცა თავდაცვის მინისტრს სისხლის სამართლის დანაშაულში ამხელ და არჩევნების გამყალბებელს უწოდებ, ეს არის უმძიმესი ბრალდება, რაც შეიძლება პოლიტიკოსს დააბრალო. განა ულირდა კი შუალედური არჩევნები თავდაცვის მინისტრს ამხელა აჟიოტაჟად?!. უსუფაშვილმა თავისი ცოლის საქციელის გამართლება სცადა, თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრები სინდისთან, კანონთან და საკუთარ ამომრჩეველთან მართლები არიანო. დარლოდე გამოძიების შედეგებს, სად მიაჭენებ?

ამ კვირაში დაგეგმილია პოლიტსაბჭოს ჩატარება, სადაც „რესპუბლიკელები" და „მრეწველები", სავარაუდოდ, ერთმანეთში რინგს გამართავენ. მიუხედავად იმისა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნების" სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ორივე მხარე თანაბრად დაადანაშაულა და მოითხოვა, რომ ერთმანეთისადმი დისკრედიტაციული განცხადებების კეთება შეწყვეტილიყო, ეს არც გოგი თოფაძემ გაითვალისწინა და არც ხიდაშელმა. „მრეწველთა" ლიდერი არა თუ არ დაოკდა, უფრო შორს წავიდა და „რესპუბლიკურ პარტიას" ადანაშაულებს, რომ მათ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება სურთ საქართველოში, მმართველი გუნდის მთავარი შეცდომა კოალიციაში „რესპუბლიკური პარტიის" არსებობაა, კოალიციას მართავენ „რესპუბლიკელები", მათი პრეტენზიები და ამბიციები ვერც კოალიციამ ვერ დააწყნარა, არიან ამბიციურები, სურთ ყველაფერში თავისი გაიტანონო.

გოგი თოფაძე უკან არ დაიხევს, „რესპუბლიკელები" კვლავ შანტაჟის გზით მიდიან, ყველაზე მთავარი არბიტრი – ბიძინა ივანიშვილი დუმს, ის არ ჩქარობს ვერდიქტის გამოტანას, არჩევნებამდე ჯერ კიდევ დროა და ვიდრე საგაზაფხულო სესია არ ამოიწურება, არ არის გამორიცხული, უფრო დიდი დაძაბულობის მომსწრენი გავხდეთ და პარლამენტის დახურვის შემდეგ ივანიშვილმა საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს, რაც შესაძლოა, „რესპუბლიკელებისთვის" საზიანო აღმოჩნდეს. მერე რა, რომ ივანიშვილი წლების მანძილზე მათ იცავდა, ბევრს გაუჩინა შეგრძნება, რომ იდეოლოგიით თავად ივანიშვილი არის „რესპუბლიკელი", მთავარია, ხვალ რა მოცემულობა იქნება, ეს არავინ იცის და ამ ბოლო დრო ივანიშვილს კიდევაც უთქვამს: „ტყუილად მაშანტაჟებთ, თქვენი პროდასავლურობით. მსოფლიო გეოპოლიტიკური მდგომარეობა ისეთი სისწრაფით იცვლება, რომ შეიძლება ხვალ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნა ქვეყანას ძვირად დაუჯდეს".

და მაინც, ყველაფერი იმ „ერთი კაცის" გადასაწყვეტია, რომელიც ყველაზე უკეთ გრძნობს, რა დროს რა კონფიგურაციით იხელმძღვანელოს, ვინ გაიყვანოს პოლიტიკური ავანსცენიდან და ვინ შემოიყვანოს. ყველა დანარჩენი ხომ ბიძინა ივანიშვილის მარიონეტები არიან. ამ საჭადრაკო დაფაზე კი მხოლოდ ის „ერთი კაცი" თამაშობს.

> „კალაძე, რომელიც დამოუკიდებელ თამაშს დიდი ხანია თამაშობს, სიებიდან დაწყებული, ბიზნესებით დამთავრებული, ერევა ყველგან და ყველაფერში. ბევრი მას ახასიათებს, როგორც არასანდო პარტნიორს, „გადამგდებს" და მხოლოდ მათთან ურთიერთობს, ვინც მის პირად ინტერესებში შედის. თუკი კალაძე ვერ ხედავს საკუთარ ბიზნესს ან პარტიულ ინტერესებს, არავის ინდობს და ერთი ხელის მოსმით ანადგურებსო"

## იქნება თუ არა საარჩევნო სიაში სანდრა რულოვსი?



გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სიის პირველი ნომერი ყოფილი პირველი ლედი იქნება, თავად სანდრა რულოვსი „ფეისბუკით" ეხმაურება და წერს:

– მინდა ყველას გასაგებად ვთქვა და ნურავის ნუ ეწყინება, რომ მე ბუნებით უფრო რეჟისორი ვარ, ვიდრე მსახიობი, რომელიც სხვისი დაწერილი სცენარიდან როლებს ირგებს! – წერს სანდრა რულოვსი. (პირველი რადიო)

## ბესელია იმ წერილს ასაჯაროებს, სადაც პატიმარი ელისაშვილს თანხის სანაცვლოდ შეწყალების შეთავაზებაში სდებს ბრალს



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია პატიმრის მიერ მიწერილ წერილს ასაჯაროებს, სადაც პატიმარი ალეკო ელისაშვილს თანხის სანაცვლოდ შეწყალების შეთავაზებაში სდებს ბრალს.

განცხადება ბესელიამ ტვ „პირველის" ეთერში გააკეთა. დეპუტატმა ის წერილები წარადგინა, რომელიც, მისი თქმით, ცოტა ხნის წინ პატიმრისგან მიიღო და რომელიც ამტკიცებს, რომ შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობისას ელისაშვილი 50 ათას ლარს ითხოვდა რეკომენდაციის სანაცვლოდ.

დეპუტატის განცხადებით, მან დოკუმენტები უკვე გადაუგზავნა მთავარ პროკურატურას და მომხდარის გამოძიების თხოვნით მიმართა.

ბესელია კიდევ ერთხელ ეხმაურება ალეკო ელისაშვილის განცხადებებს და მას ულირს ვაიპოლიტიკოსს უწოდებს.

რაც შეეხება ბესელიას ბრალდებებზე ელისაშვილის პასუხს:

– ბესელიას ვერ წარმოუდგენია პატიმრებთან დაკავშირებით ფული არ აკეთოს და ჰგონია, რომ, ვისაც პატიმრებთან რამე შეხება აქვს, აუცილებლად კორუფციაში არიან ჩართულები. ღმერთმა დამიფაროს ვინმესთან ფულზე მელაპარაკოს. პიარულად სიბინძურე მოიფიქრა, მარტივად დავადასტურებ, რომ მსგავსი რამ არ მომხდარა და კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდებ ეკა ბესელიას, რომელმაც კორუფციის ჭაობად გადააქცია „ქართული ოცნება"... პროკურატურამ გამოძიება უნდა დაიწყოს. ბესელია მიჩვეულია მარჯვნივ-მარცხნივ ფულის კეთებას და არ აინტერესებს საკუთარი იმიჯი, ერთადერთი უნდა, რომ სიაში მოხვდეს, მთავარია, ფული იშოვოს.

ძმარს ვადენ ამ სიტყვებისთვის ეკა ბესელიას, ბოდიშებს ვახდევინებ თავდახრილს და თავზე ნაცარწაყრილს, – აცხადებს ელისაშვილი. (პირველი რადიო)

## რამდენ ქვეყანაში იმოგზაურებთ მხოლოდ საქართველოს პასპორტით



როდესაც საუბარია სხვა ქვეყნის საზღვრის გადაკვეთაზე, ერთადერთი სამოგზაურო დოკუმენტი, რომელიც ამის უფლებას გაძლევთ, პასპორტია. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ პასპორტი არ არის საკმარისი, აუცილებელია ვიზაც.

საინტერესოა, რომელი ქვეყნის პასპორტის მქონე ადამიანს აქვს ყველაზე მეტ ქვეყანაში მოგზაურობის შესაძლებლობა.

„სავიზო შეზღუდვების 2016 წლის ინდექსის“ მიხედვით, ყველაზე მეტ ქვეყანაში უვიზოდ მოგზაურობის უფლება გერმანიის მოქალაქეს აქვს. გერმანული პასპორტი 177 ქვეყანაში უვიზოდ ჩასვლის საშუალებას იძლევა. მეორე ადგილას კი შვედეთია, რომლის პასპორტის მქონე პირს 176 ქვეყანაში უვიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობა აქვს.

მესამე ადგილს რეიტინგში ფინეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი ინაწილებს, ხოლო მეოთხეს: ბელგია, დანია, ნიდერლანდები და აშშ.

აღსანიშნავია, რომ აშშ 2014 და 2015 წლებში პირველ ადგილზე იყო.

რაც შეეხება საქართველოს, ის 71-ე ადგილასაა, მაშინ როდესაც გასულ წელს 78-ე პოზიციაზე იყო. (ambebi.ge)

## ტყიბულელი მაღაროელი: 50/50-ზეა - ან გადავრჩებით ან — არა



ტყიბულის მაღაროში დასაქმებული ადამიანების სამუშაო დღე დილის 6 საათზე იწყება 300 მეტრით ქვემოთ, მიწის ზედაპირიდან და გაურკვეველი შედეგით. არავინ იცის, დაბრუნდება თუ არა სამუშაო დღის ბოლოს სახლში.

როგორც ერთ-ერთი მაღაროელი ყვება, ცხოვრება და მუშაობა კაპიკების სანაცვლოდ უწევთ. სამუშაო პირობები კი წლების განმავლობაში უცვლელია. მაღაროში დასაქმებულები უმძიმეს შრომას სწევენ, ხოლო ანაზღაურება მინიმალური და არასათანადოა.

– ცხოვრება და მუშაობა კაპიკებად გვიწევს. ყოველდღე საკუთარ სიცოცხლეს ვრისკავთ. 50/50-ზეა – ან გადავრჩებით ან – არა. ჩვენი ოჯახები მხოლოდ მაღაროს შემოსავლით არსებობენ და სხვა არანაირი საშუალება არ გაგვაჩნია.

700 ლარი მაქვს ხელფასი, 500 უკვე დავარიგე ვალებში. ეს 200 ლარი მთელი თვე უნდა ვაკმარო ჩემს 1 და 9 წლის შვილებს. რომც არ გაზარდონ ხელფასი, მე მაინც მომიწევს მუშაობა, სხვა გამოსავალი არ მაქვს, ვინ მირჩენს ოჯახსა და შვილებს. მთელი ზამთრის განმავლობაში, 600 ლარის შეშა არ გვყოფნის. დილის ცვლა 6 საათზე იწყება. მიწის ზედაპირიდან 300 მეტრზე ჩავდივართ და დღის განმავლობაში ბევრ სირთულესთან გვიწევს გამკლავება. ყველაზე რთულია ე.წ. ჩაშვება, უსაფრთხოება მთლიანად ერთ ქალს აბარია, რომელიც მთელი სმენის განმავლობაში აკონტროლებს მიწის გულში ჩაშვებას. ამ ქალს 250 ლარი აქვს ხელფასი, რაც არანაირად არ შეესაბამება მის მიერ გაწეულ შრომას.

ბევრჯერ ვთხოვეთ კომპანიას, მოეგვარებინა და გაემართა სამუშაო ადგილები, მაგრამ წლებია, არავინ გვაქცევს ყურადღებას და ყველაფერი უცვლელია. ახლა თითქოსდა ხელფასების ზრდას დაგვპირდნენ, მაგრამ სანამ არ ვნახავ, რამდენი დამერიცხება თვის ბოლოს, მანამ ვერ დავიჯერებ. 5-პროცენტიანი ზრდა რას ნიშნავს, რომ 100 ლარზე 5 ლარს მაძლევენ?

აქციებზე 15 კაცი ვერ გავდიოდით. ჩვენც გვინდოდა იქ ყოფნა, მაგრამ სამუშაოს ვერ ვტოვებდით. მაღარო რომ მიგვეტოვებინა, მთელი ტყიბული საფრთხის ქვეშ დადგებოდა. შახტაში წყალი დადგება და შესაძლოა, აფეთქება და ნგრევა მოჰყვეს ამას. ჩამოიშალოს მიწა და ის ადგილები, სადაც მოსახლეობა დადის, – განაცხადა მაღაროში დასაქმებულმა. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მეჭიაური: სექსუალურ უმცირესობაზე შიშით ვერაფერი უთქვამთ, ყველაფერს ფობიას ეძახიან



პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი თამაზ მეჭიაური მიიჩნევს, რომ საქართველოში უმცირესობის (რელიგიური, სექსუალური) წარმომადგენლები უფრო მეტი უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე უმრავლესობის.

„საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები იზღუდება. ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის განხრით შიშით ვერაფერი უთქვამთ, ყველაფერს ფობიას ეძახიან. მართლმადიდებლების უფლებები იზღუდება კიდევ, რადგან მცირერიცხოვანი მრევლის რელიგიების წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში ძალიან მკვეთრად აკრიტიკებენ მთავრობას, რასაც არასდროს არ აკეთებს მართლმადიდებელი ეკლესია, იმ შემთხვევაშიც კი, როცა რაღაც პოზიციას არ ეთანხმება“, – აღნიშნა თამაზ მეჭიაურმა. (ipress.ge)

## კი, მაგარია ელტონ ჯონი, მაგრამ აბა, მიშას რატომღა ლანძღავდით — უცხოელი მუსიკოსები რატომ ჩამოჰყავსო, ჰა?!

საქართველოში შესაძლოა, ბრიტანელი მომღერალი ელტონ ჯონი ჩამოვიდეს.

ეკონომიკის მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა ტურიზმის განვითარების ფარგლებში პრეზენტაცია გამართა, სადაც ერთ-ერთ სლაიდში ელტონ ჯონის ფოტოც იყო განთავსებული. სლაიდის სახელწოდებაა ქვეყნის პოპულარიზაცია და ცნობადობის გაზრდა.

ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ზაფხულში მოსალოდნელია ბევრი საინტერესო ივენთი. არ არის გამორიცხული, რომ დიმიტრი ქუმსიშვილი დაანონსებულ ივენთებში ბრიტანელი მუსიკოსის ჩამოსვლას გულისხმობს.

ამასთანავე, ელტონ ჯონის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, მომღერალს მაისში ორი კონცერტი აქვს დაგეგმილი რუსეთში და, სავარაუდოდ, ამ კონცერტების შემდეგ ჩამოვა საქართველოში. (2030.news)

## გიგი წერეთელი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა



გიგი წერეთელი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად უკვე მეორე ვადითაა არჩეული. ამასთანავე, ის ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ფრაქციასაც ხელმძღვანელობს, რომელმაც გიგი წერეთელი ასამბლეის პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა. აღსანიშნავია, რომ ასამბლეის ამჟამინდელი პრეზიდენტის ილკა კანევრას (ფინეთი) საპრეზიდენტო ვადა ეწურება და ეუთოს წესდების თანახმად, ხელახალი კენჭისყრის უფლება არ აქვს.

არჩევნები 2016 წლის ივლისში, თბილისში, საგაზაფხულო სესიის მიმდინარეობისას გაიმართება, რომელსაც დაახლოებით 800-ზე მეტი სტუმარი ეყოლება.

ასამბლეის სესია, რომელზეც გიგი წერეთელი კანდიდატად დასახელდა, გასულ კვირას ვენაში გაიმართა. სესიაზე სიტყვით გამოსვლის გარდა, გიგი წერეთელმა შეხვედრები გამართა ასამბლეის პრეზიდენტ ილკა კანერვასთან, გენერალურ მდივან რობერტო მონტელასთან, ევროკომისართან ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების მართვის საკითხებში ქრისტოს სტილიანიდთან და ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის ოფისის ხელმძღვანელ გეორგ ლინკთან. შეხვედრების ფარგლებში განიხილეს საქართველოში ჩასატარებელი საზაფხულო სესიისა და ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებული თემები. (ნიუპოსტი)


ხრამი-2 KHRAMI-2

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-25 ფასთა ღია გამოკითხვას სადგურისა და დასახლების საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩადინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 მარტი 15 საათი.*

ხრამი-2 KHRAMI-2

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2016-26 ფასთა ღია გამოკითხვას სადგურის საწარმოო ჩადინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 მარტი 15 საათი.*

მტკვარი ენერგეტიკა

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-12 ფასთა ღია გამოკითხვას საკვამლე მილისა და №5,6 შეფასაცივრების გეოდეზიურ გამოკვლევასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 მარტი 15 საათი.*

მტკვარი ენერგეტიკა

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №MT-2016-41 ფასთა ღია გამოკითხვას საწარმოო გაზოანალიზატორის შესყიდვასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 მარტი 15 საათი.*

## „ვისაც უნდა, დამკითხოს“



თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით, ის დაკითხვაზე მივა. „20/30“-ის ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრმა აღნიშნულ თემაზე საჯაროდ საუბარი დაასრულა.

– ჩემი მხრიდან, ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი ვთქვი. ყველა დოკუმენტი სახეზეა და ვისაც უნდა, რომ გაიგოს, გაიგებს. ვისაც შეუძლია, წაიკითხოს და წაკითხულის შინაარსი პირველ კლასში რომ ასწავლიან, გამოიტანოს. ვისაც არ უნდა, ვერ გაიგებს. ასე რომ, ამ საუბარს აზრი აღარ აქვს. ვისაც უნდა, დამკითხოს, სადაც უნდათ იქ მივალ, რა დოკუმენტებსაც უნდათ, იმას მივიტან. ჩემთვის ეს იმდენად არასერიოზული საკითხია, მზად ვარ, ყველგან, ყველანაირ ფორმატში საუბრისთვის, თუმცა საჯაროდ ეს თემა დავასრულე, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

პროკურატურამ საგარეჯოს შუალედური არჩევნების საქმეზე გამოძიება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადების საფუძველზე დაიწყო, რომელიც, თავის მხრივ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, გოგი თოფაძის შეფასებებს დაეყრდნო. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებას ითვალისწინებს. (pia.ge)

## მეტროპოლიტენის თანამშრომლებს ხელფასი გაუზარდოს მერიამ და პრემია-დანამატები შეიმციროს? ჰმ!



თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, მეტროპოლიტენის თანამშრომლებისთვის, ხელფასის მომატების რესურსი მერიას არ გააჩნია.

დავით ნარმანიას თქმით, ხელფასების შემცირება არ იგეგმება, თუმცა არც გაზრდა მოხდება.

– მერიას ხელფასის მომატების რესურსი არ აქვს, ვინაიდან წელს ჩვენ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული რესურსების ოპტიმიზაცია გამოვაცხადეთ და ეს ეხება ყველა სამსახურს. შემცირებით არ შეგვიმცირებია, მაგრამ გაზრდის რესურსი წელს არ გვაქვს, – განაცხადა ნარმანიამ

მეტროპოლიტენის თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს, რომელზეც ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. (pia.ge)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# 3 მოთხოვნა, რის გამოც მეტრო გაჩერდება



თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლების ნაწილმა პირობების გაუმჯობესების მიზნით გამაფრთხილებელი აქცია მოაწყო. მეტრო „დიდუბის“ სადგურთან თანამშრომელთა ნაწილი შეიკრიბა. მოთხოვნების შესახებ წერილობით მიმართეს ჯანდაცვის სამინისტროს, მერიასა და თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ადმინისტრაციას. მეტროპოლიტენის მემანქანეები ითხოვენ ხელფასების კორექციას ლარის კურსის შესაბამისად – გაზრდას 40%-ით. მათი ერთ-ერთი მოთხოვნაა, ანაზღაურება ჰქონდეთ წელთა ნამსახურების მიხედვით და ღამის საათებში მათი მუშაობა განსხვავებული ტარიფით ანაზღაურდეს. თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, 21 დღეში მეტროპოლიტენის თანამშრომლები საყოველთაო გაფიცვით იმუქრებიან. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება ამ შემთხვევაში? ყველა მიწისზედა ტრანსპორტს მიეძალება და 1.5 მილიონიანი ქალაქის პარალიზება გარდაუვალი გახდება.

**„ალია“ ვითარებაში უკეთ გასარკვევად, თბილისის მეტროპოლიტენის პროფკავშირების თავმჯდომარეს, ბესო ხარატიშვილს ესაუბრა:**

**— ბატონო ბესო, რასაც მეტროპოლიტენის თანამშრომლები ითხოვენ, ეს პრობლემები ახლა წამოიჭრა თუ ხელისუფლებასთან ადრეც ყოფილა ისინი დაყენებული?**

– ამ 3 ძირითად მოთხოვნას 2006 წლიდან ვითხოვთ. შესაძლოა, ყველა მოთხოვნა ერთბაშად არ დააკმაყოფილოს ხელისუფლებამ და სავარაუდოდ, ეს ასე იქნება, მაგრამ წელთა ნამსახურების მიხედვით ანაზღაურება აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს. ამაზე ლაპარაკი შარშან იყო და ამ ხალხს შეჰპირდნენ, 2015 წლის თებერვლიდან გაიცემაო. 2015 წლისა ჩაიყლაპა. ეს საკითხი დავაყენეთ საკრებულოში წელსაც, 26 იანვარს უმრავლესობის ფრაქციის წინაშე პირადად დავაყენე ეს საკითხი. საკრებულომ მერიას მიმართა წერილობით, იქიდან კი პასუხიც არ მიგვიღია.

**— მეტროპოლიტენის თანამშრომლები, ასევე, ითხოვენ ღამის საათებში 00-დან 06 საათამდე მუშაობა სხვაგვარად ანაზღაურდეს. ახლა რამდენს იღებენ და რამდენით ითხოვენ გაზრდას?**

– კი, ბატონო, ითხოვენ და სამართლიანადაც. მეტროპოლიტენში ღამის საათებში იმდენ სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობს ხალხი, ყველას ამჟამინდელი თუ მათ მიერ მოთხოვნილი ხელფასის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მოკლედ გეტყვით – ღამის საათებში მომუშავეებს ორმაგი ტარიფი ჰქონდათ. დღეს ღამის საათების ანაზღაურება ჩვენთან არ არის. ადრე მეტროს თანამშრომლები იღებდნენ ხელფასს კლასისა და თანრიგის გათვალისწინებით, მძიმე და მავნე სამუშაოს გათვალისწინებით, ასევე, ნამსახურების მიხედვით და მე-13 ხელფასს. შემდეგ ადგნენ, ერთი სახელფასო ბადე გააკეთეს და ყველაფერი შიგ შეიტანეს. ეს, უსამართლობაა. ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან, მხოლოდ 3 უწყებას ჰქონდა წელთა ნამსახურების დანამატი – შსს-ს, რკინიგზისა და მეტროპოლიტენის თანამშრომლებს. შსს-ს თანამშრომლებს არავინ შეხებია, დღემდე შენარჩუნებული აქვთ, ჩვენ ორს კი გაგვიუქმეს. ვიმეორებ, ყველაფრის ერთბაშად შესრულება შეუძლებელია, ამიტომ უნდა დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და რისი შესრულებაც შეუძლიათ, უნდა შეასრულონ. რაც დარჩება, ის მოთხოვნებიც ეტაპობრივად უნდა შესრულდეს, მაგრამ წლები არ უნდა გაიჭიმოს. მეტროპოლიტენის თანამშრომელთა ყველა მოთხოვნა უნდა გაიწეროს, ყველაფერი უნდა შესრულდეს და არ უნდა მოხდეს ხალხის მოტყუება. ძალიან კარგად გვესმის, რა მდგომარეობაშია არა მხოლოდ მეტროპოლიტენი, სხვა დარგებიც, მაგრამ მერწმუნეთ, მიწის ქვეშ ვინც მუშაობს, ეს იმას ნიშნავს, რომ წელიწადში 3 თვე ეს ხალხი ვერ ხედავს მზის შუქს, არ სუნთქავს სუფთა ჰაერით. წარმოიდგინეთ ახლა რამდენად მავნეა ეს მათი ჯანმრთელობისთვის. შესაბამისად, რასაც ითხოვენ, ყველაფერი სამართლიანია. 2006 წლიდან დღემდე მივაღწიეთ იმას, რომ მივიღეთ კლასისა და რანგის მიხედვით დანამატი, მძიმე და მავნე პირობებში მუშაობის დანამატი და ახლა უნდა მივაღწიოთ მინიმუმს – მივიღოთ წელთა ნამსახურების დანამატი.

**— დავუშვათ, მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო და თანამშრომლები გაიფიცნენ. ვთქვათ, მემანქანეებმა უარი თქვეს თავიანთი მოვალეობის შესრულებაზე. მეტროპოლიტენს ჰყავს სარეზერვო მემანქანეები, რომ მეტროს მუშაობა არ გაჩერდეს?**

– მოდით, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობამ მზადყოფნა გამოთქვა მოლაპარაკებების დაწყებაზე და იმედია, მეტროპოლიტენი არ გაჩერდება, აქამდე საქმე არ მივა. 90-იან წლებში არ გაჩერებულა, ბოლოს და ბოლოს, და ეს ამ ხალხის, მეტროპოლიტენის თანამშრომელთა შრომითი გმირობის ფასად ხდებოდა. თუ მასობრივი გაფიცვა დაიწყო, ზოგადად, აქ მარტო მემანქანეებზე აღარ იქნება დამოკიდებული მეტროს მუშაობა. მეტროპოლიტენი არ არის ტაქსი და ავტობუსი, რომ გააჩერო და მეორე დღეს დაქოქო. იმედია, ეს ხელისუფლებიდან ბევრმა იცის. არავინ არ ლაპარაკობს შანტაჟის ენით, მაგრამ იქ მომუშავე ადამიანებს სჭირდებათ დაფასება. რატომ ფიქრობთ, რომ მარტო მემანქანეებს შეუძლიათ მეტროს პარალიზება? იქ გახლავთ ენერგოსისტემა. თუ ძაბვა არ მიაწოდეს მემანქანეებს, ის მატარებელს ხომ ვერ წაიყვანს? თუ გვირაბის მუშამ არ მისცა მზადყოფნა, მემანქანე ხაზზე ვერ გავა. თუ დამლაგებელმა, ბოდიში და, დაბინძურებული ვაგონი არ გაასუფთავა, მემანქანე ვერ გავა სამუშაოდ. ეს არის მთელი ქსელი, სისტემა, რომლის ერთმა რგოლმაც რომ ვერ იმუშაოს გამართულად, მოხდება მეტროპოლიტენის პარალიზება. არასწორია, თითქოს მემანქანე თუ არ იმუშავებს, მხოლოდ მაშინ გაჩერდება მეტროპოლიტენი.

მოკლედ, ტყიბულში მაღაროელთა გაფიცვა დასრულდა და ახლა უკვე თბილისში მეტროპოლიტენის თანამშრომლები აპირებენ გაფიცვას. ჩვენს უგერგილო ხელისუფლებას ამგვარი სოციალური აფეთქებები, როგორც ჩანს, წინ აქვს, ლარის გაუფასურების გამო, ხელფასები კაპიკებად იქცა და ხალხი შიმშილობს. იმის მიუხედავად, რომ მეტროს თანამშრომელთა მოთხოვნები კანონიერი და სამართლიანია, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, როგორც სჩვევია, როყიოდ დააბრეხვა: თბილისის ბიუჯეტში რესურსი – ფული არ არის და მეტროს თანამშრომლებს ხელფასებს ვერ გავუზრდითო. მეტროს მემანქანის ხელფასი 1050 ლარია ხელზე. ამ ფულს ისინი ჯოჯოხეთური შრომის ფასად იღებენ და ამ გაუფასურებული ლარის ფონზე, ეს თანხა მართლა არაფერია. დავით ნარმანიას 4000 აქვს ხელფასი, ამას სახელფასო დანამატი დავამატოთ, მეფურად ცხოვრობს, ავტომობილი ემსახურება, უფასო საწვავი, ტელეფონი... ჰყავს მდივანი, თანაშემწე, რომელთაც სოლიდური ხელფასები აქვთ და გარდა ამისა, 6 მოადგილე ჰყავს. მანქანები ამ ხალხსაც ემსახურება, მათაც ბენზინიც სჭირდებათ, სატელეფონო საუბრები, რომლებსაც თავისი ჯიბიდან არ იხდიან... ამ ყველაფრის და კიდევ მერიის სხვა ჩინოვნიკთა სამსახურებრივ ხარჯებს მეტროს მემანქანეც იხდის თავისი ხელფასიდან და რატომ უნდა ეხვეწოს, უმაქნის ნარმანიას, ხელფასი გამიზარდე და ცოტა ადამიანური პირობები შემიქმენი სამუშაოდო? „იმუშავეთ ვირებო, ჭამეთ ბრიგადირებო“ – აი, ზუსტად ეგრეა საქმე, რა. არ დაგვავიწყდეს, ჩვენ იმ სისტემის თანამშრომლებზე ვსაუბრობთ, რომელთა ერთ უმნიშვნელო შეცდომას შესაძლოა, ასობით ადამიანის სიკვდილი მოჰყვეს. ამ ხალხს ნერვები წესრიგში უნდა ჰქონდეს და რასაც სამართლიანად მოითხოვენ, უნდა მისცე.

არ არის ფული ბიუჯეტში? ადგნენ დავით ნარმანია და მისი ჩინოვნიკები, ჩამოიკლონ ხელფასები, რასაც არაფრის კეთებაში ვუხდით და ამ ხალხის მოთხოვნები ამ ფულით შეასრულონ. რომელი დავით ნარმანია იძახის, ბიუჯეტში ფული არ გვაქვს მეტროს თანამშრომელთა ხელფასების გასაზრდელადო, რომლის ყოფილ მოადგილეს, ალექსანდრე მარგიშვილსაც 7080 ლარი ჰქონდა ხელფასი? 7080 ლარის სალირალიც კი არაფერი გაუკეთებია მარგიშვილს, ისე წავიდა თბილისის ვიცემერის პოსტიდან და 2 მილიონიანი ბიუჯეტის მქონე სამსახური შეუქმნა ნარმანიამ. რამდენი ჩინოვნიკი მუქთად იღებს ხელფასს და ბევრი იმის აზრზეც არ არის, საერთოდ, რა ევალება და რა უნდა გააკეთოს? აი, ამნაირები საერთოდ უნდა გაყარო მერიიდან და ვინც დარჩება, უნდა ჩამოაკლო ხელფასი, რადგან მათი მუშაობის თბილისს არაფერი ეტყობა. აი, მაშინ, მეტროს თანამშრომელთა ფინანსური მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი ფულიც გამოჩნდება და სხვა სამსახურების თანამშრომლებსაც შეიძლება გაუზარდო ხელფასი.

## ექსპერტი ლარის გამყარებას მარტის ბოლოდან ვარაუდობს



ეკონომიკის საკითხებში ექსპერტ ლევან კალანდაძის განცხადებით, ლარის კურსთან დაკავშირებით, წლის დასაწყისის პიკი გადატანილია.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ლარის კურსის გამყარებისთვის ზაფხული კარგი პერიოდია, რამაც, წესით, მის გამყარებას ხელი უნდა შეუწყოს. ექსპერტი იმ ფაქტორებზე საუბრობს, რომელიც ტურისტული ნაკადის ზრდის პარალელურად, ასევე იმოქმედებს ლარის კურსზე.

– წლის დასაწყისის პიკი გადატანილია, რომელიც ყოველთვის ხასიათდება ხოლმე რისკებით ლართან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მოკლევადიან პერიოდში, სადღაც, ზაფხულის პერიოდამდე, პროგნოზები საკმაოდ ოპტიმისტურია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. პირველ რიგში, ის, რომ სეზონურობა, როგორც წესი, დადებითად მოქმედებს ლარის კურსზე. ტურისტული ნაკადების მეტ-ნაკლები გააქტიურება იწვევს სავალუტო შემოდინებების უზრუნველყოფას. მეორე ფაქტორია – ეკონომიკური აქტივობა, რომელიც ზაფხულის სეზონისთვის ყოველთვის მომატებულია ხოლმე. დანარჩენი ფაქტორები დამოკიდებულია იმაზე, რამდენად აქტიური და შედეგზე ორიენტირებული იქნება ხელისუფლება. პირველ რიგში, ეს უკავშირდება მსხვილი პროექტების – შარშან დაწყებული, ან წელს დააანონსებული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციას. მეორე ფაქტორია ის, რომ ხელისუფლებამ გააგრძელოს ის კურსი, რაც მთელი გასული წლის განმავლობაში ჰქონდა – ბიუჯეტის თანმიმდევრული ხარჯვის პოლიტიკა, – აცხადებს კალანდაძე.

ექსპერტის თქმით, ამ პირობებში სრულიად შესაძლებელია, ლარის სტაბილურობის ფაქტორი გაძლიერდეს.

– დაახლოებით, მარტის ბოლოდან გვიან შემოდგომამდე, ლარის კურსის დაწევა სრულიად შესაძლებელი იქნება. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის რისკ-ფაქტორები, რომელზეც ყოველთვის ვსაუბრობთ ხოლმე როგორც ხელისუფლება, ისე საექსპერტო წრეებშიც, ე.წ. გარე ფაქტორების სახით. კვლავ აქტუალურია რუსეთის, უკრაინისა და თურქეთის, აზერბაიჯანის თემები. ეს თემები არ არის განელებული და გარკვეულ რისკ-ფაქტორებად კვლავ გვევლინება, – აღნიშნა ექსპერტმა. (pia.ge)

## „არ გეგონოთ, ციებ-ცხელება მაქვს!“ — ბუკა პეტრიაშვილის ფეისბუკპოსტი საავადმყოფოდან

„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივანი, რომელიც რამდენიმე დღის წინ თავდასხმის მსხვერპლი გახდა და ამჟამად მკურნალობას საავადმყოფოში აგრძელებს, სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს:

– არ გეგონოთ, ციებ-ცხელება მაქვს! მალე მწყობრში ვიქნები, მანამდე კი მომესმა ეს ბრძოლის ყიჟინა და რა გავაკეთო! საქართველო გაიმარჯვებს! უკვე გული მიგრძნობს, მეც იქვე ახლოში ვიქნები! – წერს ალექსი პეტრიაშვილი და კინოფილმ „ბაში აჩუკიდან“ ბრძოლის სიმღერის ვიდეოს აქვეყნებს. (ნიუპოსტი)

# „ბომბები ცვივა, მაგრამ ეკონომიკა მაინც იზრდება“




საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ისრაელის ეკონომიკის ზრდასთან დაკავშირებით პოსტს აქვეყნებს:

– „ბომბები ცვივა, მაგრამ ეკონომიკა მაინც იზრდება“, – წერდა „ფაინენშალ ტაიმსი“ ისრაელზე. ჰოდა, ჩვენც გადავხედოთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს ამ განსაკუთრებულ სახელმწიფოზე:

1. თანამედროვე ისრაელის 1948 წელს დაარსების დღიდან არ გასულა არც ერთი ათწლეული საომარი მოქმედებების გარეშე რომელიმე მეზობელთან. მიუხედავად ამისა, საშუალო წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ 1950-2007 წლებში თითქმის 6 პროცენტი შეადგინა და ბუნებრივი რესურსების არმქონე ისრაელი დღეს განვითარებული ქვეყნების რიგში იტალიისა და ესპანეთის დონეზეა ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკის სიდიდით.

2. წლიური ექსპორტი 56 მილიარდი აშშ დოლარი, იმპორტი 58 მილიარდი, ურბანიზაციის მაჩვენებელი 92 პროცენტი.

3. განვითარებული და მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობის ხარჯზე, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 2 მილიარდზე მეტია. მაგ.: ისრაელში ძროხის საშუალო წლიური წველადობა არის 12,000 ლიტრი, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე ავსტრალიაში და 10-ჯერ მეტი, ვიდრე საქართველოში.

4. ღია საემიგრაციო პოლიტიკის წყალობით თუკი მოსახლეობა 1948 წელს მილიონზე ნაკლები იყო, 2007 წელს 7,2 მილიონია.

5. მსოფლიოში მესამეა მეწარმეობის მაჩვენებლის მიხედვით, ამერიკისა და კანადის შემდეგ ყველაზე მეტი ისრაელის კომპანია კოტირებს ნაზდაკის საფონდო ბირჟაზე.

6. უმაღლესი განათლების ხარისხითა და კურსდამთავრებულთა რაოდენობით არის პირველ ხუთეულში ამერიკა, ბრიტანეთი, იაპონია, სამხრეთ კორეასთან ერთად.

7. მსოფლიოში ყველაზე მეტი მუზეუმი აქვს და ყველაზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი იწერება ერთ სულ მოსახლეზე. ქალაქ ბერშევაში მსოფლიოში ყველაზე მეტი გროსმაისტერია ჭადრაკში.

8. სახლების 90 პროცენტი წყლის გასათბობად იყენებს მზის ენერგიას და რაც მთავარია, ერთადერთი ლიბერალური დემოკრატიაა ახლო აღმოსავლეთში, – წერს ქადაგიძე. (bpn.ge)

# საქართველომ ყველა პირობა შეასრულა, უკრაინას კი რჩება გარკვეული სამუშაოები — იოჰანეს ჰანი



საქართველომ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ყველა ვალდებულება შეასრულა და რეგულაციაში საკანონმდებლო წინადადებების შეტანას ელოდება. ამის შესახებ განცხადება ევროკომისარმა გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, იოჰანეს ჰანმა გააკეთა.

– საკანონმდებლო წინადადებებს წარვადგენთ, როგორც კი შეფასებებს დავამთავრებთ, ჯერ შეფასების პროცესში ვართ. ეს არის შიდა ამოცანა, საქართველომ ყველა პირობა შეასრულა, უკრაინას კი რჩება გარკვეული სამუშაოები, რომლებიც უნდა დაასრულოს. რაც შეეხება წინადადებების ცალ-ცალკე წარდგენას, ეს შეფასებაზეა დამოკიდებული, – განცხადა იოჰანეს ჰანმა. (ნიუპოსტი)

# თელავში დაკავებულ ახალგაზრდებს 10000-ლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლებენ

თელავში დაკავებულ ახალგაზრდებს 10000-ლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლებენ.

დაკავებულთა ადვოკატის განცხადებით, ის მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ასაჩივრებს, მაგრამ ბრალდებას მხოლოდ ხულიგნობის ნაწილში ეთანხმება.

შეგახსენებთ, რომ 27 თებერვალს ერთ-ერთ კაფეში პოლიციელებსა და თელავის რაიონის სოფელ აკურაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ინციდენტი მოხდა. დაკავებულებს ბრალი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და ხულიგნობისთვის წაუყენეს. საქმის მიმდინარეობას სწავლობს სახალხო დამცველის აპარატი. დაკავებული ახალგაზრდების მომდევნო სასამართლო პროცესი 30 მარტისთვის ჩაინიშნა. (ნიუპოსტი)

# ბიძინა ივანიშვილის ქონება 400 მილიონი დოლარით შემცირდა



„ფორბსის“ 2016 წლის მილიარდერთა რეიტინგში საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ქონება შემცირდა და წინა წლის რეიტინგთან შედარებით, ივანიშვილი 7 პოზიციით დაქვეითდა.

2016 წლის რეიტინგის თანახმად, ბიძინა ივანიშვილი მსოფლიოს მილიარდერებს შორის 298-ე პოზიციაზეა 4,8 მილიარდი აშშ დოლარის ქონებით. გასული წლის რეიტინგში ბიძინა ივანიშვილი 291-ე ადგილს იკავებდა 5,2 მილიარდი აშშ დოლარით.

„ფორბსის“ თანახმად, ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება საქართველოს ნომერ პირველ მილიარდერად.

– 2015 წლის ივნისში ბიძინა ივანიშვილმა რეკორდულ თანხად – 1,5 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა ნიკო ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“, მოგვიანებით კი ნახატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადასცა. მისი შვილის, ბერას თანადგომით საქართველოში ახალი სატელევიზიო შოუ „20/30“ დაიწყო, რომელშიც თავად ივანიშვილი ხშირად ჩნდება, – აღნიშნავს „ფორბსი“.

საერთო ჯამში, „ფორბსის“ მონაცემებით, მსოფლიოში მილიარდერთა რაოდენობა 1 826-დან 1810-მდე შემცირდა და მათი ქონება მთლიანობაში 6,48 ტრილიონ დოლარს შეადგენს, რაც გასულ წელთან შედარებით 570 მილიონი დოლარით ნაკლებია.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი კვლავ ბილ გეიტსია, რომლის ქონებაც 75 მილიარდი დოლარია. პირველ ხუთეულში, ასევე, არიან ამანსიო ორტეგა – 67 მილიარდი დოლარი, უორფენ ბაფეტი – 60,8 მილიარდი დოლარი, კარლოს სლიმი – 50 მილიარდი დოლარი და ჯეფ ბეზოსი – 45,2 მილიარდი დოლარი. (bpn.ge)

# ბორის ნემცოვის მკვლელობის საქმეში „უცხოელი შთამაგონებლები“ ფიგურირებენ — მარკინი




რუსეთის საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური წარმომადგენლის ვლადიმერ მარკინის განცხადებით, რუსი ოპოზიციონერის ბორის ნემცოვის მკვლელობის საქმეში შესაძლოა, „უცხოელი შთამაგონებლები“ ფიგურირებდნენ. ასე უპასუხა მარკინმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას, რომელმაც მოსკოვს ბორის ნემცოვის მკვლელობაში ყველა დამნაშავის პასუხისგებაში მიცემისკენ მოუწოდა.

მარკინის თქმით, დასავლეთის წარმომადგენლების განცხადებები ნემცოვის მკვლელობაში ყველა დამნაშავის პასუხისგებაში მიცემისკენ მოწოდებით უცნაურად გამოიყურება, ვინაიდან აშშ-მა იცის, რომ რუსეთი ნემცოვის მკვლელობას აქტიურად იძიებს და ეს განცხადება შესაძლოა, იყოს მინიშნება იმაზე, რომ რუსეთის მთავრობისთვის შეუძლებელია, იპოვოს და პასუხისგებაში მისცემს მკვლელობის რეალური შთამაგონებლები, რომლებიც საზღვარგარეთიდან ახდენდნენ გავლენას მკვლელობის დამკვეთებზე

შეგახსენებთ, რუსი ოპოზიციონერი, ბორის ნემცოვი 2015 წლის 27 თებერვალს მოსკოვის ცენტრში მოკლეს.

პოლიციამ, მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ჩეჩნეთის 5 მოქალაქე დააკავა, თუმცა გამოძიებას დასკვნა ჯერჯერობით არ დაუდია. (ნიუპოსტი)


**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-21 ღია კონკურსს ჰიდროგენერატორის სტატორის ჰაერის გამაგრილებლის კომპლექტის მოწოდება-მონტაჟის სამუშაოებთან დაკავშირებით:**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 4 აპრილი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-23 ფასთა ღია გამოკითხვას 110 კვ. ძალოვანი ტრანსფორმატორების ხანძარქრობის ავტომატური სისტემის პროექტირებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 მარტი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-24 ფასთა ღია გამოკითხვას სადგურისა და დასახლების საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩადინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 მარტი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-25 ფასთა ღია გამოკითხვას სადგურის საწარმოო ჩადინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირებასთან დაკავშირებით.**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 16 მარტი 15 საათი.*

## თბილისში საღამოს საათებში სადისტრიბუციო მანქანების გაჩერება შეიზღუდება



საღამოს საათებში სადისტრიბუციო კომპანიების მანქანების დგომა და გაჩერება 17 ქუჩაზე შეიზღუდება. აღნიშნული ინიციატივით მერია სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის საპილოტე საცდელ რეგულირებას იწყებს.

15 მარტიდან 1-ლი სექტემბრის ჩათვლით, 17 ქუჩაზე 17.00-დან 20.00 საათამდე დისტრიბუციის განხორციელების მიზნით სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობა შეიზღუდება. ნარმანიას თქმით, აღნიშნული შეზღუდვით ქალაქის გადატვირთულ ქუჩებზე სადისტრიბუციო მანქანების გადაადგილებასთან დაკავშირებით წესრიგი დამყარდება.

სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობა დისტრიბუციის მიზნით შეიზღუდება: აბაშიძის, ფალიაშვილის, ბარნოვის, დოლიძის, ცინცაძის, ნუცუბიძის, შარტავას, კოსტავას, პეკინის, გამსახურდიას, მარჯანიშვილის, აღმაშენებლის გამზირის, ჯავახეთის, ხიზანიშვილის (მეტრო ახმეტელის მეორე მხარე), ლესელიძის, ლეონიძისა და ასათიანის ქუჩებზე.

თავის მხრივ, დედაქალაქის მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა, რომ მათ წინასწარ კონსულტაციები და შეხვედრები ჰქონდათ 250-მდე სადისტრიბუციო კომპანიასთან და ამ პროცესში სხვა სადისტრიბუციო კომპანიებიც შემდგომ ეტაპობრივად ჩაერთვებიან.

– ეს არის ერთგვარი ჯენტლმენური შეთანხმება, სადაც ყველა მხარე ნებაყოფლობით იღებს პასუხისმგებლობას დროის გარკვეულ მონაკვეთში დედაქალაქში რამდენიმე გადატვირთულ ქუჩაზე განახორციელოს სადისტრიბუციო საქმიანობა. აქ საუბარია სადისტრიბუციო მანქანების დგომასა და გაჩერებაზე და არა გადაადგილებაზე. ჩვენი აზრით, ეს რაიმე განსაკუთრებულ პრობლემას არ შექმნის, – განაცხადა „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ წარმომადგენელმა ნიკა ნანუაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## აშშ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ აგრესიულ კიბერ ომს იწყებს



აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, აგრესიულ კიბერ ომს იწყებს.

შეტევების მიზანი „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში განხორციელებული მოხალისეთა აყვანის კამპანიის შეჩერება და განეიტრალება იქნება.

დეპარტამენტი შეტევებს რამდენიმე პუნქტიდან განახორციელებს. კამპანიის უდიდესი ნაწილი გასაიდუმლოებულია. (euronews.ge)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# რა ხდებოდა ევროსასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებაზე?

## და რა სკანდალის აგორებას აპირებს ზაზა ხატიაშვილი?



28 თებერვალს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველებთან გასაუბრება გაიმართა და 5 კანდიდატურა შეირჩა. კომისიის წევრები (იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე, მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მზია თოდუა, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი) მოსამართლეობის მსურველებს – ირაკლი ადეიშვილს, გიორგი ბადაშვილს, ალექსანდრე ბარამიძეს, ევა გოცირიძეს, ანა დოლიძეს, კონსტანტინე კორკელიას, ნიკოლოზ ლეგაშვილს, ნონა მჭედლიძეს, გიორგი პაპუაშვილს, მაკა სტივენსონს და ლუიზა ხითარიშვილს გაესაუბრნენ. ამათგან, როგორც უკვე გითხარით, შემდგომ ეტაპზე, 5 კანდიდატი მივა და სტრასბურგში გასაგზავნ 3 კანდიდატს პრემიერ-მინისტრი შეარჩევს. ესენი არიან: ალექსანდრე ბარამიძე, ანა დოლიძე, ნონა მჭედლიძე, ევა გოცირიძე, გიორგი ბადაშვილი. სამიდან ერთს (ვისაც მთავრობა სტრასბურგში გააგზავნის), ევროსაბჭო 2016 წლის შემოდგომაზე დაამტკიცებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი კომისიის წევრებმა თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს. მისი თქმით, თურმე პროცესი მთლიანად პოლიტიზებული ყოფილა და კომისიის თავმჯდომარეს, თეა წულუკიანს მის მიმართ ალერგიული დამოკიდებულება ჰქონია. მას შემდეგ, რაც პაპუაშვილი „ჩაიჭრა“, წულუკიანის ჩაშვება დაიწყო – მან კულუარულად გარიგებაც შემომთავაზა, თუ ხელისუფლებასთან ითანამშრომლებ, ე.წ პირადი პრობლემებიც მოგვარდება და ვენეციის კომისიის წევრადაც დაგტოვებთო. ამ განცხადების შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ პაპუაშვილს კომისიის წევრების შეფასებები გამოუქვეყნა და ამით შეახსენა, რომ ის იყო კანდიდატებს შორის ყველაზე სუსტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაქსიმალური ქულა იყო 5, გამოდის, ის მართლაც ოროსანი მოწაფე ყოფილა: თეა წულუკიანი – 0,5; ხათუნა თოთლაძე – 1; შალვა თადუმაძე – 0; მამუკა ვასაძე – 1; ეკა ბესელია – 2; ვახტანგ ხმალაძე – 4.5; მზია თოდუა – 2; უჩა ნანუაშვილი – 2.5; ზაზა ხატიაშვილი – 2; ირაკლი ბურდული – 3; ანა ნაცვლიშვილი – 2.

**როგორც ზაზა ხატიაშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, პროცესი არ იყო პოლიტიზებული, მაგრამ ევა გოცირიძესთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრმა გამოიჩინა მიკერძოება:**

– რაკი პაპუაშვილმა ატეხა ერთი ამბავი, დავიწყებ ამ კანდიდატურით: ის იყო ყველაზე სუსტი.

**— რატომ, ზაზა, მოუმზადებელი მოვიდა თუ ასეთი უვიცია?**

– მე მივეცი დაბალი შეფასება... თქვენ კარგად იცით, რომ ეს ადამიანი დღეს ბათუმში ცხოვრობს სხვის სახლში, არის ასეთი, როლანდ ბლადაძე, რომელიც უჩივის სასამართლოში და როგორც ვიცი, მოუგო კიდეც. მე პაპუაშვილს ვკითხე, ოჯახი რომ გამოაძევეთ ბინიდან და დღემდე იქ ცხოვრობ, დისკომფორტს არ განიცდით-მეთქი? არსებობს ევროსაბჭოს წერილები, სადაც დაფიქსირებულია, რომ ეს სახლი თქვენი არ არის-მეთქი. მე რა ვიცოდი, ეგ ბინა ხელისუფლებამ მომცაო. ახლა ხომ იცით, რომ სხვისია-მეთქი? არ მითხრა, ხელისუფლებამ დააშავა, განვიცდი და ვლელავო, თავიც კი არ იმართლა. ამიტომ, მე ჩავთვალე, რომ ის მორალურად და ზნეობრივად არ არის გამართული ადამიანი, მისი მონაცემები არ შეეფერება ევროპული მოსამართლის მაღალ სტატუსს.

**— წულუკიანზე ამბობს, ჩემს მიმართ ალერგია აქვსო, მათ შორის რამე დაძაბული საუბარი იყო?**

– არა, მსგავსი არაფერი ყოფილა... ხომ იცი, მე წულუკიანის მიმართ როგორი დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა: თავის სიცოცხლეში, ალბათ, პირველად იქცეოდა სამართლიანად, ღმობიერად და ობიექტურად. არაობიექტურად მოიქცა მხოლოდ ევა გოცირიძესთან მიმართებაში. პაპუაშვილთან მიმართებაში არანაირ ცინიკურ შეკითხვებს არ ჰქონია ადგილი. პაპუაშვილს რომ ერთი სიტყვა ეთქვა, ვწუხვარ, რაც მოხდაო, შეიძლებოდა მეტი დამეწერა.

**— ზაზა, ამ 5 ადამიანიდან ყველაზე მეტი შანსი ვის აქვს?**

– ყველაზე მაგრად გამოვიდა ნანა მჭედლიძე. სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ყოფილა, აღფრთოვანებული დავრჩი. ასევე, მაგრად გამოვიდა სანდრო ბარამიძე. კარგი იყო ანა დოლიძეც. ევა გოცირიძეს 1-იანი დავუწერე, ნულს დავუწერდი, მაგრამ წიგნები აქვს გამოცემული და ცოტა კომპრომისზე წავედი. მისი მორალური და ზნეობრივი კრიტერიუმები მეტს არ იმსახურებდა.

**— რატომ იკლავენ თავს ამ სტრასბურგში წასასვლელად?**

– 20 ათასი ევროა ხელფასი, გარანტირებული სამსახურია, გავლენიანი.

**— ყველა საქმე, რაც საქართველოდან მიდის ევროსასამართლოში, აქედან გაგზავნილი მოსამართლის ხელში გადის?**

– არა, ყველა საქმე არ გადის მის ხელში, მაგრამ გავლენა აქვს. ამჟამად იქ ჩვენი წარმომადგენელია ნონა წოწორია, „ნაციონალების“ მიერ დანიშნული. მე არ ვიცი, ამ ხუთიდან ვის მისცემენ ყველაზე მეტ შანსს, მაგრამ თუ ევა გოცირიძე მოხვდება სამეულში, ჩავალ და ევროსაბჭოს შენობის წინ დავიწყებ შიმშილობას. ევა თავისი მონაცემებით არის მეხუთე ადგილზე, ასევე, ენაში გასაუბრება რომ ჩატარდა, ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო გოცირიძემ. მე პირდაპირ ვაცხადებ და ვაფრთხილებ ხელისუფლებას, დავიწყებ შიმშილობას და ეს იქნება დიდი სკანდალი.

**— როგორც მახსოვს, შენ პრეტენზიები გქონდა სანდრო ბარამიძესთანაც, ის წულუკიანის მოადგილეა და მურუსიძის საქმეში ადანაშაულებდი.**

– მე ამ ადამიანს გამარჯობას არ ვეუბნები, მაგრამ მაგრად იყო მომზადებული, კარგად გამოვიდა. როცა ადამიანი ასე ემზადება, შენი მტერიც რომ იყოს, უსამართლოდ არ უნდა მოიქცე. მე პაპუაშვილთან უფრო კარგი ურთიერთობა მაქვს, ვიდრე ბარამიძესთან.

**— ევროსაბჭო როგორ ამტკიცებს, დამოუკიდებლად თუ ქართული მხარის რჩევით?**

– არა, დამოუკიდებლად, ქართული მხარე ვერ ერევა ვერაფერში. იქნება გასაუბრება თითოეულ კანდიდატთან და შეექმნებათ წარმოდგენა. ხელისუფლებას ჭკუა რომ ჰქონდეს, გოცირიძე ხუთეულში არ უნდა მოეხვედრებინა, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირეს ლევან მურუსიძეს. შენ ხედავ, რას აკეთებს მურუსიძე ბოლო დღეებში? ისე წარადგინა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა, ნინო გვენეტაძემაც კი არაფერი იცოდა. ხედავ, რა კარტბლანში მისცეს ამ ადამიანს? ყოველდღე სისულელეებს აკეთებს, ჩქარობს, რომ თავისი ხალხი დანიშნოს.

**— ანა დოლიძე პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარადგინა, ახლა სტრასბურგი მოუნდა, ამაზე არაფერი გიკითხავს?**

– ეგ შეკითხვა დავუსვი და მიპასუხა, ხელისუფლებამ კი წარმადგინა, მაგრამ სად წავალ, ეგ უკვე ჩემი გადასაწყვეტიაო. ამის გამო ქულებს ვერ დავაკლებდი, კარგად გამოვიდა.

**— ეს გიორგი ბადაშვილი ყოფილი მთავარი პროკურორი არ არის, ხომ?**

– არა, ეგ ევროპის სასამართლოში მუშაობს 11 წელია. კარგად გამოვიდა, მაგრამ ნონა წოწორიას ქება დაიწყო ისე, რომ არავის არაფერი უკითხავს და ყველაფერი გააფუჭა. როგორც ჩანს, ეგ „ნაციონალების“ ფავორიტია, მაგათ დროს არის დანიშნული. ვნახოთ, დაველოდოთ, რას გადაწყვეტს პრემიერ-მინისტრი და ამის მიხედვით ვიმოქმედებ.

**— ესე იგი, ევა გოცირიძის გარდა, ყველა მისაღებია?**

– შეიძლება მე ყველა არ მომწონს, მაგრამ პროფესიული დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ევას გარდა, ყველა, ასე თუ ისე, მისაღებია.

> **„ხელისუფლებას ჭკუა რომ ჰქონდეს, გოცირიძე ხუთეულში არ უნდა მოეხვედრებინა, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირეს ლევან მურუსიძეს. შენ ხედავ, რას აკეთებს მურუსიძე ბოლო დღეებში? ისე წარადგინა საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა, ნინო გვენეტაძემაც კი არაფერი იცოდა. ხედავ, რა კარტბლანში მისცეს ამ ადამიანს?“**

## 3 მარტიდან საქართველოში ჰაერის ტემპერატურა 22 გრადუსამდე მოიმატებს



გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურა მნიშვნელოვნად მოიმატებს.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, 4 მარტამდე დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი.

– ზოგან აღმოსავლეთის მიმართულებით ქარი და ჰაერის მაქსიმალური 27-28 გრადუსამდე მოიმატებს. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, დღეს და ხვალ, ღრუბლიანი ამინდია, უმეტესად უნალექოდ, ნისლი, ხოლო მაქსიმალური ტემპერატურა, 16-18 გრადუსი, – აცხადებენ სააგენტოში.

3 მარტიდან, აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა 22 გრადუსამდე მოიმატებს. (pia.ge)

## მკვლელი ძიძა შემთხვევის ადგილზე მიიყვანეს — ხალხი მის ჩაქოლვას ცდილობდა



აღსაზრდელის სასტიკი მკვლელობისთვის დაკავებულმა ძიძამ პოლიციას დეტალურად უამბო, როგორ ჩაიდინა დანაშაული.

რუსული მედია საგამოძიებო ექსპერიმენტის ამსახველ ვიდეომასალას ავრცელებს.

გიულჩერ ბობოკულოვა იმ სახლში მიიყვანეს, სადაც დანაშაული მოხდა. მედიის ინფორმაციით, სახლთან შეკრებილი საზოგადოება მზად იყო, ქალი ადგილზევე ჩაექოლა.

სამართალდამცველები ქალს აღკვეთის ღონისძიებას უახლოეს პერიოდში შეუფარდებენ.

29 თებერვალს მოსკოვში, მეტროსადგურ „ოქტიაბრსკაია პოლესთან“ პოლიციამ დააკავა ძიძა, რომელიც აღსაზრდელი ბავშვის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. 4 წლის ბავშვის ცხედარი აღმოაჩინეს სახლში, სადაც ხანძარი გაჩნდა. ბავშვს თავი ჰქონდა მოჭრილი. მეტროსთან მისულ ქალს კი ბავშვის თავი ხელში ეჭირა და იმუქრებოდა, რომ თავს აიფეთქებდა.

დაკითხვისას 39 წლის, წარმოშობით უზბეკმა ქალმა ისაუბრა, რამ უბიძგა აღნიშნული დანაშაულის ჩადენისკენ. როგორც გიულჩერ ბობოკულოვამ განაცხადა, დანაშაულის ჩადენის მიზეზი ქმრის ღალატი გახდა. თუმცა, რა კავშირშია მისი ქმარი იმ ოჯახთან, სადაც ის ბავშვის მომვლელად მუშაობდა, ეჭვმიტანილმა ვერ ახსნა. (info9)

## ოპეკმა ნავთობის მოპოვების მოცულობა შეამცირა



ოპეკმა თებერვალში ნავთობის მოპოვების მოცულობა დღეში 280 ათასი ბარელით შეამცირა. „როიტერის“ ინფორმაციით, თებერვალში ოპეკის წევრი ქვეყნები ყოველდღიურად 32,37 მილიონ ბარელს მოიპოვებდნენ.

სააგენტოს ინფორმაციით, შემცირება უკავშირდება ერაყში არსებულ ვითარებას, სადაც ნავთობით მდიდარი ქურთული რეგიონებიდან შავი ოქროს მიწოდება შეწყდა. კერძოდ, ნავთობსადენი ქურთისტანიდან 17 თებერვლიდან გადაიკეტა და მარტის შუა რიცხვებამდე არ ამოქმედდება.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ბრენტის მარკის ნავთობის ღირებულება – 37 აშშ დოლარამდე, WTI-ის მარკის ნავთობი კი 34,2 აშშ დოლარამდე გაიზარდა. (bpn.ge)

## ზაქარია ქუცნაშვილი მაღალჩინოსნებს ურჩევს, ხარჯების დაზოგვაში პრემიერ-მინისტრს მიბაძონ



პრემიერ-მინისტრის ოჯახის წევრები სამსახურებრივი მანქანით არ სარგებლობენ, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს.

მისი თქმით, პრემიერ-მინისტრმა პირველივე დღიდან უარი თქვა მისი ოჯახის წევრებისთვის სამსახურებრივი ავტომობილის მომსახურებაზე.

– შეიძლება პრემიერ-მინისტრი ამის აფიშირებას არ ახდენს, მაგრამ შეგიძლიათ, დააკვირდეთ მის მეუღლეს, მისი ოჯახის წევრებს – არც ერთს არ ემსახურება სამსახურებრივი მანქანა. ამის უფლება აქვს, მაგრამ რეალურად, მან ამ უფლების გამოყენებაზე უარი თქვა. მე ძალიან მომეწონა მისი სამუშაო ფორმატში გამოთქმული მოსაზრება. იქნებ ვიფიქროთ მმართველობითი ხარჯების მაქსიმალურად შემცირებაზე, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისი თქმით, მინისტრების, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის და ასევე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ოჯახის წევრებს უფლება აქვთ, ემსახურებოდეთ სამსახურებრივი მანქანა.

– ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ მმართველობითი ხარჯები არა მარტო შავი მანქანების ნაწილში, არამედ ბევრ სხვა ნაწილშიც შევამციროთ. ვისარგებლე შემთხვევით და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის დროს დავსვი პრემიების შეზღუდვის საკითხი, რადგან ეს საკითხი იყო და რჩება ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი ხალხის ერთ-ერთ მთავარ გამაღიზიანებელ ფაქტორად, – განაცხადა ქუცნაშვილმა. (bpn.ge)



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# რა ანტიკონსტიტუციური ქმედებები ჩაიდინა მინისტრმა სანიკიძემ?



არასამთავრობო ორგანიზაცია „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრში“ აცხადებენ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 43 ათას 527 ლარის ოდენობის პრემიაა გაცემული. მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელებზე და დაახლოებით 10 თანამშრომელზე გაცემულია 385 ათას 636 ლარი. მთლიანად, სტრუქტურაში კი გახარჯულია 938 028 ლარის ოდენობის პრემია.

**რა დამსახურებისთვის გაიცა უწყებაში რამდენიმე ათასი ლარის პრემია? რატომ უჩივიან მინისტრ თამარ სანიკიძეს პროკურატურაში?**

**„ალიას“ „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ თავმჯდომარე, დავით ფერაძე ესაუბრა:**

– „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ წევრმა, სკოლის მანდატურმა ალექსი ბლიაძემ იმუშავა საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით და მოიძია ინფორმაცია მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელი პირების პრემია-ხელფასების შესახებ. როგორც ირკვევა, სამსახურის უფროსის ვახტანგ მეიფარიანის პრემიამ გასული წლის განმავლობაში 12 ათას 40 ლარი შეადგინა.

**— რა დამსახურებისთვის?**

– როგორც აღმოჩნდა, მეიფარიანზე და სხვა ხელმძღვანელ პირებზე პრემია 2 თვეში ერთხელ გაიცემა და ყველა შემთხვევაში დაუსაბუთებლად. დაუსაბუთებელი პრემიის გარდა, მეიფარიანის ხელფასიც საკმაოდ სოლიდურია და ის 33 ათას 600 ლარს შეადგენს წლიურად. ამას ემატება მისი ტრანსპორტირების, სამივლინებო და სატელეფონო ხარჯები. და რაში იხარჯება ბიუჯეტიდან ამხელა თანხები? რას ემსახურება სინამდვილეში მანდატურის სამსახური? ესაა პოლიტიკური დევნის დაწესებულება. ასევე, ის გახლავთ საარჩევნო სამთავრობო რესურსი იმ სახელისუფლებო გუნდის ხელში, რომელიც მოცემულ მომენტში მართავს ქვეყანას. ასე იყო წინა ხელისუფლების დროსაც და ასეა ახლაც. ისევე, როგორც სანიკიძე, მანდატურის სამსახურის უმეტესი ნაწილი სწორედ „ნაცმოძრაობიდან“ გადმობარგებული და „ქოცების“ ნიღაბაფარებული ხალხია.

**— ვინ არის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსი ვახტანგ მეიფარიანი? საიდან მოდის?**

– ეს ადამიანი გახლდათ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მზადების ხელმძღვანელი. წინა ხელისუფლების დროს ჯერ იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი, შემდეგ საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ოპერატიული თანამშრომელი, მანამდე კი მწვრთნელი და სპორტსმენი გახლდათ. საინტერესოა, რომ, როგორც იურისტი, ის მხოლოდ ბაკალავრის ხარისხს ფლობს, თუმცა, უდიპლომო სანიკიძის ფონზე ესეც ბევრია. სწორედ ეს ადამიანი გახლავთ ის, ვინც ჩვენი ინფორმაციით, სანიკიძის რჩევით 116-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასელ მოსწავლეზე ძალადობაში შემჩნეულ მანდატურს ეახლა და მადლობა ოფიციალურად გადაუხადა „გმირობისთვის“. მანდატურის ეთიკის კოდექსი პირდაპირ ავალებდა მეიფარიანს, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრებინა მანდატურისთვის. ჩვენ ამაზე პრესითაც განვაცხადეთ – მანდატურის ეთიკის კოდექსში გარკვევით წერია, რომ პრესით გავრცელებული ინფორმაცია არის მანდატურის დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი.

ამის გარდა, გვაქვს ინფორმაცია, რომ სანიკიძე-მეიფარიანის ერთობლივი ძალისხმევით ჩაიფარცხა და იფარცხება მანდატურის სამსახურის მიერ წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი უკანონობები.

**— რას გულისხმობთ?**

– იმას, რაზეც საჯაროდ ისაუბრა მოქმედმა მანდატურმა ალექსი ბლიაძემ. მან მიმართა მინისტრს. საჩივარი შეიტანა პროკურატურაში. საქმე ეხებოდა 2012 წლის არჩევნებში მანდატურთა კორპუსისა და სამსახურის თანამდებობის პირთა სახელისუფლებო გუნდში ჩართულობას საარჩევნო პროცესში. საქმე იმიტომ იჩქმალება, რომ, როგორც ჩანს, არსებულ ხელისუფლებასაც ხელს აძლევს ასეთი „დასაყრდენი“, ან პირიქით, სანიკიძე, როგორც ძველი ხელისუფლების შემოგდებული მსტოვარი, ამ ძალას ისევ ნაცრევანშისთვის გამოიყენებს.

ისიც საინტერესოა, როგორ მოხვდა ეს კაცი ამხელა თანამდებობაზე, მაშინ, როდესაც სამინისტროს რიგით თანამშრომელსაც კი მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებულის ხარისხი მოეთხოვება. ეს მოხდა, რა თქმა უნდა, თამარ სანიკიძის ჩვეულებრივი ნეპოტიზმით.

**— რატომ, რამე აკავშირებს მას მინისტრთან?**

– ჩვენი ინფორმაციით, მეიფარიანი სანიკიძის ნათესავია და მთავარი ესაა. აი, ასე მოხვდა ის ამ სამსახურის უფროსად. თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში მას მითითებული არ აქვს, რა ქონებას ფლობს. საინტერესოა, ხეზე ბინადრობს თუ სადმე სკვერში?

აი, ასეთი ადამიანები მიმდგარან და ხრავენ განათლების ბიუჯეტს. მარტო ეს ერთი კაცი წლის განმავლობაში იღებს იმდენ ანაზღაურებას, რამდენითაც 100-120 მოსწავლეს აფინანსებს სახელმწიფო. ასეთი გაქსუებული ჩინოვნიკი კი ასობითაა მთლიან უწყებაში. ახლა მითხარით თქვენ, რა სწავლაზე, რა განათლების ხარისხზეა ლაპარაკი, როდესაც მინისტრ სანიკიძიდან მოყოლებული ყველა მყვლეფავი და მძარცველია?! როდესაც პრემიერი ყურებს არ იბერტყავს და ასეთი ადამიანების მთავრობიდან გაყრაზე არ ფიქრობს?! პირიქით, ახალისებენ მათ და მამხილებლებს დევნიან.

ამასთანავე, სამსახურის 4 მთავარი ხელმძღვანელი პირისა და 6 სამმართველოს უფროსის წლიური შემოსავალი 354 ათას 777 ლარია. მთლიანი სამსახურის წლიური ანაზღაურება კი – 10 100 586 ლარი.

სანიკიძე ქარის ქროლვის მიხედვით მოქმედებს და როგორც სჭირდება, ისე ირგებს ნიღაბს. ამას, უბრალოდ, პოლიტიკურ მეძავობას ეძახიან. გადმობარგდა „ნაცებიდან“ მარგველაშვილთან. მერე მარგველაშვილს ღარიბაშვილის სასარგებლოდ უღალატა, ახლა ღარიბაშვილიდან კვირიკაშვილის „მორჩილი“ გახდა, ხვალ თუ დასჭირდება, ისევ „ნაცებთან“ გადავა და თუ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ შესწევს იმის უნარი, რომ ამ ფლიდ ადამიანს სწორი შეფასება მისცეს, ეს იმათი პრობლემაა.

**— თქვენს ორგანიზაციას რა გეგმები აქვს?**

– ბოლო პერიოდში, ჩვენს ორგანიზაციას შემოემატა მანდატური ალექსი ბლიაძე და იცით, რით უპასუხეს მის აქტივობას? სრულიად უკანონოდ დასაჯეს და საცხოვრებლიდან კილომეტრებით მოშორებულ სკოლაში „გადაისროლეს“ – ვაკიდან ლილოში დადის. არ გაითვალისწინეს მისი თხოვნა. შემდეგ, როგორც ჩემ შემთხვევაში იყო, დაიწყეს მისი საქმის შეკერვა და მეიფარიანმა დაგვიანების გამო დისციპლინარული დევნა დაუწყო – გამოუცხადა წერილობითი საყვედური სრულიად უკანონოდ. ეს ადამიანი ახლა დევნას განიცდის. მზადდება მისი გაგდება. ესაა კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გამოხატვის, სიტყვის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, სანიკიძის მხრიდან ესაა ანტიკონსტიტუციური ქმედება, ისე, როგორც ეს ხდება ჩემ შემთხვევაში. მაგრამ მე კატეგორიულად ვაფრთხილებ როგორც მეიფარიანს, ისე სანიკიძეს – არ გაბედონ ბლიაძის ხელის ხლება.

მე პირდაპირ ვდებ თამარ სანიკიძეს ბრალს ჩემი და ჩემი ოჯახის, ჩემი ნათესავების, 116-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მშობლების დევნაში, დისკრიმინაციასა და სხვა ანტიკონსტიტუციურ ქმედებებში, მან და მისმა ხროვამ პასუხი უნდა აგონ ამაზე და პროკურატურამ უნდა დაიწყოს მათ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ზრუნვა. თუ პროკურატურა ამას არ იზამს, მაშინ ისიც დანაშაულის თანამონაწილე გახდება. ამ საქმეში ვრთავ, აგრეთვე, საერთაშორისო უფლებადამცველებს და დიპლომატიურ კორპუსს. სანიკიძემ პასუხი უნდა აგოს.

**რა დამსახურებისთვის გაიცა მანდატურის სამსახურის უფროსის, ვახტანგ მეიფარიანის მისამართით გასული წლის განმავლობაში 12 ათას 40 ლარის პრემია? ამ და სხვა კითხვებზე პასუხები იმ მიზეზით არ გვაქვს, რომ უწყების პრესსამსახური დათო ფერაძის განცხადებებზე კომენტარის გაკეთებაზე უარს აცხადებს.**

## რის გამო მოხდა შელაპარაკება მიხეილ მაჭავარიანსა და გოგლა ჟვანიას შორის?



პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე მიხეილ მაჭავარიანსა და გოგლა ჟვანიას შორის შელაპარაკება მოხდა. მაჭავარიანმა კომიტეტს საკანონმდებლო პაკეტი წარუდგინა, რომელიც საგადასახადო და ფინანსურ-ეკონომიკურ ინიციატივებს ეხება.

– სიმართლე გითხრათ, კითხვის დასმას არ ვაპირებდი. თქვენს ინიციატივას მაინცდამაინც სერიოზულობით ვერ ვეკიდები. ზოგადი საუბარი, რომ ეს ყველაფერი გამოიწვევს ცხოვრებისეულ სიკეთეებს, ქვეყნის აყვავებას, ადამიანების ჯიბეების გასქელებას, იქნებ ეს ყველაფერი კონკრეტულ ციფრებში გადაიყვანოთ. რამდენი მოაკლდება ბიუჯეტს, თუკი ეს ცვლილებები ამოქმედდება?! რამდენად გაიზრდება ბიუჯეტის დეფიციტი და ამის გადაფარვას რითი აპირებთ?! ეკონომიკურ ეფექტს რამდენი ხნის მერე ელოდებით, რომ მთელი მსოფლიოს ბიზნესმენები მოგვაწყდება და აქ ბიზნესის კეთებას დაიწყებენ?! – მიმართა მაჭავარიანს გოგლა ჟვანიამ.

თავის მხრივ, მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ არ იცის, გოგლა ჟვანია სერიოზულად რას ეკიდება და რას – არა.

– თუკი ასე გააგრძელებთ, ბიზნესმენები ნამდვილად არ მოგაწყდებიან. ბიუჯეტი პირველ ეტაპზე 660 მილიონი ლარით უნდა შემცირდეს. თქვენი ანალიზი მაინტერესებს, როცა ასეთივე ცვლილებებს მთავრობა შემოიტანს, აქ, უბრალოდ, უფრო კვალიფიციურად წერია. შეიძლება ეს თქვენ არ გესმოდეთ, მესმის, მაგრამ პრემიერს შეხვედრას ამიტომ ვთავაზობდით, – მიმართა ჟვანიას მაჭავარიანმა და აღნიშნა, რომ მისგან მსგავსი ტიპის შენიშვნების მოსმენას არ აპირებს.

ჟვანიამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვა და განაცხადა, რომ მაჭავარიანს კონკრეტული პასუხი არ აქვს.

– ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, მე რა მესმის. კონკრეტული პასუხი არ გაქვთ და პასუხს ვერ მცემთ. კონკრეტული კითხვა მაქვს და ზოგადი საუბრები არ მჭირდება, – მიმართა ჟვანიამ მაჭავარიანს.

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინიცირებული ცვლილებებით, მოგების გადასახადი უქმდება, დივიდენდების გადასახადი 5-დან 15 პროცენტამდე იზრდება და საშემოსავლო გადასახადი 20-დან 17,5 პროცენტამდე მცირდება. (ინტერპრესნიუსი)

## „თუ ასე გაგრძელდა შეიძლება, ვიხილოთ საქართველო არა ევროპაში, არამედ ზოოპარკში“



ალექსი პეტრიაშვილზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ გაკეთებული შეფასებების მიხედვით, ქვეყანა 90-იან წლებში ბრუნდება. ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ მოსახლეობას დაცულობის განცდა მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდება, თუ გამოძიება დანაშაულის დამკვეთის კვალზე გავა.

– ყველა დანაშაულს აქვს წინაპირობა, რომლის არცოდნის შემთხვევაში რაიმე გამართლება ასეთი ქმედებისა ნაკლებად წარმოსადგენია, მაგრამ თუ ვიცით, რა იყო მიზეზი, თუ დაგვიბრუნდა რწმენა იმისა, რომ ჩვენი პროკურატურა ამხელს დანაშაულების ჩამდენთა დამკვეთებს, მაშინ განცდა დაუცველობისა აღარ იქნება ქვეყანაში, მაგრამ ერთი მეორეს ემატება – საქმეები, რომელიც აშკარად ვიღაცის დაკვეთით იქნა რეალიზებული, უკეთეს შემთხვევაში გვაგებინებენ იმას, ვინ გამოჰკრა ხელი ჩახმახს და არანაირი წინსვლა სხვადასხვა კრიმინალური ქმედების გამოძიებისა რატომღაც არ ხდება სწორედ დამკვეთთა გამოვლენის შესაძლებლობების არქონის გამო. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ვიხილოთ საქართველო არა ევროპაში, არამედ ზოოპარკში და არც იმას გამოვრიცხავ, რომ დამკვეთის გამოკვეთის შემთხვევაში მისი ადგილიც იყოს არა ციხე, არამედ ზოოპარკის გალია, სადაც მან წლები უნდა გაატაროს, რომ იცოდეს ჩვენმა მოსახლეობამ, რა ჯიშის ველური მხეცები დათარეშობენ ჩვენს ქვეყანაში, – განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა. (პირველი რადიო)

## „როგორც კი დავადგენთ სიას, მოგცემთ კომენტარებს – სერგო რატიანი



„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას სანდრა რულოვსის საარჩევნო სიაში შეყვანასთან დაკავშირებით. როგორც სერგო რატიანმა განაცხადა, პარტიაში საარჩევნო სიაზე მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ:

– ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, შემიძლია, ცალსახად დაგიდასტუროთ. ქალბატონი სანდრა მართლაც გამორჩეული პიროვნებაა და გარდა იმისა, რომ არის ბატონ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე და პირველი ლედი, არის გამორჩეული ადამიანი და მისი სამოქალაქო აქტივობები არის ძალიან მნიშვნელოვანი. რაც შეეხება დანარჩენ გვარებს, განხილვები არ დაწყებულა, ამას აქვს მკაფიო პროცედურები, ჩვენ ვართ დემოკრატიული პარტია, არის პროცედურები და როგორც კი დავადგენთ სიას, მოგცემთ კომენტარებს, – განაცხადა სერგო რატიანმა. (პირველი რადიო)

# ვინ ლობირებს პარლამენტში საგანს — „მე და საზოგადოება“?



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



29 თებერვალს პარლამენტის განათლების კომიტეტის სხდომაზე, სახელმძღვანელოს – „მე და საზოგადოება“-ს განხილვამ ხმაურით ჩიარა. საგნის შემოღების მოწინააღმდეგეთა უმეტესობამ, სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.

რას აპროტესტებენ უფლებადამცველები? ვინ და რატომ ლობირებს საგანს პარლამენტში?

**„ალიას“ უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრა, რომელიც საკომიტეტო განხილვას ესწრებოდა:**

– პირველ რიგში, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას – სახელმძღვანელო „მე და საზოგადოება“ ამ დროისთვის არ არსებობს ბუნებაში. არსებობს მხოლოდ და მხოლოდ საგანმანათლებლო სტანდარტის სამუშაო ვერსია და მეთოდოლოგია, რომლითაც ხდება პედაგოგების გადამზადება, მაგალითად, ისეთი საკითხის გარშემო, როგორიცაა ჰომოსექსუალიზმი. პედაგოგებმა, სხვადასხვა როლური თამაშების, ტესტების გამოყენებით უნდა მოახდინონ განსხვავებულთა მიმართ მგრძნობელობისა და ტოლერანტობის განცდა, საუბარია მესამე-მეოთხე კლასის მოსწავლეებზე.

ამის დასტურად ჩვენ მოვიყვანეთ პოსტერი, რომელიც გამოკრული იყო 42-ე საჯარო სკოლაში. როდესაც ამ საკითხით დავინტერესდით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მივმართეთ კითხვით, რატომ იყო ამ პოსტერში გამოყენებული ისეთი ილუსტრაციები, რომელიც ასახავდა ტრანსგენდერის სიმბოლიკას? სწორედ ეს არის ჰომოსექსუალიზმის მიმღებლობის პროპაგანდა. ამას აკეთებდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით. ამით, ბუნებრივია, ირღვეოდა ბავშვთა უფლებების კონვენცია და თავისთავად მშობელთა უფლებებიც.

ჩვენს წერილზე პასუხად სამინისტროს ზოგადი განათლების მართვის დეპარტამენტმა მოგვწერა, რომ თურმე ევროპის ქარტიის დემოკრატიული მოქალაქეებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ქარტიის სავალდებულო მოთხოვნების ფარგლებში ეს ის საგანმანათლებლო რესურსებია, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებას აძლევს, მსგავსი ტიპის პოსტერები გაავრცელოს.

ამ საკითხს ჩავუღრმავდით და აღმოვაჩინეთ, რომ ის ქარტია, რომლითაც აპელირებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სინამდვილეში სულაც არ არის სავალდებულო, ის სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრი ორგანიზაცია დაკავებულია გენდერულ საკითხებზე მუშაობით და იღებენ ძალიან სერიოზულ თანხებს, როგორც ჩანს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ სავალდებულოდ მიეღოთ ეს ქარტია, რაც არის დიდი დარღვევა და გადაცდომა, რაც არც უმრავლესობის დეპუტატმა, გია ჟორჟოლიანმა უარყო სხდომაზე.

როდესაც მსგავსი საგანი შემოდის და განხილვაზე არ გამოაქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ჩნდება გარკვეული კითხვები – რატომ ხდება, რომ მხოლოდ და მხოლოდ რვა თვის თავზე, მხოლოდ მას მერე, რაც განგაში ავტეხეთ და პეტიციას ხელი მოაწერა ათეულობით ცნობილმა ადამიანმა, ამის მერე გადაწყვიტა განათლების სამინისტრომ სახეცვლილი სამუშაო ვერსია გამოეტანა განხილვაზე.

**— რას გულისხმობდა სამუშაო ვერსია?**

– დავინტერესდით, რას გულისხმობდა საჯარო განხილვის ფორმატში განათლების სამინისტრო და აქაც აღმოვაჩინეთ, სამინისტროს დაუვალებია სკოლებისთვის, რომ მათ დაჩქარებული წესით გამოეტანათ ეს საკითხი პედსაბჭოებზე და უნდა გამოეტანათ აპრიორი დადებითი გადაწყვეტილება, თითქოს მათთვის ეს საგანი მისაღებია. თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში აღმოჩნდა, რომ შედგა გაყალბებული ოქმი, თითქოს 118 პედაგოგი ესწრებოდა აღნიშნულ პედსაბჭოს და 118-დან 110-მა მხარი დაუჭირა. ჩვენთვის ამის თაობაზე ცნობილი გახდა ამ სკოლის დირექტორის მოადგილისგან, რომელმაც ამხილა სკოლის დირექტორი. ასე ცდილობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თითქოს ეს სტანდარტი ყველასთვის მისაღებია, იმიტომ, რომ ძალიან უწყინარი საგანია.

**— როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი ამ საგნის წინააღმდეგია, რატომ ცდილობს ხელისუფლება, რქებით გაიტანოს, რა ინტერესი აქვს?**

– ამ საკითხზე პასუხისმგებლობა აბსოლუტურად ხელისუფლებას ეკისრება, „ქართულ ოცნებას“, რომელმაც თავის დროზე, აბსოლუტურად უცერემონიოდ მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი. ეს ყველაფერი დაიწყო 2004 წელს, მაგრამ ახლა უკვე ძალიან აქტიური ხასიათი მიიღო. აგრესიული გენდერიზაციის გზას დაადგა ჩვენი ხელისუფლება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა ანგარიშებზეც ათასობით ლარი შემოდის უცხო ქვეყნებიდან. ის, რაც ამ საკითხის ირგვლივ ხდება ქვეყანაში, არის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა.

**„აგრესიული გენდერიზაციის გზას დაადგა ჩვენი ხელისუფლება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა ანგარიშებზეც ათასობით ლარი შემოდის უცხო ქვეყნებიდან. ის, რაც ამ საკითხის ირგვლივ ხდება ქვეყანაში, არის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა“**

სამწუხაროდ, უმრავლესობის წარმომადგენლების პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურია და ისინი ამ ყველაფერში საფრთხეს ვერ ხედავენ. კომიტეტის სხდომაზე ალექსანდრე ქანთარია საუბრობდა, რომ ძალიან ეძება, მაგრამ ამ ყველაფერში საფრთხე ვერ დაინახა. მე მგონია, რომ მთელი უმრავლესობაა პარლამენტში ამ საკითხის ლობისტი, ყველა, ვინც ჩვენს მტკიცებულებებს გვერდს უვლის.

**— რას აპირებთ, თუ ეს საგანი შევა სკოლებში?**

– არ შევეგუებით. ეს საკითხი დიდ ხნის წინათ დაიწყო. მაშინ მე და ბატონმა სოსო მანჯავიძემ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს მივმართეთ ამ თემაზე და ექსპრემიერის ძალისხმევით შეჩერდა ეს საკითხი.

ორი დღის წინ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში ოჯახის ინსტიტუტის დამცველთა მრავალათასიანი მიტინგი დაარბია პოლიციამ. ეს ადამიანები აცხადებდნენ, რომ სკოლებში არაფრისდიდებით არ უნდა ისწავლებოდეს საგანი ერთსქესიანთა მიმღებლობასთან დაკავშირებით. ასევე ხდება საფრანგეთში, იტალიაში... ყველგან აპროტესტებენ აგრესიულ გენდერიზაციას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები მოტივირებული არიან, იმუშაონ ისეთ საგანზე, რომელიც გაჯერებულია ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდით. ჩვენ ამას დავამტკიცებთ სასამართლოშიც და ყველგან, სადაც საჭიროა. ჩვენ არ ვართ 5-10 კაცი, ასეულობით ადამიანი აპროტესტებს ამ საკითხს და ძალიან მალე შევძლებთ, საზოგადოებას გავაგებინოთ, რა საფრთხის წინაშე დგას მომავალი თაობა, არ გავჩერდებით და თუ ხელისუფლება ისევ ჯიუტად შეეცდება ამ საგნის შემოღებას, დიდი დრო აღარ დარჩა და საზოგადოებისგან პასუხს 2016 წლის არჩევნებზე მიიღებს.

## წულუკიანი პაპუაშვილზე: „გაბრაზებულია და ზღაპრებს ყვება“



საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის განცხადებას, რომელმაც ევროსასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესს პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა, იუსტიციის მინისტრი გამოეხმაურა:

– მე მას დავუწერე დაბალი ქულა, ამიტომ არ გამიკვირდება, რომ მან მოიგონოს ახალ-ახალი ამბები და საზოგადოებას მოუყვეს ზღაპრები. ეს მისი უფლებაა. მესმის, რომ მას მალე უმთავრდება მანდატი საკონსტიტუციო სასამართლოში, მესმის, რომ მას ძალიან უნდა იყოს სტრასბურგში მოსამართლე, მაგრამ მე რომც არ დამეწერა მისთვის დაბალი ქულა, კომისიის ყველა წევრმა, ერთის გამოკლებით, მას დაუწერა ძალიან დაბალი ქულა, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრის თქმით, გიორგი პაპუაშვილს დაუსვეს კითხვა, ჰქონდა თუ არა დისკომფორტი იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილისგან სიმბოლურ ფასად ძვირად ღირებული ბინა მიიღო და გარეთ დატოვა არასრულწლოვანი ბავშვები:

– მან თქვა, რომ დისკომფორტი მაინცდამაინც ვერ ექნებოდა. ასეთ ადამიანებს მე მაღალ ქულებს არ ვუწერ. თუ გაბრაზებულია, მოიგონებს ზღაპრებს, ეს მისი უფლებაა, – განაცხადა წულუკიანმა. (პირველი რადიო)

## საგარეჯოს არჩევნების გამოძიებას უსუფაშვილი ეხმაურება



საგარეჯოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურა.

– პროკურატურა როდესაც საქმის გამოძიებას იწყებს, ამაზე მე ვერ გეტყვით, რას ნიშნავს ეს. ამაზე პროკურატურამ უნდა განაცხადოს, რას ნიშნავს, რა იწყება, რატომ იწყება. პროკურატურა იძიებს საქმეებს, მერე ეს ზოგი სწრაფად მთავრდება, ზოგი დიდხანს ვერ მთავრდება, ზოგი სასამართლოში მთავრდება, ზოგი პროკურატურაშივე მთავრდება. ვის დაკითხვასაც გადაწყვეტს პროკურორი, მან თავად უნდა განაცხადოს. თუ ვინმეს ჩემთან აქვს რაიმე კითხვები, მზად ვარ... კითხვები არ არის ცალმხრივი. კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს ყველამ და ყველას მოგვიწევს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, – განაცხადა უსუფაშვილმა. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მეუფე თეოდორე — ეკლესია გმობს და ემიჯნება ყოველგვარ ძალადობრივ ქმედებას



– არა მხოლოდ ეს კონკრეტული დაპირისპირება უნდა იყოს გამოძიებული, არამედ გამოძიებული უნდა იყოს ის პროვოკაციები, რომელმაც ასეთი დაპირისპირება გამოიწვია, – ამის შესახებ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ეთერში ადიგენის ფაქტთან დაკავშირებით ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ განაცხადა.

– მართლმადიდებელი მოსახლეობა წინააღმდეგი იყო, რომ ცალკე სასაფლაო გამოყოფილიყო და ამაზე მიდიოდა დიალოგი, კამათი. როგორც ვიცი, ეს გარკვეული ხანია გრძელდება. თითქოს მიღწეული იყო შეთანხმებები და გარკვეულ თანხმობაზე იყვნენ გასული. არ ვიცი, ვინ, მაგრამ ადამიანების გარკვეულმა ჯგუფებმა მოახდინეს პროვოკაცია და ამ პროვოკაციის შედეგად მოხდა დაპირისპირება. ძალიან სამწუხაროა ეს და მინდა მოვუწოდო, მივმართო სამართალდამცველ ორგანოებს. ვიცი, რომ საქმეა აღძრული ამასთან დაკავშირებით, მაგრამ მინდა მივმართო, არა მხოლოდ ეს კონკრეტული დაპირისპირება უნდა იყოს გამოძიებული, არამედ გამოძიებული უნდა იყოს ის პროვოკაციები, რომელმაც გამოიწვია ასეთი დაპირისპირება, რადგან შემდგომში თავიდან ავიცილოთ მსგავსი პრობლემები და მსგავსი ვითარება, – განაცხადა მეუფე თეოდორემ. (ინტერპრესნიუსი)

## ხიდაშელი თოფაძის განცხადებების უკან რუსულ კვალს ხედავს, ივანიშვილის ხელს კი გამორიცხავს



თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მის მიმართ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს. როგორც ხიდაშელმა „არჩევანში“ განაცხადა, ამ კამპანიის უკან, რომელსაც „მრეწველები“ აწარმოებენ, მეზობელი ქვეყანა დგას და არა ბიძინა ივანიშვილი.

– მათი მიზანია, ქართული პოლიტიკური სივრციდან პროდასავლურ ძალებს შეუქმნან პრობლემა. ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები კოალიციის საწინააღმდეგო ქმედება, იმ კოალიციის, რომელსაც დეკლარირებული აქვს, პროდასავლური კურსი, – აღნიშნა ხიდაშელმა.

კითხვაზე ხედავს თუ არა პროცესების უკან ყოფილ პრემიერს, თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ის ამ საკითხს გამორიცხავს.

– ეს ბიძინა ივანიშვილს საწინააღმდეგო ქმედებაა. როგორ შეიძლება კოალიციის დამფუძნებელი ებრძოლოს იმ პარტიას, რომელიც თავის დროზე წამყვან სუბიექტად დაასახელა. როცა „ქართული ოცნება“ იქმნებოდა, თოფაძისთვის იქ არავის დაუძახია, ახლა იძახის, ბიზნესის პრობლემები მქონდაო, მაგრამ ეს ტყუილია. გოგი თოფაძის ოცნება არ იყო, რომ თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ყოფილიყო, მას არც ის უნდოდა, რომ პრემიერის სავარძელი გიორგი კვირიკაშვილს დაეკავებინა. ამ კამპანიის უკან დგანან ძალები და ეს ძალები ჩვენ მეზობელ ქვეყანაში უნდა ვეძებოთ. ის ყველაფერს აკეთებს, რომ შეიცვალოს ქვეყნის მიერ არჩეული კურსი, – განაცხადა თინათინ ხიდაშელმა. (ნიუპოსტი)

## ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელიც ბავშვებზე ძალადობდა, დააკავეს



ოთხამდე იზრდება იმერეთის ერთ-ერთ სოფელში იმ არასრულწლოვნების რიცხვი, რომლებიც ფიზკულტურის მასწავლებელს გარყვნილ ქმედებაში სდებენ ბრალს, ინფორმაციას პირველი არხი ავრცელებს.

სამი გახმაურებული შემთხვევის შემდეგ, პედაგოგის მხრიდან სექსუალურ ძალადობაზე კიდევ ერთი მოზარდის მშობელი საუბრობს. 54 წლის მამაკაცი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში იძებნებოდა, უკვე დაკავებულია.

12-დან 14 წლამდე ასაკის მოსწავლეთა ოჯახის წევრების ინფორმაციით, სკოლის თანამშრომელი ბავშვებს სხვადასხვა მეთოდით აშანტაჟებდა. მშობლები ექსპერტიზის საბოლოო შედეგებს ელოდებიან. (fortuna.ge)

# ვინ არიან ქართველი „კანონიერი ქურდების“ ცოლები





ფული, კრიმინალი, იარაღი, სამართალდამცველები – ამ ქალებისთვის ეს ყველაფერი კარგად ნაცნობია. ვინ არიან ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდების ცოლები, რომელთა ცხოვრება გასაიდუმლოებული და ბურუსით მოცულია...

**– მარინა გოლბერგი**

მარინა გოლბერგი კრიმინალური ავტორიტეტის შაქრო კალაშოვის მეუღლეა. მისი სახელი 2012 წელს გახდა ცნობილი, როცა ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დაჯგუფებების წევრების ახალი სია, სადაც ოფიციალურად, „საძმო წრის“ (The Brothers' Circle) კრიმინალური ორგანიზაციის წევრობის სტატუსი მიენიჭა ცნობილ კრიმინალ ზაქრო კალაშოვს. სიაში მეუღლესთან ერთად მოხსენიებულია მარინა გოლბერგიც. ამ „შავ სიაში“, ასევე, შედიან: ძმები ლაშა და კახაბერ შუშანაშვილები და მათი „მარჯვენა ხელი“, ე.წ. კანონიერი ქურდი კობა შემაზაშვილი, ე.წ. კანონიერი ქურდი თემურ მირზოევი, ე.წ. კანონიერი ქურდი ვლადიმერ ვაგინი (ვაგონი), ე.წ. კანონიერი ქურდი ვასილი ხრისტოფოროვი (ვასია ვოსკრეს) და სხვები. თითქმის ყველანი „დედ ჰასანის“ კრიმინალურ წრეში შედიან.

**— ირინა ასათიანი**

ქუთაისელი „კრიმინალური ავტორიტეტის“ ტარიელ ფოცხვერიას მეუღლე ირინა ასათიანი ფართო საზოგადოებამ ცოტა ხნის წინ გაიცნო. ფოცხვერია სასჯელს ონკოლოგიურ კლინიკაში 2 წელია იხდის. პატიმარს ბადრაგისა და სპეცრაზმის 7 წევრი აკონტროლებს. ირინა ასათიანი, ადვოკატებთან ერთად, მსჯავრდადებულის განთავისუფლებას ითხოვს, რათა მან დარჩენილი სიცოცხლე ოჯახთან გაატაროს. პალატაში მსჯავრდადებულის მონახულების უფლება მხოლოდ მეუღლეს აქვს. ასათიანსა და ფოცხვერიას ორი შვილი და სამი შვილიშვილი ჰყავთ.

**— მირანდა ფერაძე**

მირანდა ფერაძე ე.წ. კანონიერი ქურდის „რეზიკო ჯვარსკის“, რევაზ უბილავას მეგობარი გოგონაა. „რეზიკო ჯვარსკი“ ე.წ. კანონიერ ქურდად 2014 წელს აკურთხეს. ერთ-ერთი გავრცელებული ისტორია, რაც „რეზიკო ჯვარსკის“ სახელს უკავშირდება, მისი და სომეხი ქურდის შეხვედრაა. შემთხვევა კრასნოდარში მოხდა, სომეხ ქურდთან შესახვედრად მისული რეზიკო ჯვარსკი დააკავეს, მას სთხოვდნენ, ქურდებისთვის შეეგინებინა, მაგრამ არ შეაგინა. ამის გამო 22 წლის ქურდს ორივე ფეხი მოსტეხეს.

რაც შეეხება მის მეგობარ გოგონას, მირანდა ფერაძე და რეზიკო ჯვარსკი 2015 წლის 20 სექტემბერს დააკავეს. დაკავებამდე, 19 სექტემბერს უბილავა და მისი მეგობარი გოგონა, მირანდა ფერაძე ბელორუსში თურქეთიდან ჩაფრინდნენ. კრიმინალურ ავტორიტეტს უკანონო გზით მოპოვებული რამდენიმე ათასი არადეკლარირებული დოლარი და ევრო აღმოაჩნდა, რომელიც „ობშიაკისთვის“ იყო განკუთვნილი.

გასაუბრების შემდეგ „რეზიკო ჯვარსკი“ და მისი მეგობარი გოგონა ბელორუსმა სამართალდამცველებმა გაუშვეს და მათ ქვეყნის ტერიტორია დატოვეს.

**— ქეთი ზვიადაძე**

ქეთი ზვიადაძე კრიმინალური ავტორიტეტის ლაშა დოლონაძის ცოლია. დოლონაძეს კრიმინალურ სამყაროში „ლაშა პიტერსკის“ სახელით იცნობენ. მას მეორე მეტსახელიც აქვს – „ჟოფრეი“. ის და მისი მეუღლე წარმოშობით ქუთაისიდან არიან და სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობენ. „ლაშა პიტერსკის“ და ქეთი ზვიადაძეს ორი შვილი ჰყავთ.

**— იულია ვოლკოვა**

იულია ვოლკოვა სკანდალური ჯგუფის „ტატუს“ სოლისტია. მან შარშან ე.წ. კანონიერ ქურდზე გია ზარანდიაზე (იგივე გია გალსკი) იქორწინა. სანამ მომღერალი 35 წლის კრიმინალურ ავტორიტეტს დაუკავშირებდა ბედს, სკანდალურ პროექტებში მონაწილეობდა. ის რუსული „პლეიბოისთვის“ გაშიშვლდა კიდეც. გათხოვებისას ვოლკოვა გია გალსკისგან ორსულად იყო. ეს მისი მესამე შვილია. პირველი ბავშვის მამა ვოლკოვას დაცვის უფროსია, ხოლო მეორე ერთ-ერთი რუსული სამშენებლო კომპანიის გენერალური დირექტორის შვილისგან გააჩინა. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ბათუმის წყლის“ დირექტორმა რესტორანს წყალი გადაუკეტა

ბათუმის წყლის დირექტორს ალეკო მიქელაძეს რესტორანმა „BK“-მ ბათუმში სასურველი მაგიდა ვერ შესთავაზა. ის რესტორნიდან გაბრაზებული წავიდა. რამდენიმე წუთში კი რესტორანს წყლის მიწოდება შეუწყვიტეს – რესტორანმა ორგანიზაციის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართა.

რესტორნის პერსონალის ინფორმაციით, გასულ შაბათს, საღამოს „ბათუმის წყლის“ დირექტორი ალეკო მიქელაძე რესტორანში მეგობრებთან ერთად მივიდა. მას რესტორანში სასურველი მაგიდა არ დახვდა თავისუფალი, რის გამოც უკმაყოფილება გამოხატა. რესტორნის პერსონალმა შესთავაზა სხვა მაგიდა, ვიდრე მისთვის სასურველი მაგიდა განთავისუფლდებოდა.

შეთავაზებამ ალეკო მიქელაძე არ დააკმაყოფილა. მან რესტორანი დატოვა, წასვლისას კი პერსონალს დაემუქრა: „თუ საჭიროა, რესტორანსაც დავცლი“.

მისი წასვლიდან რამდენიმე წუთში რესტორანს წყლის მიწოდება შეუწყდა. ეს ამბავი მენეჯერმა მეპატრონეებს შეატყობინა. ისინი „ბათუმის წყალს“ ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდნენ, სადაც მიიღეს პასუხი, რომ დაზიანებაა და „ხელოსნები საჭირო მასალების შესასყიდად წავიდნენ“. ეს ზარი და პასუხიც დაახლოებით ღამის 10 საათზე დაფიქსირდა.

წყლის გათიშვიდან ცოტა ხანში პერსონალმა სტუმრების მომსახურება ვეღარ შეძლო და რესტორანი დაიცალა. ზოგიერთი კი დაზიანების ადგილის მოსაძებნად გავიდა, რა დროსაც მათ აღმოაჩინეს, რომ მემედ აბაშიძის ქუჩაზე, სადაც რესტორანია განთავსებული, წყალი მხოლოდ ერთ ეზოში იყო გამორთული.

მეპატრონეები ცხელ ხაზს ისევ დაუკავშირდნენ და დაზიანების ადგილსა და მიზეზზე ჰკითხეს. მიზეზად გაჟონვა დასახელდა. ადგილი კი გაურკვეველი დარჩა მას შემდეგაც, როცა ხელოსნები წყლის ჩასართავად მივიდნენ. რესტორნის პერსონალი ამბობს, რომ მანამდე იქ სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად არავინ მისულა.




თავად ალეკო მიქელაძე მომხდართან დაკავშირებით აცხადებს:

– რესტორანში იყვნენ ჩემი ახლობლები, შვილებთან ერთად, მათ მივაკითხე და რადგან იქ ვიყავი, რესტორანი წყლის გეგმიური გათიშვის შესახებ გავაფრთხილე. ვუთხარი, ერთი საათით წყალი გაგეთიშებათ-მეთქი და არ ვიცი, რატომ აღიქვეს ასე, რატომ ატეხეს ამბავი. მე არ გავჩერებულვარ იქ დიდხანს, ყავაც არ დამილევია. სისულელეა, თითქოს სასურველი მაგიდა მოვითხოვე ან ვინმეს დავემუქრე. ეს ყველაფერი სისულელეა. რატომ უნდა აკეთებდეს ამას რესტორანი, არ ვიცი. რაც შეეხება გეგმიურ გათიშვას. ჩვენ ამ ქუჩაზე გვქონდა წყლის დიდი დანაკარგი. ეტაპობრივად ვთიშავდით მიწოდების სხვადასხვა ადგილს და ვამოწმებდით. აღმოჩნდა, რომ ერას მოედანზე შადრევნები რომაა, ამის გამო გვქონდა დანაკარგი, – განაცხადა ალეკო მიქელაძემ. (ბათუმელები)

## ციხეში აკრძალული საგნის შეტანის მცდელობის ფაქტზე დაწესებულების თანამშრომელი დააკავეს



სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, პენიტენციურ დაწესებულებაში აკრძალული საგნის შეტანის მცდელობის ფაქტზე დაკავებულია დაწესებულების თანამშრომელი გ.მ., რომელსაც შემოწმებისას ზეწარში ფარულად გადამალული აკრძალული საგნები – სამი ცალი საშუალო ზომის დანა აღმოაჩნდა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, გ.მ-ს ბრალად ედება პენიტენციურ დაწესებულებაში აკრძალული საგნის შეტანის მცდელობა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-378 პრიმა მუხლის მესამე ნაწილით. (kvira.ge)

## ქართველმა 17-წლამდელებმა სომეხი თანატოლები დიდი ანგარიშით დაამარცხეს



საქართველოს 17 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, სომეხ თანატოლებთან ამხანაგური მატჩი ჩაატარა.

შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო და მე-8 წუთზე ისინი ერიკ პეტროსიანის გოლით დაწინაურდნენ. მატჩში გარდატეხა ქართველებმა შესვენების შემდეგ შეიტანეს – ვასილ მაისურაძემ შეცვლას მიმართა და თამაშიც შემოაბრუნა. საქართველოს ნაკრებმა ლევან ხარაბაძის (41-ე და მე-60 წუთები), გიორგი ჩაკვეტაძის (პენ.) (45) და ზურაბ დავითაშვილის (75) გოლებით 4:1 იმარჯვეს. აღსანიშნავია, რომ 15 წლის დავითაშვილისთვის ეს მატჩი სადებიუტო იყო ორი წლით უფროს ნაკრებში. მომდევნო ამხანაგურ მატჩს ვასილ მაისურაძის გუნდი სომხეთთან 3 მარტს, 14 საათზე „მიხეილ მესხზე“ გამართავს. (kvira.ge)

# „ვლადიმერ პუტინს ვუთხარი, რომ დაკარგული ტერიტორიები ღია ჭრილობაა საქართველოს სხეულზე“



საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ ესპანეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე, ევროკავშირში ინტეგრაციასა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ისაუბრა.

პატრიარქის თქმით, საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მალე გახდეს ევროკავშირის წევრი, თუმცა ილია მეორე მთავარ პრობლემად დაკარგულ ტერიტორიებს ასახელებს.

– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს, ეს მალე მოხდება. ტერიტორიული მთლიანობა ჩვენი ქვეყნის დიდი ტკივილია. მქონდა შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან და მე ვუთხარი მას, რომ ეს ღია ჭრილობაა საქართველოს სხეულზე. ამ საკითხის ჭრილობის ღიად დატოვება არ შეიძლება. არასდროს არ ყოფილა კონფლიქტი აფხაზებსა და ქართველებს შორის, ეს იყო შექმნილი ხელოვნურად, – განაცხადა პატრიარქმა.

თავის მხრივ, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველო მალე უნდა გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. ამასთანავე, ხოსე მანუელ გარსია მარგაომ საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა და აღნიშნა, რომ ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს. (pia.ge)

# ამერიკაში ბინების ძარცვისთვის საქართველოს მოქალაქე დააკავეს




ამერიკელმა სამართალდამცავებმა საქართველოს მოქალაქე მამუკა ბოკუჩავა დააკავეს, – ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

გამოძიების ინფორმაციით, მამუკა ბოკუჩავა ბრუკლინში ადგილობრივი მოსახლეობის ბინებს ძარცვავდა.

ერთ-ერთმა დაზარალებულმა პოლიციას ძარცვის შესახებ ინფორმაცია 2014 წლის ნოემბერში მიაწოდა.

გამოძიების ინფორმაციით, ბოკუჩავა ბრუკლინში ბინებს ძარცვავდა და სახლებიდან დიდი ოდენობის ფული გაიტაცა. გამოძიების ინფორმაციით, მამუკა ბოკუჩავამ, საერთო ჯამში, 300 ათასი აშშ დოლარი გაიტაცა. (kvira.ge)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# რატომ არ შესრულდა სანდრო ბრეგაძის დაპირება ხიდაშელის გადადგომაზე და რას შეჰპირდნენ „ოცნების“ დეპუტატები?



დიასპორის მინისტრის ყოფილი მოადგილე და მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე, რომლის თანამდებობაც „რესპუბლიკელებთან“ დაპირისპირებას შეეწირა, ორი კვირის წინ მთავრობიდან თინა ხიდაშელისა და კიდევ ორი „რესპუბლიკელი“ მინისტრის გარდაუვალი წასვლა დააანონსა, თუმცა, ისინი ისევ თანამდებობებზე არიან. ბრეგაძე, ასევე, კატეგორიულად აცხადებს, რომ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის მიხედვითაც საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება არ დაიშვება, ხელს მოაწერს 76 დეპუტატი და დაიწყება იურიდიული პროცედურები.

**„ალიას“ სანდრო ბრეგაძე ესაუბრა:**

**— ორი კვირის წინ გარანტირებულად განაცხადეთ, თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი აღარ იქნება და მთავრობას სხვა „რესპუბლიკელებიც“ დატოვებენო. ისინი ისევ პოსტებზე არიან. რა მოხდა, რატომ არ გამართლდა თქვენი ინფორმაცია?**

– დიახ, ეს განვაცხადე და დღესაც ვაცხადებ, რომ არც ერთი „რესპუბლიკელი“ და მით უმეტეს, თავდაცვის მინისტრი არ იქნება თანამდებობაზე. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ადამიანი ყველანაირი მეთოდით ცდილობს, ჩაებღაუჭოს სკამს და ელემენტარული, მცირედი თავმოყვარეობაც კი არ აქვს, რომ თუნდაც გამოძიების დასრულებამდე გადადგეს თანამდებობიდან. როდესაც ასეთი ტიპის გამოძიება მიმდინარეობს და მოწმეებად არიან ის პირები, რომლებიც თავდაცვის მინისტრის დაქვემდებარებაში არიან, რა თქმა უნდა, მინისტრს ადვილად შეუძლია მათზე ზემოქმედების მოხდენა და გამოძიების ობიექტურობისთვის აუცილებელია, ის არ იყოს თანამდებობაზე. როდესაც ევროპელობასა და ევროპულ ღირებულებებზე დებ თავს, თუკი შენს წინააღმდეგ არის ასეთი ბრალდებები და პროკურატურა იწყებს გამოძიებას, უნდა გადადგე, მაგრამ, ეტყობა, თინათინ ხიდაშელს სკამი ყველაფერს ურჩევნია. უბრალოდ, დროის ამბავია, რომ თინა ხიდაშელი წავიდეს თანამდებობიდან და საერთოდ „რესპუბლიკელები“ არ იყონ მაღალ პოსტებზე. მე დავასახელე მოკლე პერიოდი და ყველანაირი ლოგიკით, დღეს თავდაცვის მინისტრი დროებით მაინც უნდა იყოს წასული. რაც შეეხება კიდევ ორ მინისტრს, ისინი ვაგონებს წარმოადგენენ, ვიქონიოთ ცოტაოდენი მოთმინება და ჩვენი თვალით დავინახავთ, რა და როგორ იქნება.

**— განაცხადეთ, რომ 76 დეპუტატი გყავთ მომხრე და აუცილებლად იქნება ინიცირებული პარლამენტში კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. მაგრამ იურიდიულმა კომიტეტმა მსგავსი კანონპროექტი წარმოებაშიც კი არ მიიღო. ნათქვამი არ გამართლდა და დარწმუნებული ხართ, რომ 76 დეპუტატი მართლა მოაწერს ხელს თქვენს შეტანილ შესწორებას?**

– ჩვენ გვქონდა საუბრები „ქართული ოცნების“ დეპუტაციასთან და მათ უკვე გადაწყვეტილად განაცხადეს, რომ 76 ხელმოწერა აუცილებლად იქნება და პროცედურები დაწყებულია. სხვადასხვა კომიტეტებში უკვე არის დღის განრიგში ჩასმული განხილვა. მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია და ეს ინფორმაცია „ქართული ოცნების“ ლიდერებთან შეხვედრის შემდგომ მაქვს, დაახლოებით ერთი კვირის ვადაში ეს პროცედურები დამთავრებულიც იქნება და უკვე სესიებზე გადაინაცვლებს საკითხი.

კონკრეტულად, პირველი ვინ მოაწერს ხელს და ვინ შეიტანს განსახილველად, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ჩემთვის გადამწყვეტია, რა შედეგი დადგება. არაერთხელ ვთქვი და ყველამ იცის, რომ „რესპუბლიკელები“ არიან ერთსქესიანთა ქორწინების მომხრე, ამიტომ ამ ინიციატივას მხარს არ უჭერენ და არც ხელს აწერენ. მთავარია შედეგი, რომ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება არ დაიშვას. გარწმუნებთ, 76 დეპუტატის ხელმოწერა იქნება აუცილებლად.

**— ვახტანგ ხმალაძე ამბობს, კანონპროექტს 150 დეპუტატის სია ახლავს, მაგრამ არც ერთი ხელმოწერა არ არისო. ამაზე რას იტყვით, აქაც ტყუილი დაპირება გამოგივიდათ?**

– არა, არა... ის, რაც მოხდა და რატომაც არ მიიღო, აბსოლუტურად სხვა რამეა და ჩვენს საკონსტიტუციო შესწორებებთან არანაირ კავშირში არაა, სხვა ჯგუფმა შეიტანა.

**— ზუსტად ამის გასარკვევად გირეკავთ, ხმალაძემ განაცხადა, რომ იურიდიული პროცედურები დარღვეულია...**

– ეტყობა, შემტანმა არ იცოდა, რომ ამას დეპუტატების ხელმოწერა სჭირდებოდა და როგორ უნდა მიეღოთ წარმოებაში? ელემენტარული იურიდიული ნორმებიც არ იცოდა, ვინც შეიტანა.

**— „რესპუბლიკელი“ მინისტრების გადადგომაზე თქვენი**

# პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა



პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის მიმართ მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა. საქართველოს პროკურატურაში აცხადებენ, რომ იორგი გორელაშვილის, დავით ლონდარიძისა და სერგო ჩაპლიგინის მიმართ გამოგონილი ჯაშუშობის ბრალდებით გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოთხოვნით პროკურატურამ შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა.

– საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებითა და სასამართლოს სამი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, უტყუარად დადგინდა, რომ 2011 წლის სექტემბერში, პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე, დავით ლონდარიძე, გიორგი გორელაშვილი და სერგო ჩაპლიგინი დაკავებული იყვნენ უკანონოდ გამოგონილი „ჯაშუშობის“ ბრალდებით. შესაბამისად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის რეაბილიტაციის მიზნით შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები წამოიწყო, – ნათქვამია განცხადებაში. (პირველი რადიო)

# მოხუც კაცს ყური მოაჭრეს



ვანში ყაჩაღობისა და მოხუცი მამაკაცის დასახიჩრების ფაქტზე ყვებიან.

აღნიშნულის შესახებ „ქუთაისიპოსტთან“ დაზარალებულის ნათესავები საუბრობენ.

მათი ინფორმაციით, ყაჩაღობის ფაქტი ვანში სამი დღის წინ მოხდა.

როგორც ისინი ამბობენ, მძარცველები 83 წლის მამაკაცს სასტიკად გაუსწორდნენ.

– მძარცველები სახლში შევარდნენ და ფულს ეძებდნენ, ვერაფერი რომ ვერ იპოვეს, იფიქრეს, ფულს მალავდა და ამის გამო მოხუც კაცს ყური მოაჭრეს, – ამბობს დაზარალებულის ნათესავი.

მისივე თქმით, მოხუცს მალევე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და თავს კარგად გრძნობს.

როგორც ირკვევა, ვანში მომხდარი ყაჩაღობისა და წამების შესახებ ინფორმაცია არ გახმაურებულა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ მათთვის აღნიშნული ფაქტი უცნობია. (ქუთაისიპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ომბუდსმენი: რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებაზე წაყრუებით ახალ შედეგს ვიღებთ



სახალხო დამცველი ადიგენში რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ დაპირისპირებას ეხმაურება და აცხადებს, რომ როდესაც მსგავს ფაქტებზე ხელისუფლების მხრიდან ადეკვატური რეაგირება არ არის, კიდევ ახალ შედეგს ვიღებთ.

– დროული რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არის ძალიან მნიშვნელოვანი, გამოძიება მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა დასრულდეს. ზოგადად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გამოძიება, არამედ ძალადობის ესკალაციის პრევენცია. აღნიშნულ მუნიციპალიტეტში უკვე რამდენიმე მსგავსი ინციდენტი მოხდა წარსულში და ეს ხელისუფლებისთვის უნდა იყოს დამაფიქრებელი.

შეიძლება ითქვას, რომ ადიგენშიც კვლავ პრობლემაა ის, რომ, როდესაც რამდენჯერმე არ მოხდა ადეკვატური რეაგირება ასეთ ფაქტებზე, რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ დაპირისპირებაზე, არ გაეცა პასუხი ხელისუფლების მხრიდან, კიდევ ვიღებთ ახალ შედეგს. ნებისმიერი წაყრუება ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით არის წახალისება, – აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

სოფელ ადიგენში ადგილობრივი მუსლიმანი და ქრისტიანი თემი ფიზიკურად დაუპირისპირდა ერთმანეთს, რა დროსაც სამი ადამიანი დაშავდა. დაპირისპირების მიზეზი მუსლიმანი თემის მიერ სასაფლაოს ადგილის მოთხოვნა გახდა.

ვითარების ესკალაცია რელიგიის სააგენტოს 25 თებერვლის რეკომენდაციამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც ადიგენის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მუსლიმანთა სასაფლაოსთვის ადგილი უნდა გამოყოს.

ადიგენში მომხდარ დაპირისპირებას სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველო ეხმაურება.

– სამწუხაროდ, ბოლო წლებში ხელოვნურად ხდება მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირების ინსპირირება. ვფიქრობთ, რომ ადიგენში მომხდარი ფაქტიც ხელოვნურადაა ინსპირირებული, – წერია განცხადებაში.

ბოლო ინფორმაციით, ამ დროსთვის სოფელში სიმშვიდეა, თუმცა ადგილზე სამართალდამცავები რჩებიან. (ipress.ge)

# ალექსი პეტრიაშვილი რეანიმაციის განყოფილებიდან პალატაში გადაიყვანეს



„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ალექსი პეტრიაშვილი რეანიმაციის განყოფილებიდან პალატაში გადაიყვანეს. როგორც ექიმები აცხადებენ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშო აღარ არის.

გამოძიებას პეტრიაშვილი ჯერ არ დაუკითხავს. მას სამართალდამცველები თავდასხმის შესახებ კითხვებს უახლოეს დღეებში დაუსვამენ. (kvira.ge)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რევოლუციური კვლევა: სოციალური ქსელები აბერებს!



Merz Aesthetics მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კოსმეტიკური ბრენდია, მისი მკვლევარები აცხადებენ, რომ ნაოჭების პროფილაქტიკისთვის სოციალური ქსელების თვალიერება მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ. რადგან ეს ქუთუთოების შესიებას, კანის გამოშრობას, ნიკაპის მიდამოებში კანის ჩამოწელვას იწვევს და შესაბამისად, თქვენს ასაკზე გაცილებით უფროსად გაჩენთ.

ჩვეულებრივ, როდესაც კომპიუტერთან ვსხედვართ, ან სმარტფონში ვიქექებით სახე ეკრანთან ახლოს მიგვაქვს და თავიც დახრილ მდგომარეობაშია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ დიდი ხნის განმავლობაში სახის სერიოზული გამომეტყველებით ვსხედვართ, თითქმის არ ვმოძრაობთ და მზერაც გაშეშებული გვაქვს. ალბათ, შეგიმჩნევიათ, რომ კომპიუტერთან ჯდომის შემდეგ დაღლილი ხართ – არ გეჩვენებათ. საქმე ისაა, რომ ამ დროს სახის კუნთები სტატიკური დაძაბულობის მდგომარეობაში იმყოფება, სისხლის მიმოქცევა ირღვევა, სახე უბრალოდ იღლება.

კარგი იქნება, კომპიუტერთან თავდახრილი თუ არ დავსხდებით, მაგრამ სმარტფონის შემთხვევაში, მისი პატარა ეკრანის გამო ამის გათვალისწინება საკმაოდ რთულია.

კვლევაში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩატარდა, მონაწილეობა 6 ქვეყნის წარმომადგენელმა 5340-მა მამაკაცმა და ქალმა (საფრანგეთი, რუსეთი, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, ტაივანი, იტალია) მიიღო. მათ 1 თვის განმავლობაში შეკითხვას უსვამდნენ, აქვთ თუ არა სოციალური ქსელების მოხმარების საჭიროება, რაზეც 80 პროცენტი დადებითად პასუხობდა, ასევე, კვლევის მონაწილეებს ჰკითხეს გაუღრმავდათ თუ არა ნაოჭები თვალების გარშემო, რაზეც ასევე დადებითი პასუხი მიიღეს.

კომპანია Google-მა კი გამოთვალა, რომ 1 ადამიანს, საშუალოდ, 3 გაჯეტი აქვს და დღეში თავს დაახლოებით 150-ჯერ ხრის, კვირაში კომპიუტერთან, საშუალოდ, 40 საათს ატარებს, შედეგად, იტანჯება კისრის ტკივილით, თვალების სიმშრალით, კანის გამოშრობითა და სახის მიდამოში მოდუნებით.




თუ მზად არ ხართ, სოციალურ ქსელებს შეეშვათ, შეეცადეთ, საათში თავი რამდენჯერმე მაინც წამოწიოთ და წინ იყუროთ, ეს თვალების ძველი სავარჯიშოა, რომელიც საკმაოდ ეფექტურია და რასაკვირველია, უფრო ხშირად შეხვდით იმ ადამიანებს, რომლებსაც სოციალურ ქსელებში ეკონტაქტებით და პრობლემაც მოგვარდება!

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## თვითმფრინავი, რომელიც ნიუ-იორკიდან ლონდონში 11 წუთში ჩავა



კანადელი ინჟინერი ზებგერითი თვითმფრინავის მოდელზე მუშაობს, რომელსაც ლონდონიდან ნიუ-იორკში ჩასვლა 11 წუთში შეეძლება. ამის შესახებ „სი-ენ-ენი" წერს.

კონცეფცია „ანტიპოდის" იდეა და დიზაინი ინჟინერმა ჩარლზ ბომბარდიერმა განავითარა. თეორიულად ახალი მოდელის თვითმფრინავს ათი მგზავრის გადაყვანა შეეძლება და ის 12 430 მილს ერთ საათში დაფარავს.

„მინდოდა ისეთი საფრენი აპარატი შემექმნა, რომელიც რაც შეიძლება სწრაფი იქნებოდა", – აღნიშნა ბომბარდიერმა.

თუმცა, მისივე თქმით, ჯერ არ არსებობს ისეთი მასალა, რომელსაც „სიმხურვალის, წნევისა და სტრუქტურული სტრესის ატანა" შეეძლება. ნასას ინჟინერი, ჟოზეფ ჰეიზელტაინი კი ამბობს, რომ გამოსავალი არსებობს.

„ანტიპოდის" ავტორი ჩარლზ ბომბარდიერი აცხადებს, რომ სუპერსწრაფი თვითმფრინავის შექმნა 150 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდება.

*bpn.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## აშშ-ში 12 წლის გოგონას სმაილების გამო ასამართლებენ



როგორც წესი, ადამიანი თვითმკვლელობაზე ყველაზე ხშირად გარდატეხის ასაკში ფიქრობს, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს 12 წლის გოგოს პოსტი, სადაც წერს – „მკვლელობა. სამშაბათს ბიბლიოთეკაში შევხვდებით" – უცნობია. როგორც ჩანს, ეს ის შემთხვევაა, როცა მთელი სამყარო შენ წინაშე დამნაშავე გგონია.

აღნიშნული პოსტი ინსტაგრამ გვერდზე სკოლის პერსონალმა ნახა და პოლიციას დაუკავშირდა. ტექსტის გვერდით პისტოლეტის, ბომბისა და დანის აღმნიშვნელი სმაილები ეხატა.

გოგონას ბრალი სკოლაზე მუქარის გამო ედება.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არ დაესწრნენ „ოსკარებს" ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი



„ოსკარების" დაჯილდოებას მოუთმენლად არა მარტო კინომოყვარულები, არამედ მსოფლიოს ულამაზეს წყვილად აღიარებული ანჯელინა ჯოლისა და ბრედ ბიტის თაყვანისმცემლებიც ელოდნენ.

როგორც დასავლური ტაბლოიდები აქტიურად წერდნენ, წყვილის შესაძლო განქორწინების შესახებ არსებულ ეჭვებს, დაჯილდოებაზე მათი ერთად გამოჩენა გააქარწყლებდა. თუმცა, კინოინდუსტრიის მთავარ მოვლენას წყვილი არ დასწრებია. ოფიციალურ მიზეზად ორივე მათგანის მოუცლელობა დასახელდა, მაგრამ ამის არავის სჯერა. სოციალურ ქსელში „ბრანგელინას" გულშემატკივრები აქტიურად საუბრობენ ათწლეულის განშორებაზე. წყვილის ურთიერთობაში არსებულ კრიზისზე პირველად In Touch-მა დაწერა. გამოცემა ირწმუნებოდა, რომ წყვილი განქორწინების შესახებ ოფიციალურ განცხადებას თებერვლის შუა რიცხვებში გააკეთებდა. თუმცა ამ დრომდე მსახიობები ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ.

ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის რომანი 2005 წელს, ფილმ „მისტერ და მისის სმიტების" გადაღებაზე დაიწყო, რომელშიც მსახიობები მთავარ როლებს ასრულებდნენ.

თანაცხოვრების პერიოდში წყვილს სამი შვილი გაუჩნდა. ბრედმა ანჯელინას 2 შვილობილი, შემდეგ კი ერთად კიდევ ბიჭი იშვილეს.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მეცნიერების დასკვნა: დილის 10 საათზე ადრე მუშაობის დაწყება ორგანიზმისთვის მავნებელია



ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ დილის ათ საათამდე მუშაობის დაწყება ორგანიზმისთვის მავნებელია.

ექსპერიმენტის ფარგლებში ჯგუფების ნაწილს ლექციები – დილის 8:30 საათზე, ჯგუფების ნაწილს კი 10:00 საათზე გადაუტანეს.

კვლევებმა ცხადყო, რომ 10:00 საათზე დაწყებული სწავლება ბევრად უფრო შედეგიანი იყო და სტუდენტებიც მუშაობისას ბევრად პროდუქტიულები იყვნენ. ხოლო სტუდენტების ის ნაწილი, ვისაც სწავლა 11 საათზე ეწყებოდა, ლექციებზე ძალიან კარგი განწყობით მიდიოდა და დავალებების შესრულებას თავს უკეთართმევდა. მეცნიერების განმარტებით, ადამიანის სასიცოცხლო ორგანოები - გული და ღვიძლი მუშაობის ნორმალურ რეჟიმზე დილის ათ საათზე გადადის. თუკი ადამიანი მანამდე საკუთარ თავს საქმეებით დატვირთავს და მუშაობას ნაადრევად შეუდგება, ეს ნეგატიურად აისახება როგორც მისი ორგანოების მდგომარეობაზე, ასევე მის ფსიქიკაზეც. ეს აქვეითებს ასევე სამუშაო განწყობას და ადამიანის პროდუქტიულობის დონეს მკვეთრად ამცირებს. მეცნიერების განცხადებით, ეს როგორც სტუდენტებს, ისე დასაქმებულ ადამიანებს ეხებათ.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ უკრძალავენ ამერიკის ერთ-ერთ კოლეჯში სტუდენტებს ენერგეტიკულ სასმელს?




ამერიკის შტატ ვერმონტის ერთ-ერთ კოლეჯში 7 მარტიდან სტუდენტებს ენერგეტიკული სასმელის მიღებას აუკრძალავენ.

თურმე, კოლეჯის თანამშრომლებმა ენერგეტიკულ სასმელსა და შემთხვევით სექსუალურ ურთიერთობას შორის კავშირი დაინახეს. აღნიშნული აკრძალვით სტუდენტები, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო არიან, ვინაიდან ტკბილი გაზირებული სასმელი გამოცდების წინ დიდი ინფორმაციის ერთბაშად ათვისებაში ეხმარებათ.

„ურჩევნიათ, უფრო მნიშვნელოვან საქმეებს მიხედონ", – განაცხადა ადმინისტრაციის მოცლილობით გაღიზიანებულმა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

კოლეჯის სამეცნიერო ჯგუფის 2014 წლის კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ ენერგეტიკული სასმელი ახალგაზრდებთან დაუცველი სქესობრივი ურთიერთობის რისკს ზრდის.

„მიმაჩნია, რომ ეს იგივეა, რაც მოწევის აკრძალვა", – აღნიშნა კოლეჯში კვებაზე პასუხისმგებელმა პირმა, დენ დეტორმა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჯონ ლენონის ქვრივი საავადმყოფოში მოათავსეს



ლეგენდარული ჯონ ლენონის ქვრივი, მხატვარი და აქტივისტი 83 წლის იოკო ონო საავადმყოფოში გადაიყვანეს. იოკოს საავადმყოფოში მოთავსების მიზეზი ინსულტზე ეჭვი გახდა – მას საუბარი უჭირდა. საბედნიეროდ, დიაგნოზი არ დადასტურდა. იოკო ონოს ვაჟმა შონმა სოციალურ ქსელში მოგვიანებით დაწერა:

„მეგობრებო, ეს მხოლოდ პრესის მიერ გამოგონილი ჭორია. დედაჩემს ინსულტი არ აქვს. მისი საავადმყოფოში მოხვედრის მიზეზი ორგანიზმის გაუწყლოება და დაღლილობა გახდა. ახლა ის თავს უკეთ გრძნობს. ყველას დიდი მადლობა".

როგორც ირკვევა, იოკო ონოს გრიპი ჰქონდა, რომელიც გაურთულდა. სულ მალე მას სახლში გაწერენ.

*okmagazine.ge*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. უღელტეხილი კავკასიონზე
2. პატარა ტანის ჩიტი
3. ლითონი
4. ატმოსფერული აირი
5. ნელი ტემპი მუსიკაში
6. ძაღლის ჯიში
7. მწერალი დავით ...
8. ბალახი. ამზადებენ მწნილად
9. წყნარი ამინდი ზღვაზე
10. ხის სოლი
11. „სოლომონ ... მეჯღანუაშვილი"
12. პოეტი ჟანსულ ...
13. თბილისის უბანი
14. ადგილობრივი მმართველობის ორგანო
15. მომღერალი ... ჯაგერი
16. ახალი წელი გურიაში
17. მსახიობი ჯიმ ...
18. ჯონათან სვიფტის გოლიათი
19. ყვავილის ტკბილი წვენი
20. მსახიობი ... ვენტურა
21. იტალიის დედაქალაქი
22. მსახიობი ინა ...
23. ვიწრო გასასვლელი ოთახებს შორის
24. ნახ. კუნძული კანადაში
25. მდინარე გერმანიაში
26. ფოლგა
27. იგივეა, რაც კისერი
28. რიყის ქანი
29. დოღი, ჭენება
30. მოხარშული კარტოფილის კანი
31. ცისარტყელას ფერი
32. ქალაქი აფხაზეთში
33. ბანდეროლი
34. სანელებელი
35. ყარაბას-ბარაბასის მეგობარი
36. მსახიობი ... ფაინსი
37. ბრტყლად შემწვარი წიწილა
38. მსხვილი მონოპოლისტი
39. ნახშირბად შემცველი რკინა
40. ქალაქი პოლონეთში
41. ნახატის აღდგენა
42. მითიური ცხენკაცი
43. კბილის დამცველი ფენა
44. მსახიობი ... რობერტსი
45. შილაფლავის სანელებელი
46. მდინარე დას. საქართ.
47. დონ კიხოტის ცხენი
48. ბულგარელი ნათელმხილველი
49. ერთ-ერთი ქართ. დამწერლობა
50. ლითონი
51. თოფის ლითონის ნაწილი
52. პალმის ნაყოფი
53. თხევადი წამალი
54. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
55. მუსიკალური ნაწარმოები
56. ეკვადორის დედაქალაქი
57. მხარე დას. საქართ.
58. ქალაქი იაპონიაში
59. ვენესუელის დედაქალაქი
60. თქმულება ღმერთებზე
61. მსახიობი ... ზაქარიაძე
62. სიტყვათა წარმოთქმის მანერა
63. ლეშისმჭამელი ფრინველი
64. ადამიანი-ობობა
65. ცივი იარაღი
66. მსახიობი ბენ ...
67. საკვების ენერგია
68. ქალი ინდიელების ენაზე
69. პატარა ტანის ძაღლი
70. შალის საპალტოე ქსოვილი
71. ინდიელების ვარცხნილობა
72. მტაცებელი ფრინველის ფრენა
73. ესკიმოსების ნავი
74. ფულის გათამაშება ბილეთებით
75. რუსული ფანტასტიკური ფილმი „მოსკოვი-..."
76. შვიდი დღე
77. შხამიანი ბაყაყი
78. რბილი სასის გაგრძელება
79. სასწორის ჯამი
80. მხ/ფ „... სრული სვლით"
81. მწვანილი
82. მატყუარა
83. ყვავის ბარტყი
84. პოეტი ... აბაშიძე
85. კვერცხის თეთრი შიგთავსი
86. 10დმ
87. „ბაბუა ... და კურდღლები"
88. ქალაქი სამეგრელოში
89. ლაჩარი
90. კოლხი გრძნეული ქალი
91. მუხის ხის ქერქი ერთგვარი
92. ბადის საქანაო საწოლი
93. ესპანეთის დედაქალაქი
94. რას დებს ქათამი
95. მსახიობი არმენ ...
96. სანთლის მასალა
97. ავტომრბოლელი მიხაელ ...
98. ჯადოქარი
99. მსახიობი ... გირი
100. ფეხბურთელი ზინედინ ...
101. ბელორუსიის დედაქალაქი
102. ტაბლეტი
103. ტყე დას. საქართ.
104. მსახიობი მეგ ...
105. ფაიფურის თეთრი თიხა
106. მდინარე კახეთში
107. მსახიობი ვანესა ...
108. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
109. ... ძედუნი
110. მტაცებელი თევზი ამაზონში
111. ტბა დუშეთის რაიონში
112. სამკურნალო მცენარე
113. მსახიობი აიშვარია ...
114. რა სცვივა ხეს ზამთარში
115. ექს-პრეზიდენტი ... კარტერი
116. „მამლუქი" ... და გოჩა
117. ანჩხლი
118. ტროას ბერძნული დასახელება
119. ჯოხი ბოლოში ტყავის ზონაროთ
120. საქონლის ხორცის ნაჭერი
121. დრამატურგი ... დე ვეგა
122. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
123. ხის ძელაკი გრაფიტის გულით
124. თევზის ჯიში
125. ხელოვნური ვარცხნილობა
126. პირის ღრუს თაღი
127. ინის საპირისპირო
128. მომღერალი ... რამაზოტი
129. გამოთქმა: ჭკუის ...
130. მხედველობის ორგანო
131. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
132. გასაღები
133. დოკუმენტების საცავი
134. ქმედება ალალბედზე
135. მსახიობი შერონ ...
136. მწერალი ედგარ ალან ...
137. სოფელი ხარაგაულის რაიონში
138. ნეტარ ... მორწმუნენი
139. ბედი
140. მსახ. ჟან-კლოდ ... დამი
141. ქათმის ხორცის ბრაზილ. ფირმა
142. სამეჯლისო ცეკვა
143. გამარჯვების ქალღმერთი
144. ქალაქი რაჭაში

პასუხები: 1. მარუხი; 2. სკვინჩა; 3. ნიკელი; 4. ჰაერი; 5. ლარგო; 6. პოინტერი; 7. კლდიაშვილი; 8. დანდური; 9. შტილი; 10. პალო; 11. ისაკიჩ; 12. ჩარკვიანი; 13. ვაკე; 14. მუნიციპალიტეტი; 15. მიკ; 16. კალანდა; 17. კერი; 18. გულივერი; 19. ნექტარი; 20. ლინო; 21. რომი; 22. ჩურიკოვა; 23. კორიდორი; 24. ნიუფაუნდლენდი; 25. რაინი; 26. კილიტა; 27. კინჩხი; 28. ქვა; 29. რბოლა; 30. მუნდირი; 31. იისფერი; 32. ოჩამჩირე; 33. ამანათი; 34. მარილი; 35. დურემარი; 36. რალფ; 37. ტაბაკა; 38. ოლიგარქი; 39. ფოლადი; 40. კრაკოვი; 41. რესტავრაცია; 42. კენტავრი; 43. ემალი; 44. ერიკ; 45. ძირა; 46. ძირულა; 47. როსინანტი; 48. ვანგა; 49. ასომთავრული; 50. ქრომი; 51. ლულა; 52. ქოქოსი; 53. მიქსტურა; 54. სან; 55. რაფსოდია; 56. კიტო; 57. სამეგრელო; 58. კიოტო; 59. კარაკასი; 60. მითი; 61. სერგო; 62. დიქცია; 63. სვავი; 64. სპაიდერმენი; 65. დაშნა; 66. აფლეკი; 67. კალორია; 68. სკვო; 69. ფინია; 70. მაუდი; 71. იროკეზი; 72. ირაო; 73. უმიაკი; 74. ლატარია; 75. კასიოპეა; 76. კვირა; 77. აგა; 78. ნაქი; 79. პინა; 80. ორერა; 81. რეჰანი; 82. ცრუ; 83. ბახალა; 84. ირაკლი; 85. ცილა; 86. მეტრი; 87. მაზაი; 88. აბაშა; 89. მშიშარა; 90. მედეა; 91. კორპი; 92. ჰამაკი; 93. მადრიდი; 94. კვერცხი; 95. ჯიგარხანიანი; 96. ცვილი; 97. შუმახერი; 98. მაგი; 99. რიჩარდ; 100. ზიდანი; 101. მინსკი; 102. აბი; 103. აჯამეთი; 104. რაიანი; 105. კაოლინი; 106. იორი; 107. პარადი; 108. მარიონეტი; 109. მაო; 110. პირანია; 111. ბაზალეთი; 112. ასკილი; 113. რაი; 114. ფოთოლი; 115. ჯიმი; 116. ხვიჩა; 117. ავი; 118. ილიონი; 119. მათრახი; 120. არტალა; 121. ლოპე; 122. ასო; 123. ფანქარი; 124. სვია; 125. პარიკი; 126. სასა; 127. იანი; 128. ეროს; 129. კოლოფი; 130. თვალი; 131. პან; 132. კლიტე; 133. არქივი; 134. რისკი; 135. სტოუნი; 136. პო; 137. მოლითი; 138. არიან; 139. სვე; 140. ვან; 141. „სადია"; 142. ვალსი; 143. ნიკე; 144. ონი. იკითხება: შარლიზ ტერონი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## უცნაური სახელწოდებების რეიტინგი



არსებობს ერთი ცნობილი გამოთქმა: „იახტას რა სახელსაც შეურჩევ, ისე გაცურავსო“, თუმცა ხშირად დაფიქსირებულა ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, როცა ადამიანი ამა თუ იმ სახელწოდებას თავისდაუნებურად ცვლის და „იახტის კურსი მაინც არ იცვლება“. ერთი კია, ბევრ გაურკვევლობას მაინც ბადებს.

აგერ, ბატონო, მაგალითები:

9. სხვადასხვა ქვეყანაში ზღვების საყოველთაოდ ცნობილ სახელწოდებებს ხშირად ცვლიან. მაგალითად, ბალტიის ზღვას გერმანული ჯგუფის ენებში აღმოსავლეთის ზღვა ეწოდება. ხმელთაშუა ზღვას კი თურქეთში თეთრი ზღვის სახელი აქვს მიღებული, რადგან მის ზედაპირზე ხშირად ჩნდება სქელი ნისლი.

8. ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში ცნობილ მიმოზებს, რომელსაც ხშირად ჩუქნიან ხოლმე მამაკაცები თავიანთ რჩეულებს, სინამდვილეში ვერცხლის აკაცია ეწოდება. ნამდვილი მიმოზა არა ყვითელი, არამედ იასამნისფერია.



7. ბევრი საკალათბურთო გუნდის სახელწოდება სტანდარტული წესით ჩნდება: „ჩიკაგო ბულს“ – ჩიკაგოელი ხარები. „ინდიანა პეისერსი“ – ინდიანელი იორღა და ასე შემდეგ. ასეთივე პრინციპითაა მოგონილი გერმანიის ქალაქ ვიურცბურგის კალათბურთის გუნდის სახელწოდება: „ვიურცბურგის რენტგენის სხივები“. მიზეზი: რენტგენის არსებობას კაცობრიობა ვიურცბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ვილჰელმ კონდარ რენტგენს (1845-1923) უნდა უმადლოდეს.

6. რუსული საფეხბურთო კლუბის „ამკარის“ სახელწოდება ორი ქიმიური ნივთიერების (შხამების) შერწყმიდან მოდის – ამიაკისგან და კარბამიდისგან. კლუბი ქალაქ პერმის სიამაყეა, რომელიც სასუქის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს დაარსებულია.

5. XIV ინგლისში გენეალოგიის დადგენაზე მომუშავე მეცნიერები იყენებდნენ ნიშანს, რომელიც ისარს წააგავდა. მიზანი იმის მითითება იყო, ვინ ვისგან მოდიოდა. ნიშანს, რომელიც სილაზე წეროს კვალს წააგავდა, სწორედ ასე ერქვა: „წეროს კვალი“ (Pied-de-grue). დღეს აღნიშნული სახელწოდება ძაღლების საჭმელს აქვს მიღებული, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ასე ჟღერს: „პედიგრი“.




4. XIX საუკუნეში ამერიკაში, კერძოდ კი, არიზონას შტატის ქალაქ პილასკში დაფუძნებული ორგანიზაციის სახელწოდება „კიკლოსის საზოგადოება“ იყო, რომელიც ბერძნული სიტყვა „წრისგან“ მოდიოდა. მოგვიანებით სახელწოდება დამახინჯდა, კიდევ რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ კი ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა ირლანდიელმა კენედიმ სახელწოდებაში ერთი სიტყვა დაამატა, რომელიც მსოფლიოს დღემდე აშინებს. საუბარია ცნობილ ამერიკულ რასისტულ-ტერორისტულ ორგანიზაციაზე – „კუ-კლუქს-კლანი“.

3. რუსეთის ქალაქ სტავროპოლის ერთ-ერთი ქუჩის სახელწოდება „45-ე პარალელი“ გახლავთ. თურმე, ის მართლაც 45-ე პარალელზე გადის.

2. ბიგ-ბენი – ეს არც კოშკის და თქვენ წარმოიდგინეთ, არც მასზე დაკიდული საათის სახელი არ არის. თავდაპირველად ბიგ-ბენი საათის ზარებს ერქვა.

1. სახელი პოპულარულ მუსიკალურ ინსტრუმენტს, საქსაფონს ცნობილმა კომპოზიტორმა ბერლიოზმა შეურჩია. თავად საკრავის შემქმნელმა, ბელგიელმა ოსტატმა ადოლფ საქსმა ინსტრუმენტს მუნდშტუკის ოფიკლეიდი დაარქვა.

*radioc.ru*

## სიმსუქნე... კარგია



კანადელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, სიმსუქნე ცუდი სულაც არ არის, მაგრამ ძალიან ცუდია, როცა ადამიანი წონის დაკლებას ცდილობს.

– ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ ჯანმრთელობას ძალიან დიდ საფრთხეს უქმნით, – მიიჩნევენ კანადელები, რომლებმაც ორგანიზმზე სიმსუქნის გავლენის საკითხი შეისწავლეს.

კვლევაში 350 ათასამდე ადამიანი ჩაერთო. მათი დახმარებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იყო ბუთქუნა, სულაც არ არის ცუდი, არამედ პირიქით, გადასარევი მოვლენაა.

– სიმსუქნე სულაც არ არის სხვადასხვა უსიამოვნების გამომწვევი მიზეზი. დაავადებებს არასწორი კვება იწვევს. ამდენად, ადამიანებმა ყურადღება უნდა მიაქციონ რაციონს არა იმიტომ, რომ წონა დაიკლონ, არამედ იმიტომ, რომ რომელიმე დაავადების მსხვერპლნი არ გახდნენ, – გვმოძღვრავენ კანადელი სპეციალისტები.

*membrana.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**2 მარტი:** რაღაცაზე უარის თქმა და საიდანღაც წამოსვლა მოგიწევთ. განშორება რთული იქნება, მაგრამ აუცილებელი. ძალა მოიკრიბეთ და წუხილი არ შეიმჩნიოთ.

**კურო 22.04-21.05**
**2 მარტი:** საოცრად კეთილგანწყობილი იქნებით. ყველა ღონეს იხმარეთ მცირედი კონფლიქტის ასაცილებლადაც კი. მოკლედ, კაი ტიპის სახელს მოიხვეჭთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**2 მარტი:** შესაძლოა, თავი დაკარგულად იგრძნოთ. შეეცადეთ, საღამო იმ ადამიანებთან გაატაროთ, ვინც კარგად გექცევათ. ეს ცოტათი მაინც დაგამშვიდებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**2 მარტი:** ორგანიზმის მოთხოვნილებებს ყურადღება მიაქციეთ და მისი კაპრიზები დროულად დააკმაყოფილეთ, სანანებლად ნუ გაიხდით საქმეს.

**ლომი 23.07-22.08**
**2 მარტი:** ნამეტანი არ გაყოყოჩდეთ და თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდოთ. სულ მცირე, იმ ადამიანებს მაინც მოუხადეთ ბოდიში, ვისაც აწყენინებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**2 მარტი:** შეიძლება არაერთ მცირე, მაგრამ უსიამოვნო დაბრკოლებას წააწყდეთ. ამით გაცეცხლებულმა, ღვარძლი ახლობლებზე არ ამოანთხიოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**2 მარტი:** იმაზე მეტი და ისეთი კითხვები არ დასვათ, რაზეც პასუხს ვერ მიიღებთ. ამით თანამოსაუბრეებს დააბნევთ და სასაუბროც აღარაფერი გექნებათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**2 მარტი:** შეუფერებელი დღეა საიმისოდ, რომ ვინმეს თქვენს გრძნობებზე ესაუბროთ. შვებას ვერ მიიღებთ. ამიტომ უმჯობესია, განმარტოვდეთ და ისე იფიქროთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**2 მარტი:** კარგი იქნება, თუ საოჯახო საქმეებს მიხედავთ. სხვა საკითხებში ინიციატივის გამოვლენა არ ღირს, სავარაუდოდ, არაფერი გამოგივათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**2 მარტი:** როგორც ჩანს, თქვენი დღევანდელი საქმიანი ქმედებები შედეგიანი იქნება. ვინმემ შეიძლება ჩათვალოს, რომ ამას ყურადღების მისაქცევად აკეთებთ. ყურადღებით იყავით.

**მერწყული 20.01-18.02**
**2 მარტი:** იდეალური არავინაა და ეს თქვენც გეხებათ. როგორც ჩანს, აღიარება მოგიწევთ, რომ მართალი არ ხართ და რაც მალე იზამთ ამას, მით უკეთესი.

**თევზები 19.02-20.03**
**2 მარტი:** შესაძლოა, სრულიად მოულოდნელად, კარგი შემოსავლის მიღების საშუალება გამოგიჩნდეთ. ყურადღებით იყავით, ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვათ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## ხანგრძლივი სიცოცხლის მყარ გარანტიას... ბავშვები გვაძლევენ?



არავის გაუკვირდება, თუკი ვიტყვით, რომ ზრდასრული ადამიანებისთვის ბავშვებს უდიდესი ძალის, ენერგიისა და სიყვარულის მიცემა შეუძლიათ. უფრო მეტიც, პატარებისგან უფროსები უამრავ სასარგებლო თვისებას იძენენ, ბევრს სწავლობენ და ასე შემდეგ. თუ გგონიათ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი ან ერთეული ადამიანების მოსაზრებაა, ცდებით და ახლავე ყველაფერს მეცნიერულად დაგისაბუთებთ:



როგორც ირკვევა, ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევის შედეგად, დამტკიცდა, რომ ბავშვებს უფროსებისთვის სიცოცხლის გახანგრძლივებაც კი შეძლებიათ, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ.

კერძოდ, კვლევის ფარგლებში, ნორვეგიელმა სწავლულებმა 1,5 მილიონი ადამიანის ბიოგრაფია გააანალიზეს, რომელთა ასაკი 45-დან 68 წლამდე მერყეობდა. გარდა ამისა, მეცნიერებმა განიხილეს გარდაცვალების 60 ათასზე მეტი შემთხვევა, რათა დაედგინათ კავშირი განათლებას, ოჯახურ მდგომარეობასა და შვილების რაოდენობას შორის ერთი მხრივ და მეორე მხრივ, სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის.

შედეგად დაზუსტდა, რომ ე.წ. მშობლის ეფექტი მართლაც არსებობს. ამასთანავე, ეს მოვლენა უდიდეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ დედაზე, არამედ მამაზეც, რაც იმას ნიშნავს, რომ უშვილო ქალებში ადრეულ ასაკში გარდაცვალების რისკი 50 პროცენტით მაღალია, მამაკაცებში – 35 პროცენტით.

– მშობლები, – განმარტავენ ნორვეგიელი მეცნიერები, – გაცილებით იშვიათად მიდიან რისკზე, ვიდრე ადამიანები, რომლებსაც შვილები არ ჰყავთ. გარდა ამისა, მოხუცებულობისას ისინი უდიდეს ძალას იღებენ შვილებისგან, უშვილოები კი მარტოები რჩებიან, რასაც სტრესი და დეპრესიები მოსდევს. ამდენად, შვილების ყოლას ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

*medkarta.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– მორჩა აღარ წავალ ხვალიდან სკოლაში.

– რატომ ნოდარ, დედიკო?

– იმიტომ, რომ დათო პანჩურებს მირტყამს, მიშიკო შურდულს მესვრის, გიო თავში წიგნებს მირტყამს და ქეთინო კიდევ ენას მიყოფს.

– არა, დედა გენაცვალოს, შენ აუცილებლად უნდა წახვიდე სკოლაში, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ 55 წლის ხარ და მეორე იმიტომ, რომ შენ მაგ სკოლის დირექტორი ხარ.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“
გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.21